ლიბერთი
ბანკი ყველგან და ყველასთვის

# საკრედიტო ბარათის პირობები

დამტკიცებულია სს „ლიბერთი ბანკის“ დირექტორთა
საბჭოს 2013 წლის 09 სექტემბრის სხდომის #186 ოქმით / ბოლო ცვლილებები განხორციელებულია
იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის 2024 წლის 20 მაისის ბრძანებით

შინაარსი


შესავალი....3

ტერმინთა განმარტებები....3

კლიენტის განცხადებები....6

საკრედიტო ლიმიტი....6

ტოპ ქარდით სარგებლობის განსაკუთრებული პირობები....7

პროცენტის და სხვა გადასახდელების დარიცხვა....9

საკრედიტო ბარათით გახარჯული (ათვისებული) თანხის გადახდა....9

ვადაგადაცილება და სანქციები....9

ნებადართული ოპერაციები....10

თანხის დაგროვების სერვისი - ყულაბა....10

VISA Direct და MasterCard MoneySend საბარათე გადარიცხვები....11

საბანკო ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი....11

საკრედიტო ბარათის მომსახურების ტარიფები....11

საკრედიტო ლიმიტის ვალუტა....12

ახალი ბარათის (მასწავლებლის ახალი ბარათის) CashBack....12

პასუხისმგებლობა....12

ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ....13

თანხების უაქცეპტო წესით ჩამოჭრა....14

დამატებითი ბარათები....14

ავტორიზაცია....14

შეღავათიანი პირობები და წამახალისებელი აქციები....14

შეტყობინების ვალდებულება....14

კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემები....14

მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა....17

კომუნიკაცია....17

დასკვნითი დებულებები....18

საკრედიტო ბარათის პირობების დანართი #1 - ტარიფები....21

საკრედიტო ბარათის პირობების დანართი #2 - ტოპ ქარდის ტარიფები....26

## 1. შესავალი

1.1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს **საკრედიტო ბარათით** მომსახურების პირობებს (შემდგომში - **სტანდარტული პირობები** ან **პირობები**).[1]

1.2. **ბანკსა** და **კლიენტს** შორის **საკრედიტო ბარათით** სარგებლობასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება ხელშეკრულებით (შემდგომში **ხელშეკრულება**), რომელიც შედგება:

1.2.1. **განაცხადისაგან,** რომელიც შევსებულია **კლიენტის** მიერ, ხელმოწერილია **მხარეთა** მიერ ან/და **კლიენტი** დათანხმებულია **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

1.2.2. **მხარეთა** შორის გაფორმებული **საკრედიტო ბარათით** მომსახურების შესახებ ხელშეკრულებისგან;

1.2.3. წინამდებარე **პირობებისაგან**;

1.2.4. **საკრედიტო ბარათით** სარგებლობის **ბანკში** დადგენილი ტარიფებისაგან, რომელიც წარმოადგენს **ხელშეკრულების** დანართს და მის განუყოფელ ნაწილს;

1.2.5. **ბანკში** არსებული **უნივერსალური ანგარიშის მომსახურების პირობებისაგან.**

1.3. წინამდებარე **პირობების** საგანს წარმოადგენს:

1.3.1. **ბანკის** მიერ წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული დებულებებისა და მოთხოვნების შესაბამისად **კლიენტისათვის საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე **საკრედიტო ლიმიტის** დაშვება;

1.3.2. **კლიენტის** მიერ მისი **საკრედიტო ლიმიტით** სარგებლობის წესების განსაზღვრა; და

1.3.3. **მხარეთა** მიერ ამ **პირობებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების წესის განსაზღვრა, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს **საკრედიტო ლიმიტის,** მასზე დარიცხული **პროცენტის,** საკომისიოს, **გადახარჯული თანხის** და წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული ნებისმიერი სახის დავალიანების გადახდის წესების განსაზღვრას.

1.4. **კლიენტი** ვალდებულია წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული მომსახურების გამოყენებისათვის ყურადღებით გაეცნოს წინამდებარე და **უნივერსალური ანგარიშის მომსახურების პირობებს** და სრულად შეასრულოს ისინი. **კლიენტი** ასევე პასუხისმგებელია დამატებითი ბარათის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მფლობელების მიერ ხსენებული **პირობების** გაცნობასა და მათ სრულად შესრულებაზე.

1.5. **საკრედიტო ბარათის განაცხადის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელმოწერით **კლიენტი** აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

1.5.1. **საკრედიტო ბარათის განაცხადი** შეავსო სრულად;

1.5.2. მის მიერ **განაცხადში** შევსებული ინფორმაცია არის სწორი და უტყუარი;

1.5.3. **განაცხადის** ხელმოწერამდე სრულად გაეცნო წინამდებარე **პირობებს**, ტარიფებსა და **უნივერსალური ანგარიშის მომსახურების პირობებს;**

1.5.4. წინამდებარე **პირობებსა** ან **ხელშეკრულებაში** არ არსებობს გაურკვეველი პუნქტი და **ხელშეკრულება** განიხილა **ბანკის** შესაბამის წარმომადგენელთან და სრულად მისაღებია მისთვის; და

1.5.5. შესაბამისი ველის მონიშვნის შემთხვევაში თანახმაა **ბანკში** არსებული მისი ნებისმიერი ანაბარი გამოყენებულ იქნას წინამდებარე **საკრედიტო ლიმიტის** უზრუნველყოფის საშუალებად.

## 2. ტერმინთა განმარტებები

2.1. თუ წინამდებარე **პირობებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი (**პირობების**) კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქვემოთ მოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1.1. **ავტორიზაცია** - თანხმობა საბანკო ოპერაციის განხორციელებაზე;

2.1.2. **ა.შ.შ. დოლარი** - ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური ვალუტა;

2.1.3. **არაპარტნიორი ობიექტი** - კომერციული საქმიანობის განმახორციელებელი ყველა იმ პირის საქმიანობის ობიექტი/სივრცე, რომელიც არ იმყოფება **ბანკთან** სახელშეკრულებო ურთიერთობაში და სადაც **განვადების ლიმიტით** სარგებლობისათვის **ბანკის** მიერ შეიძლება დადგენილ იქნას განსხვავებული პირობები.

2.1.4. **ბანკი** - სს ლიბერთი ბანკი, საიდენტიფიკაციო კოდი: 203828304;

2.1.5. **გადახარჯული საკრედიტო ლიმიტი** ან **გადახარჯული თანხა** - **საკრედიტო ლიმიტის** გადახარჯვის შედეგად, დაშვებულ **საკრედიტო ლიმიტსა** და **საკრედიტო ბარათით** რეალურად გახარჯულ თანხას შორის არსებული სხვაობა;

2.1.6. **გადახდის (დაფარვის) პერიოდი** - (ა) **საკრედიტო ბარათის** მინიმალური ყოველთვიური გადასახადით დაფარვის ოფციით არჩევის შემთხვევაში **დაანგარიშების თარიღიდან** მომდევნო ოცდახუთი (25) კალენდარული დღე, როდესაც **კლიენტს** აქვს **მინიმალური გადასახადის** ან/და **ნულოვანი პროცენტის პირობით** ან/და **ნულოვანი საკომისიოს პირობით** სარგებლობისათვის დადგენილი ოდენობის შენატანის განხორციელების, ან/და **მთლიანი დავალიანების** გადახდის ვალდებულება, ან (ბ) **საკრედიტო ბარათის** ანუიტეტური გრაფიკით დაფარვის ოფციით არჩევის შემთხვევაში, **გრაფიკით** განსაზღვრული ფიქსირებული თარიღი, როდესაც **კლიენტს** აქვს მიმდინარე შენატანის განხორციელების, ან/და **მთლიანი ვალდებულების** გადახდის ვალდებულება, ან (გ) **ტოპ ქარდით** სარგებლობისას შესაბამისი **ხელშეკრულებით** განსაზღვრული კონკრეტული კალენდარული დღე ან/და **გადახდის პერიოდი**, რომელ თარიღშიც ან/და პერიოდშიც **კლიენტს** აქვს **ტოპქარდის მინიმალური გადასახადის** ან/და **რეკომენდირებული გადასახადის** ან/და **მთლიანი ვალდებულების** გადახდის ვალდებულება. თუ **გადახდის პერიოდის** ბოლო დღე ემთხვევა არასაბანკო დღეს, **გადახდის პერიოდი** სრულდება მომდევნო **საბანკო დღეს**; ამასთან, **საკრედიტო ბარათზე** (მათ შორის **ტოპ ქარდზე**) **კლიენტის** მიერ განხორციელებული გადახდა შესრულებულად არ ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერი მიზეზით (მათ შორის და არა მხოლოდ, **კლიენტის ბანკში** არსებულ საბანკო ანგარიშ(ებ)ზე ინკასოს, ყადაღის ან/და სხვა შეზღუდვების გავრცელების შემთხვევაში) **კლიენტის** მიერ **საკრედიტო ბარათის ანგარიშზე** განთავსებული თანხა არ იქნება ხელმისაწვდომი **ბანკისთვის კლიენტის ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულე(ებ)ბის დასაფარად.

2.1.7. **განაცხადი** ან **საკრედიტო ბარათის განაცხადი** - **ბანკის** მიერ მატერიალური დოკუმენტის, ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალებ(ებ)ის გამოყენებით შექმნილი და **კლიენტისათვის** მიწოდებული წერილობითი ინფორმაცია საკრედიტო მომსახურების მიღების შესახებ, რომელსაც **კლიენტი** ეთანხმება ხელმოწერით ან/და ელექტრონული ფორმის დადასტურებით (ელექტრონული თანხმობა), რაც ითვლება **კლიენტის** მიერ მატერიალურ დოკუმენტზე თანხმობის განცხადების/ნების გამოხატვის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ. **განაცხადი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თან ერთვის **ხელშეკრულებას** და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

2.1.8. **გრაფიკი** - **საკრედიტო ბარათის** ანუიტეტური გრაფიკით დაფარვის ოფციის არჩევის შემთხვევაში, **ხელშეკრულების** დანართი (მატერიალური ან ელექტრონული ფორმით), რომლითაც **ბანკი** განსაზღვრავს **საკრედიტო ბარათის** ათვისებული თანხის ან/და **საკრედიტო ბარათთან** დაკავშირებული გადასახდელების გადახდის მოცულობას, პერიოდულობას ან/და სხვა პირობებს. **საკრედიტო ლიმიტის** ფარგლებში, **კლიენტის** მიერ ათვისებულ ყოველ თანხაზე შედგება ახალი **გრაფიკი,** იმ შემთხვევაში თუ ასეთი ათვისების შემდეგ ჯამურად ათვისებული **საკრედიტო ლიმიტის** მოცულობა გადააჭარბებს იმ თანხის მოცულობას რა თანხაზეც დაგენერირებულია/შედგენილია წინა **გრაფიკი**. ყოველი ახალი **გრაფიკის** ვადა არ უნდა აღემატებოდეს 48 (ორმოცდარვა) თვეს;

2.1.9. **დაანგარიშების თარიღი** - **კლიენტის** მიერ **საკრედიტო ბარათის** მინიმალური ყოველთვიური გადასახადით დაფარვის ოფციის არჩევის შემთხვევაში, ყოველი თვის შესაბამისი კალენდარული დღე, როდესაც ხორციელდება **მინიმალური გადასახადის**, ასევე, **ნულოვანი პროცენტის პირობით** ან/და **ნულოვანი საკომისიოს პირობით** ან/და **რეკომენდებული გადასახადის** დაფარვის ოფციით სარგებლობის მიზნით განსახორციელებელი შენატანის ოდენობის დაანგარიშება, რომელიც წინამდებარე **პირობების** შესაბამისად გადახდილ/დაფარულ უნდა იქნას **გადახდის პერიოდში**. **კლიენტი** უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, თავდაპირველად გადახდის თარიღად (**გადახდის (დაფარვის) პერიოდის** ბოლო დღე) აირჩიოს კალენდარული თვის **ბანკის** მიერ განსაზღვრული თარიღებიდან ერთ-ერთი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება შესაბამისი **დაანგარიშების თარიღი,** თუ კი **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

2.1.10. **დაკავშირებული ხელშეკრულება** - **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების უზრუნველსაყოფად, **მხარეებს** შორის ან/და **მხარეთა** მონაწილეობით მესამე პირთან, დადებული ხელშეკრულებ(ებ)ი, მათში შესული ცვლილებ(ებ)ისა და დამატებ(ებ)ის ჩათვლით (მათ შორის და არამარტო უზრუნველყოფის ხელშეკრულებები, დაზღვევის ხელშეკრულებ(ებ)ი, ასევე **ბანკის,** როგორც ბენეფიციარის, სასარგებლოდ გაცემული საბანკო გარანტია, აკრედიტივი და სხვა);

2.1.11. **ევრო** - ევროკავშირის ზოგიერთი წევრი ქვეყნის, აგრეთვე მონტენეგროს, ანდორას, მონაკოს, სან მარინოს, ვატიკანის და კოსოვოს ოფიციალური ვალუტა;

2.1.12. **ვადაგადაცილების თარიღი** - **გადახდის პერიოდის** ბოლო დღის, ან **გრაფიკით** განსაზღვრული **გადახდის თარიღ(ებ)ის** მომდევნო დღე, თუ: ა) **საკრედიტო ბარათის** ანუიტეტური გრაფიკით დაფარვის ოფციის შემთხვევაში **საკრედიტო ბარათზე** ნებისმიერი სახის დავალიანების არსებობის შემთხვევაში **კლიენტი გადახდის პერიოდში/თარიღში** არ გადაუხდის **ბანკს** სულ მცირე **მინიმალურ გადასახადს;** ბ) **საკრედიტო ბარათის** მინიმალური ყოველთვიური გადასახადით დაფარვის ოფციის შემთხვევაში, თუ გადახდის თარიღში (**გადახდის პერიოდის** ბოლო დღეს) **დაანგარიშების თარიღის** მომდევნო დღიდან გადახდის თარიღამდე **კლიენტის** მიერ **საკრედიტო ბარათზე** განხორციელებული შენატანების ჯამური ოდენობა ნაკლებია **მინიმალური გადასახადის** ოდენობაზე ან/და გადახდის თარიღში **საკრედიტო ბარათზე** განთავსებული თანხა (აღნიშნულ თანხაში არ

[1] 2021 წლის 24 ივნისის #519 დირექტორთა საბჭოს სხდომის ოქმით დამტკიცებული **პირობები** ვრცელდება მხოლოდ 2020 წლის 17 აგვისტოს #501 დირექტორთა საბჭოს სხდომის ოქმით დამტკიცებული **პირობების** ამოქმედების დღიდან ემიტირებულ/გაცემულ ბარათებზე 2020 წლის 17 აგვისტოს #501 დირექტორთა საბჭოს სხდომის ოქმით დამტკიცებული **პირობების** ამოქმედებამდე ემიტირებულ/დამტკიცებულ ბარათებზე ვრცელდება 2019 წლის 19 სექტემბრის #473 დირექტორთა საბჭოს სხდომის ოქმით დამტკიცებული პირობები და 2021 წლის 01 ივნისის #518 დირექტორთა საბჭოს სხდომის ოქმით დამტკიცებულ **პირობებში** გათვალისწინებული ცვლილება, აგრეთვე 2021 წლის 25 ივნისის #519 დირექტორთა საბჭოს სხდომის ოქმით დამტკიცებულ **პირობებში** გათვალისწინებული ცვლილება.

იგულისხმება/გაითვალისწინება **დაანგარიშების თარიღამდე** არსებული ასათვისებელი **საკრედიტო ლიმიტის** ოდენობა და გაითვალისწინება მხოლოდ **კლიენტის** მიერ **დაანგარიშების თარიღის** მომდევნო დღიდან გადახდის თარიღამდე განხორციელებული შენატანები) ნაკლებია დარიცხული **პროცენტის** ოდენობაზე. ამასთან, **ტოპ ქარდით** სარგებლობისას, **ვადაგადაცილების** თარიღად მიიჩნევა **გადახდის პერიოდის** ბოლო დღის მომდევნო დღე, იმ შემთხვევაში, თუ **დაანგარიშების თარიღის** მომდევნო დღიდან გადახდის თარიღამდე **კლიენტის** მიერ **ტოპ ქარდზე** განხორციელებული შენატანების ჯამური ოდენობა ან/და გადახდის თარიღში **ტოპ ქარდზე** განთავსებული თანხა (აღნიშნულ თანხაში არ იგულისხმება/გაითვალისწინება **დაანგარიშების თარიღამდე** არსებული ასათვისებელი **განვადების ლიმიტის** ოდენობა და გაითვალისწინება მხოლოდ **კლიენტის** მიერ **დაანგარიშების თარიღის** მომდევნო დღიდან გადახდის თარიღამდე განხორციელებული შენატანები) ნაკლებია **ტოპ ქარდის მინიმალური გადასახადის** ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული **რეკომენდებული გადასახადის** ოდენობაზე. ახალი ბარათის (მათ შორის მასწავლებლის ახალი ბარათის) შემთხვევაში **ვადაგადაცილების თარიღად** განისაზღვრება **ხელშეკრულებაში** ფიქსირებული **გადახდის თარიღის** მომდევნო დღე თუ **გადახდის თარიღის** დღის ბოლოსთვის (ამ დღის 24 საათის ჩათვლით) **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე განთავსებული თანხა ნაკლებია **მინიმალურ გადასახადზე** (რაც მოიცავს **დაანგარიშების თარიღის** დღის ბოლოსთვის ათვისებული **საკრედიტო ლიმიტის** მოცულობის და **საკრედიტო ბარათზე** დარიცხული გადასახდელების (ასეთის არსებობისას: წინა **საანგარიშგებო პერიოდ(ებ)ში საკრედიტო ლიმიტის** ათვისებულ ოდენობაზე ტარიფების შესაბამისად დარიცხული გადაუხდელი **ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიო**, ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტი, და სხვა) ჯამს ან/და **გადახდის თარიღის** მომდევნო დღის (**ხელშეკრულებით ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიოს** გადახდის თარიღად განსაზღვრული დღე) მეორე (მომდევნო) დღე თუ **გადახდის თარიღის** მომდევნო დღის ბოლოსთვის (ამ დღის 24 საათის ჩათვლით) **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე განთავსებული თანხა ნაკლებია **ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიოს** ოდენობაზე;

2.1.13. **ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტი** - როგორც ეს მოცემულია წინამდებარე **პირობების** დანართში #1 და დანართში # 2;

2.1.14. **ვადაგადაცილების ფიქსირებული პირგასამტეხლო** - როგორც ეს მოცემულია წინამდებარე **პირობების** დანართში #1 და დანართში # 2;

2.1.15. **ვადაგადაცილებული დავალიანება** - **კლიენტის სრული დავალიანება ბანკის** წინაშე, რომელიც არ არის გადახდილი წინამდებარე **პირობებით** დადგენილ ვადებში;

2.1.16. **ვერიფიცირებული ნომერი - ბანკში** დაფიქსირებული **კლიენტის** მობილური ტელეფონის ნომერი, რომელიც ვერიფიკაციას გადის **ბანკში** დადგენილი პროცედურების შესაბამისად და **ბანკის** მიერ საკუთარი (**ბანკის)** შეხედულებისამებრ გამოიყენება **კლიენტთან** კომუნიკაციისას.

2.1.17. **ინტერნეტ ბანკი - ბანკის** დისტანციური საბანკო მომსახურების ერთ-ერთი არხი, რომლის მეშვეობითაც **კლიენტს** შესაძლებლობა აქვს **ბანკში** გამოუცხადებლად, **ბანკის** ინტერნეტ გვერდის https://my.libertybank.ge/ საშუალებით, მიიღოს სხვადასხვა ინფორმაცია და აწარმოოს განსაზღვრული საბანკო ოპერაციები;

2.1.18. **კლიენტი** - პირი, რომლის სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო მონაცემები მითითებულია **საკრედიტო ბარათით** მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში (მათ შორის **ტოპ ქარდის განვადების ლიმიტით** სარგებლობის ხელშეკრულებაში), რომლის საფუძველზე **ბანკის** თანხმობით სარგებლობს წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული მომსახურებით ან/და პროდუქტებით;

2.1.19. **კლიენტის დეფოლტი - ბანკის** მიმართ, **კლიენტის** მიერ ნებისმიერი ვალდებულების დარღვევა, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებებისა;

2.1.20. **კონფიდენციალური ინფორმაცია** - თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ხელშეკრულება** (გარდა წინამდებარე **პირობებისა**) და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი, **ხელშეკრულების** დადების ან/და მისი შესრულების შედეგად ერთ-ერთი **მხარის** მიერ მეორე **მხარის** შესახებ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან/და გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის ინფორმაცია/დოკუმენტაცია **მხარის** პერსონალური, წილობრივი, ფინანსური მონაცემების, **მხარის** მფლობელი/მმართველი/ურთიერთდაკავშირებული **პირის**, მესამე პირთან არსებული გარიგებ(ებ)ის, მფლობელობაში არსებული მოძრავი ან/და უძრავი ობიექტ(ებ)ის, ბიზნეს პროცესის/პროცედურების, მარკეტინგული სტრატეგიის, პროექტ(ებ)ის ან/და სხვა სახის მონაცემების შესახებ) ან/და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

2.1.21. **ლარი** - საქართველოს ოფიციალური ვალუტა;

2.1.22. **მობაილ ბანკი - ბანკის** დისტანციური საბანკო მომსახურების ერთ-ერთი არხი, რომლის მეშვეობითაც **კლიენტს** შესაძლებლობა აქვს **ბანკში** გამოუცხადებლად, მობილური ტელეფონის საშუალებით, მიიღოს სხვადასხვა ინფორმაცია და აწარმოოს განსაზღვრული საბანკო ოპერაციები;

2.1.23. **უნივერსალური (იგივე ლიბერთი) ანგარიში** - **ბანკში** არსებული **კლიენტის** მულტისავალუტო მიმდინარე ანგარიში;

2.1.24. **უნივერსალური ანგარიშის მომსახურების პირობები** - უნივერსალური ანგარიშის მომსახურების **ბანკის** მიერ დადგენილი პირობები https://libertybank.ge/ka/agreements/liberti-angarishi, რომელიც **ბანკის** ერთპიროვნული გადაწყვეტილებით შესაძლოა დროდადრო შეიცვალოს;

2.1.25. **მინიმალური გადასახადი** - **კლიენტის** მიერ **საკრედიტო ბარათის** მინიმალური ყოველთვიური გადასახადით დაფარვის ოფციის არჩევის შემთხვევაში, **საკრედიტო ბარათის** მეშვეობით ათვისებული თანხის ყოველთვიურად გადასახდელი მინიმალური ოდენობა, რომელიც მოიცავს ქვემოთ მოცემული ერთ-ერთი ოდენობიდან უმცირესს: ა) **დაანგარიშების თარიღის** მდგომარეობით **საკრედიტო ლიმიტის** ათვისებული მოცულობისა და **საკრედიტო ბარათზე** დარიცხული გადასახდელების (ასეთის არსებობისას: წინა **საანგარიშგებო პერიოდ(ებ)ში საკრედიტო ლიმიტის** ათვისებულ ოდენობაზე ტარიფების შესაბამისად დარიცხული გადაუხდელი პროცენტი (ან/და ახალი ბარათის (მათ შორის მასწავლებლის ახალი ბარათის შემთხვევაში) **ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიო**), ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტი, ყოველთვიური მომსახურების საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა) ჯამი; (ბ) ყოველთვიური ფიქსირებული თანხა, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია **საკრედიტო ლიმიტის** მოცულობაზე და განსაზღვრულია წინამდებარე **პირობების** დანართში #1 (აღნიშნული არ ვრცელდება ახალ ბარათზე (მათ შორის მასწავლებლის ახალ ბარათზე) და **ტოპ ქარდის ბარათზე);** (გ) ახალი ბარათის (მათ შორის, მასწავლების ახალი ბარათის) შემთხვევაში აგრეთვე **ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიოს** ოდენობით თანხა, თუ კი **კლიენტი** სარგებლობს **ნულოვანი საკომისიოს** პირობით, კერძოდ გადახდილი აქვს **დაანგარიშების თარიღის** მდგომარეობით ათვისებული **საკრედიტო ლიმიტის** ოდენობით თანხა და **საკრედიტო ლიმიტთან** დაკავშირებული ყველა შესაბამისი გადასახდელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე სრულად დაფარული აქვს განვლილ (წინა) **საანგარიშგებო პერიოდებში საკრედიტო ბარათზე** რიცხული ნებისმიერი და ყოველი გადასახდელი. დ) **ტოპქარდის ბარათით** სარგებლობის შემთხვევაში **მინიმალური გადასახადი** წარმოადგენს **ბანკის** მიერ დამტკიცებული/გაცემული **განვადების ლიმიტის** მოცულობის მიხედვით განსაზღვრულ (დაანგარიშებულ) ყოველთვიურად გადასახდელ თანხას, რომლის მოცულობა არ იცვლება ყოველი კონკრეტული **დაანგარიშების თარიღისთვის**, თუ კი **ბანკი** სხვაგვარად არ გადაწყვეტს და სავალდებულოდ მოიცავს **განვადების ლიმიტის** ძირითადი თანხისა და დარიცხული **პროცენტის** ჯამს. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ **მინიმალური გადასახადის** ოდენობა ყოველი **დაანგარიშების თარიღისთვის** შეიძლება არ იღებდეს განსხვავებულ მნიშვნელობებს, **მინიმალური გადასახადის** მოცულობის ფარგლებში დასაფარი **კრედიტის** ძირითადი თანხის ან/და **საპროცენტო სარგებლის** პროცენტული გადანაწილება (გადახდილი თანხიდან **კრედიტის** ძირითადი თანხის ან/და **პროცენტის** დასაფარად მისამართი თანხის ოდენობა) ექვემდებარე **ბანკის** მიერ ცვლილებას **კლიენტის** მიერ ათვისებული თანხის ოდენობის, დაფარვის ვადების, **კლიენტის** მიერ განხორციელებული შენატანების გათვალისწინებით ან/და **ფინანსური ხარჯების** ცვლილების შესაბამისად. (ე) **კლიენტის** მიერ **საკრედიტო ბარათის** ანუიტეტური გრაფიკით დაფარვის ოფციით არჩევის შემთხვევაში, **მინიმალურ გადასახადს** წარმოადგენს **გრაფიკით** განსაზღვრული ყოველთვიურად გადასახდელი თანხა. ამასთან, თუ **კლიენტს საკრედიტო ბარათზე** აღენიშნება ვადაგადაცილება, **მინიმალური გადასახადი** მოიცავს როგორც ზემოთ აღნიშნულ გადასახდელებს, ისე განვლილ **საანგარიშგებო პერიოდ(ებ)ში** გადაუხდელ **მინიმალურ გადასახად(ებ)ს,** მიმდინარე **დაანგარიშების თარიღის** მდგომარეობით დარიცხულ **ვადაგადაცილების ფიქსირებულ პირგასამტეხლოს** (ასეთის არსებობისას), **ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტს** და ასევე, განვლილ **საანგარიშგებო პერიოდ(ებ)ში** წარმოშობილ და დაუფარავ ნებისმიერ სხვა **პირგასამტეხლოს** და გადასახდელს;

2.1.26. **მხარე/მხარეები** - **ბანკი** ან/და **კლიენტი** ან/და დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ი კონტექსტის შესაბამისად;

2.1.27. **საკრედიტო ბარათის მთლიანი დავალიანება** ან **მთლიანი დავალიანება - დაანგარიშების თარიღისათვის საკრედიტო ბარათზე** არსებული **სრული დავალიანება** ან თანხა, რომლის **საკრედიტო ბარათის ანგარიშზე** შეტანისას **ანგარიშის** ნაშთი ხდება ნულის ტოლი;

2.1.28. **ნულოვანი პროცენტის პირობა** - პირობა, რომლითაც **კლიენტი** უფლებამოსილია უპროცენტოდ ისარგებლოს **საკრედიტო ლიმიტით** წინა **საანგარიშგებო პერიოდის** განმავლობაში. აღნიშნული პირობა დგება იმ შემთხვევაში, თუ: **კლიენტი გადახდის პერიოდის** განმავლობაში სრულად დაფარავს **დაანგარიშების თარიღისათვის** ათვისებულ **საკრედიტო ლიმიტის** თანხას. ამასთან, აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია როგორც ერთიანად, ისე ნაწილ-ნაწილ. თუ **კლიენტი** ისარგებლებს **ნულოვანი პროცენტის პირობით,** მას (**კლიენტს**), ასევე, არ დაერიცხება ყოველთვიური მომსახურების საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განვლილ **საანგარიშგებო პერიოდზე. ნულოვანი პროცენტის პირობა** არ ვრცელდება **საკრედიტო ბარათზე** ანუიტეტური გრაფიკით დაფარვის პირობით, ასევე **ტოპ ქარდზე**;

2.1.29. **ნულოვანი საკომისიოს პირობა** - პირობა, რომლითაც **კლიენტი** უფლებამოსილია **ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიოს** გარეშე ისარგებლოს **საკრედიტო ლიმიტით** წინა **საანგარიშგებო პერიოდის** განმავლობაში. აღნიშნული პირობა დგება იმ შემთხვევაში, თუ: მიმდინარე **გადახდის პერიოდში კლიენტს გადახდის თარიღის** დღის ბოლომდე (გადახდის თარიღის დღის 24 საათის ჩათვლით) **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე განთავსებული ექნება (**საკრედიტო ბარათზე** თანხის შეტანის ან/და ჩარიცხვის გზით) **დაანგარიშების თარიღის** დღის ბოლოსთვის **საკრედიტო ლიმიტიდან** ათვისებული ოდენობით თანხა და

აღნიშნული თანხით დაფარავს **საკრედიტო ლიმიტის** ათვისებულ ოდენობას სრულად. **ნულოვანი საკომისიოს პირობა** არ ვრცელდება **საკრედიტო ბარათზე** ანუიტეტური გრაფიკით დაფარვის პირობით, ასევე **ტოპ ქარდზე**;

2.1.30. **ოპერაცია** ან **ტრანზაქცია** - განისაზღვრება **უნივერსალური ანგარიშის მომსახურების პირობებში** მოცემული **ოპერაციის** ან **ტრანზაქციის** განმარტების მიხედვით და მათ შორის მოიცავს წინამდებარე **პირობებში** მოცემული **თანხის გატანის ტოლფას ოპერაციას;**

2.1.31. **პერსონალური მონაცემ(ებ)ი** - განიმარტება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;

2.1.32. **პირგასამტეხლო** - **ვადაგადაცილების ფიქსირებული პირგასამტეხლო**, **ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტი**, **საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის პირგასამტეხლო**, **საკრედიტო ბარათის დეფოლტის** პირგასამტეხლო ან/და **პირობებით** განსაზღვრული ნებისმიერი სხვა პირგასამტეხლო ან/და საჯარიმო სანქცია;

2.1.33. **პარტნიორი ობიექტი** - კომერციული საქმიანობის განმახორციელებელი პირი, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფება **ბანკთან** და თუ კი **ბანკი** ამგვარად გადაწყვეტს, **კლიენტს** შესაძლებლობა ექნება **ტოპ ქარდის** (**განვადების ლიმიტის** ფარგლებში) გამოყენებით განახორციელოს მის (**პარტნიორი ობიექტის**) მიერ შეთავაზებული პროდუქტის/მომსახურების შესყიდვა განსხვავებული საგანვადებო პირობებით, ვიდრე ეს განსაზღვრულია **არაპარტნიორ ობიექტებში განვადების ლიმიტით** სარგებლობისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში). **პარტნიორი ობიექტების** შესახებ ინფორმაცია **კლიენტს** შეუძლია მოიძიოს **ბანკის** ვებ-გვერდსა და ინტერნეტბანკში (ვებ-გვერდის მისამართი https://libertycredit.ge/):

2.1.34. **ტოპ ქარდის რეკომენდებული გადასახადი** – ყოველთვიურად გადასახდელი თანხა, რომლის **ბანკის** მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად გადახდის შემთხვევაშიც **კლიენტს** შესაძლოა არ დაერიცხოს **განვადების ლიმიტით** სარგებლობისთვის განსაზღვრული **პროცენტი. რეკომენდებული გადასახადის** დაფარვის წესი (მათ შორის მისი მოცულობა, დაფარვის ვადა ან/და სხვა პირობები) არის ცვალებადი და **ბანკის** მიერ შესაძლოა განისაზღვროს ყოველი კონკრეტული **დაანგარიშების თარიღისთვის** ცალ-ცალკე, სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით, მათ შორის რეკომენდებული გადასახადის დაფარვის პირობები შესაძლოა დამოკიდებული იყოს **დაანგარიშების თარიღისთვის** ათვისებული ტრანშის ოდენობაზე, **კლიენტის** მიერ დაანგარიშების თარიღისთვის განხორციელებულ შენატანებზე/გადახდებზე, **ბანკსა** და **პარტნიორ ობიექტებს** შორის შეთანხმებულ განვადების პირობებზე, **ბანკის** მიერ განსაზღვრულ განვადების პირობებზე **არაპარტნიორ ობიექტებში განვადების ლიმიტის** გამოყენებასთან დაკავშირებით, ლიმიტის განაღდებისთვის/გადარიცხვისთვის ან/და **განვადების ლიმიტით** გადასახდელების დაფარვისთვის გათვალისწინებულ პირობებზე, **კლიენტის** ფინანსურ მდგომარეობასა ან/და **ბანკის** შიდა პოლიტიკა/პროცედურებით განსაზღვრულ პირობებზე. ამასთან, **რეკომენდებული გადასახადის** დაფარვის ვადა შეიძლება განისაზღვროს **პარტნიორ ობიექტში** გახარჯული **განვადების ლიმიტის** მოცულობის **პარტნიორ ობიექტსა** და **ბანკს** შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე გაყოფის შედეგად მიღებული რიცხობრივი მაჩვენებლით, ხოლო იმავე პრინციპის დაცვით **არაპარტნიორ ობიექტებში** გახარჯული განვადების ლიმიტი/ტრანში, **კლიენტის** მიერ განაღდებული **განვადების ლიმიტის** ტრანში განაღდების საკომისიოს ჩათვლით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გადარიცხული ლიმიტის ტრანში გადარიცხვის საკომისიოს ჩათვლით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და გადასახდელების გადახდისათვის გამოყენებული **განვადების ლიმიტის** ტრანში შესაბამისი საკომისიოს ჩათვლით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაძლოა გადანაწილდეს **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ვადაზე, თუ წინამდებარე **პირობებით** ან/და **მხარეთა** შორის გაფორმებული კონკრეტული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. **ბანკი** უფლებამოსილია **რეკომენდებული გადასახადის** დაფარვის პირობები **კლიენტისთვის** ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსების გზით ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით, მათ შორის **კლიენტის** მიერ **ბანკში** დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) გაგზგავნის მეშვეობით.

2.1.35. **საანგარიშგებო პერიოდი** - **დაანგარიშების თარიღებს** შორის დროის მონაკვეთი;

2.1.36. **საბანკო პლასტიკური ბარათი** ან **საბანკო ბარათი** ან **პლასტიკური ბარათი** - **ბანკის** მიერ **კლიენტზე ბანკში** დადგენილი პროცედურების შესაბამისად გაცემული საერთაშორისო (VISA, MasterCard ან CUP) ან ლოკალური (PAY) პერსონიფიცირებული (ბარათზე ამოტვიფრული კლიენტის სახელი და გვარით) ან არაპერსონიფიცირებული საბანკო პლასტიკური ბარათი, რომლით სარგებლობის და რომლის უსაფრთხოების პირობები განისაზღვრება **უნივერსალური ანგარიშის** და PAY ანგარიშის **მომსახურების პირობებისა** და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

2.1.37. **საბანკო დღე - ბანკის** მიერ დადგენილი სამუშაო დღის (**ბანკის** მიერ განსაზღვრული დასვენების ან/და კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეების გარდა) ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც **ბანკი** ახორციელებს საბანკო მომსახურებას;

2.1.38. **საკრედიტო ბარათი - ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** დამზადებული საკრედიტო ბარათ(ებ)ი (მათ შორის „ახალი ბარათი", „ახალი საკრედიტო ბარათი", „Magic Card საკრედიტო ბარათი, „მასწავლებლის საკრედიტო ბარათი", „Instanta Card", „განვადების ბარათი შოპინგ ქარდი", „მასწავლების ახალი ბარათი", „ **ტოპ ქარდის განვადების ბარათი** (შემდგომში შეიძლება მოხსენიებულ იქნას - როგორც **განვადების ბარათი** ან **ტოპ ქარდის განვადების ბარათი** ან **ტოპ ქარდის ბარათი** ან **ტოპ ქარდი**)), რომელიც შესაძლებელია **ბანკმა** დრო და დრო გამოუშვას და შესთავაზოს **კლიენტებს**, რომელზეც დაიშვება **ბანკის** მიერ განსაზღვრული **საკრედიტო ლიმიტი** და რომელსაც გააჩნია მინიმალური ყოველთვიური გადასახადით, **რეკომენდებული გადასახადით,** რომელიც წარმოადგენს მინიმალური ყოველთვიური გადასახადით დაფარვის ოფციის ქვესახეობას ან ანუიტეტური გრაფიკით დაფარვის ოფციები. **საკრედიტო ბარათის** მინიმალური ყოველთვიური გადასახადით დაფარვის ოფცია გულისხმობს **საკრედიტო ბარათით** სარგებლობას, რა დროსაც **კლიენტი** უფლებამოსილია ათვისებული **საკრედიტო ლიმიტი** და დარიცხული **პროცენტი/ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიო** დაფაროს მინიმალური ყოველთვიური შენატანების განხორციელების გზით **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობებისა და წესების შესაბამისად, ხოლო **საკრედიტო ბარათის** ანუიტეტური გრაფიკით დაფარვის ოფცია გულისხმობს **საკრედიტო ბარათით** სარგებლობას, რა დროსაც ათვისებული **საკრედიტო ლიმიტის** და დარიცხული **პროცენტის** დაფარვა ხდება **გრაფიკით** განსაზღვრულ თარიღებში და ოდენობით **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობებისა და წესების შესაბამისად; **ბანკის** მიერ ერთპიროვნული გადაწყვეტილების საფუძველზე, **საკრედიტო ბარათი** შეიძლება იყოს როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი;

2.1.39. **საკრედიტო ბარათის გაუქმება - საკრედიტო ბარათის** მოქმედების შეწყვეტა;

2.1.40. **საკრედიტო ბარათის დეფოლტი - კლიენტის** მიერ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანების გადაუხდელობა, რომელიც უწყვეტად გრძელდება **ვადაგადაცილების თარიღიდან** სულ მცირე 90 (ოთხმოცდაათი) დღე მაინც და წარმოშობს **ბანკის** უფლებას **საკრედიტო ბარათის** და წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული მომსახურების შეწყვეტაზე;

2.1.41. **საკრედიტო ლიმიტი** - თანხის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც **კლიენტი** უფლებამოსილია ისარგებლოს **ბანკის** მიერ **საკრედიტო ბარათზე** დაშვებული საკრედიტო რესურსით; **ტოპ ქარდის განვადების ბარათით** სარგებლობისას **ტოპ ქარდის ბარათის ანგარიშზე ბანკის** მიერ დაიშვება **განვადების საკრედიტო ლიმიტი** (ან შემდგომში ასევე შეიძლება მოხსენიებულ იქნას როგორც - **განვადების ლიმიტი**);

2.1.42. **საკრედიტო ლიმიტის ბლოკირება - საკრედიტო ლიმიტის** გახარჯვის უფლების შეჩერება;

2.1.43. **საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვა - საკრედიტო ბარათზე** დაშვებული ლიმიტის ზღვრულ ოდენობაზე მეტი თანხის ნებისმიერი სახით გამოყენება;

2.1.44. **საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის პირგასამტეხლო** ან **გადახარჯვის პირგასამტეხლო** - როგორც ეს მოცემულია წინამდებარე **პირობების** დანართში #1;

2.1.45. **საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადა** - 48 (ორმოცდარვა)[2] თვე **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე **საკრედიტო ლიმიტის** დაშვებიდან/გააქტიურებიდან ან **საკრედიტო ლიმიტის ბანკის** მიერ გადახედვის თარიღიდან, თუ **ხელშეკრულების** პირობებიდან გამომდინარე რაიმე სხვა არ არის განსაზღვრული;

2.1.46. **საპროცენტო განაკვეთი** ან **პროცენტი** - როგორც ეს მოცემულია წინამდებარე **პირობების** დანართში #1 ან/და შესაბამის ხელშეკრულებაში;

2.1.47. **ტრანში** - **განვადების ლიმიტის** ფარგლებში **კლიენტის** მიერ ათვისებული/გამოყენებული თანხა;

2.1.48. **ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიო -** ახალი ბარათის (მათ შორის, მასწავლებლის ახალი ბარათის) შემთხვევაში **საკრედიტო ლიმიტით** სარგებლობის **ბანკის** მიერ დადგენილი საზღაური (საკომისიო), რომელიც განისაზღვრება **ბანკსა** და კლიენტს **შორის ხელშეკრულებით** შეთანხმებული **საკრედიტო ლიმიტის** ოდენობის მიხედვით. აგრეთვე, **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **საკრედიტო ლიმიტის** გაზრდის/შემცირების შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია გაზარდოს ან/და შეამციროს **ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიოს** ოდენობა და განსაზღვროს იგი ცვლილების შედეგად მიღებული **საკრედიტო ლიმიტის** მოცულობის შესაბამისად.

2.1.49. **სრული დავალიანება** - **კლიენტის** მიერ **საკრედიტო ბარათის** სარგებლობასთან დაკავშირებული **ბანკის** წინაშე წარმოქმნილ **კლიენტის** ვალდებულებათა ერთობლიობა, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ნებისმიერი სახის ძირითად თანხას, მასზე დარიცხულ **პროცენტს, პირგასამტეხლოსა** და საკომისიოებს (მათი არსებობის შემთხვევაში);

---

[2] თუ დროის გარკვეულ მონაკვეთში **კანონმდებლობა საკრედიტო ლიმიტის** მოქმედების მაქსიმალურ ვადად განსაზღვრავდა 36 (ოცდათექვსმეტი) თვეს, ასეთი მოთხოვნის ძალაში შესვლამდე მაქსიმუმ 48 (ორმოცდარვა) თვის ვადით დაშვებული **საკრედიტო ლიმიტების** მოქმედების ვადა ავტომატურად არ შემცირდებოდა 36 (ოცდათექვსმეტი) თვემდე, თუ **ბანკი** სხვაგვარად არ გადაწყვეტდა.

2.1.50. **MasterCard MoneySend საბარათე გადარიცხვები** - MasterCard-ის საერთაშორისო საგადამხდელო სისტემაში ჩართული ერთი ბარათიდან იმავე ან სხვა საგადამხდელოს სისტემაში ჩართულ ბარათზე თანხის გადარიცხვის და ან ჩარიცხვის ოპერაცია, რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთ შესაბამისი ფინანსური ინსტიტუტის მიერ განსაზღვრული არხებით და პირობებით.

2.1.51. **VISA Direct საბარათე გადარიცხვები** - Visa საერთაშორისო საგადამხდელო სისტემაში ჩართული ერთი ბარათიდან იმავე ან სხვა საგადამხდელო სისტემაში ჩართულ ბარათზე თანხის გადარიცხვის და ან ჩარიცხვის ოპერაცია, რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთ შესაბამისი ფინანსური ინსტიტუტის მიერ განსაზღვრული არხებით და პირობებით.

2.1.52. **საბანკო ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი** ან **3D უსაფრთხოება** - მომსახურება, რომლის მიზანია უზრუნველყოს VISA და MasterCard-ის საერთაშორისო საგადამხდელო სისტემაში ჩართული **ბარათით** ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციების უსაფრთხოდ შესრულება;

2.1.53. **სავაჭრო/მომსახურების ობიექტის კოდი** ან **MCC** – ISO 18245 სტანდარტით სავაჭრო/მომსახურების ობიექტის საქმიანობების ჭრილში დადგენილი ოთხნიშნა კოდი;

2.1.54. **წვდომის კოდ(ებ)ი - საკრედიტო ბარათის** PIN კოდ(ებ)ი, პაროლ(ებ)ი, მომხმარებლის სახელი ან/და ნებისმიერი სხვა სახის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც **ბანკმა** შეიძლება **კლიენტს** მიაწოდოს სხვადასხვა საბანკო მომსახურებებთან უსაფრთხო წვდომისა და სარგებლობისათვის;

2.1.55. **თანხის გატანის ტოლფასი ოპერაცია** - საბანკო ბარათით და/ან **საკრედიტო ბარათის** ანგარიშიდან საქონლის ან/და მომსახურების შეძენა, რომელიც მომდევნო ეტაპზე შესაძლებელია გადაიქცეს ფულად რესურსად. ასეთი სახის ოპერაციები მოიცავს მათ შორის კაზინოში ან ტოტალიზატორში ფსონის დადებას, ფულადი გზავნილის გადარიცხვას, ერთი საბანკო ბარათიდან მეორე ბარათზე გადარიცხვას VISA Direct / MasterCard MoneySend სერვისის გამოყენებით, ელექტრონული საფულის ბალანსის შევსებას, სამოგზაურო ჩეკ(ებ)ის შეძენას და სხვა ოპერაციებს. **თანხის გატანის ტოლფასი ოპერაცია** შეიძლება ჩატარდეს საბანკო ბარათით როგორც ჩვეულებრივად (მაღაზია, კაზინო, ბანკი და სხვა დაწესებულება), ასევე დისტანციურად ინტერნეტის, ტელეფონის ან/და სხვა არხის გამოყენებით, რომელიც არ ითვალისწინებს მომხმარებლის ფიზიკურ ყოფნას საქონლის/მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციის ობიექტში.

2.1.56. **ყულაბა** ან **თანხის დაგროვების სერვისი** - საბანკო მომსახურება, რომელიც **კლიენტს** შესაძლებლობას აძლევს დააგროვოს თანხა **ბანკში** გახსნილ მოთხოვნამდე ტიპის ანაბრის ანგარიშზე, **ბანკის** მიერ შეთავაზებული დაგროვების სქემის შესაბამისად.

## 3. კლიენტის განცხადებები

3.1. **კლიენტი საკრედიტო ბარათით** მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერით ან/და **პირობებით** გათვალისწინებული მომსახურებით სარგებლობით აცხადებს თანხმობას, რომ:

3.1.1. **კლიენტს** აქვს სრული უფლებამოსილება (ან მიიღებს შესაბამის უფლებამოსილებას), იმისათვის, რომ ხელი მოაწეროს ან **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით დაეთანხმოს და შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ან ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით და **განაცხადებით** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული ვალდებულებები;

3.1.2. **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის განაცხადის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახით ან სხვა რაიმე ფორმით წარდგენილი ინფორმაცია ზუსტი, უტყუარი და სრულია;

3.1.3. წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული ოპერაცი(ებ)ის შესრულებით არ დაირღვევა სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის პირობები ან **კლიენტის** სხვა ვალდებულებ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან რაიმე სახის კანონი, დებულება, წესი, განკარგულება, სასამართლო გადაწყვეტილება, ბრძანება, მითითება, სასამართლო დადგენილება ან სახელმწიფოს, სახელმწიფო ან მარეგულირებელი ორგანოს, სასამართლო ან საარბიტრაჟო ორგანოს მიერ დაწესებული რაიმე შეზღუდვა, რომლის დაცვაზეც პასუხისმგებელია **კლიენტი.** ამ **პირობებით** განსაზღვრული ოპერაციის შესრულება არ მოვა წინააღმდეგობაში ან არ დაარღვევს რაიმე სახის ხელშეკრულებას, კონტრაქტს, ლიცენზიას ან სხვა სახის შეთანხმებას, რომლის **მხარესაც** წარმოადგენს **კლიენტი;**

3.1.4. **კლიენტი** არ მონაწილეობს ან მას არ ემუქრება ისეთი სასამართლო პროცესი, რომელმაც შედეგად შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მის ფინანსურ მდგომარეობასა ან საქმიანობაზე;

3.1.5. **კლიენტი** არ არის ჩაბმული ან არ მონაწილეობს არცერთი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ რაიმე სახის უკანონო საქმიანობაში (მათ შორის ფულის გათეთრებაში, იარაღით ვაჭრობაში, ტერორიზმსა ან სხვა სახის უკანონო საქმიანობაში).

3.1.6. **მხარეთა** შორის ელექტრონული ფორმით დადებულ ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად აღნიშნული გარიგების დადებაზე ელექტრონული ფორმით ნების გამოვლენას) აქვს მატერიალური დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა (მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა).

3.2. აღნიშნული **განცხადებები** ძალაშია ამ ხელშეკრულების მთელი ვადის განმავლობაში.

3.3. **კლიენტი** ყველანაირი საშუალებით უზრუნველყოფს, რომ მასთან დაკავშირებულმა პირებმა (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)) ამ ხელშეკრულების მთლიანი ვადის განმავლობაში არ განახორციელონ ისეთი ქმედება, რომელიც გამოიწვევს აქ მოყვანილი გარანტიების დარღვევას.

3.4. ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ **კლიენტი** დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს **ბანკს** ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ამ ხელშეკრულებაში მოცემული გარანტიების დარღვევა ან წინააღმდეგობაში მოვიდეს აღნიშნულ განცხადებებთან.

3.5. აღნიშნული განცხადებების დარღვევის შემთხვევაში (რითაც არ იზღუდება **ბანკის** უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეული იქნება გარანტიების ამგვარი დარღვევით), თუ **კლიენტი** ვერ შეძლებს ამ დარღვევის აღმოფხვრას დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) **საბანკო დღის** განმავლობაში, **კლიენტი** თანახმაა **ბანკს** აუნაზღაუროს და დაიცვას **ბანკი** ნებისმიერი ზარალისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც **ბანკი** გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას.

## 4. საკრედიტო ლიმიტი

4.1. **განაცხადის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და **საკრედიტო ბარათით** მომსახურების შესახებ ხელშეკრულების შევსებით **კლიენტი** ადასტურებს თავის ნებას მიიღოს **საკრედიტო ბარათი** და მასზე დაშვებული **საკრედიტო ლიმიტი.**

4.2. **კლიენტის** მიერ **განაცხადის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შევსება და ხელმოწერა ან მასზე **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით დათანხმება ან/და **საკრედიტო ბარათით** მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერა ან **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით დათანხმება არ ავალდებულებს **ბანკს** უპირობოდ გაუწიოს **კლიენტს** წინამდებარე **პირობებით** და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

4.3. **ბანკი კლიენტს საკრედიტო ბარათს** გადასცემს სარგებლობაში დალუქული კონვერტით, ხოლო **საკრედიტო ბარათით** ოპერაციების საწარმოებლად საჭირო **წვდომის კოდს** (PIN-კოდი) გადასცემს დალუქული კონვერტით ან/და უგზავნის **განაცხადში** დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით.

4.4. **საკრედიტო ლიმიტის** ოდენობა განისაზღვრება **ბანკის** ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, მათ შორის **კლიენტის** მიერ **განაცხადში** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაფიქსირებული მოთხოვნის გათვალისწინებით.

4.5. **საკრედიტო ბარათზე საკრედიტო ლიმიტი** მტკიცდება **საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადით.** იმ შემთხვევაში, თუ **საკრედიტო ლიმიტი** უზრუნველყოფილია ანაბრით, მისი მოქმედების ვადა შესაძლებელია შეწყდეს ანაბრის მოქმედების ვადის ბოლო დღეს ან მისი (ანაბრის) ვადაზე ადრე შეწყვეტის თარიღზე. მიუხედავად წინამდებარე პუნქტის დებულებებისა, **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად განსაზღვროს **საკრედიტო ლიმიტის** მოქმედების ნებისმიერი სხვა ვადა.

4.6. **კლიენტი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს **საკრედიტო ლიმიტის** გაზრდა ან შემცირება, მაგრამ ამავდროულად **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება **საკრედიტო ლიმიტის** გაზრდის ან შემცირების შესახებ, რაზედაც **კლიენტი** აცხადებს უპირობო თანხმობას.

4.7. ანუიტეტური გრაფიკით დაფარვის ოფციის შემთხვევაში **კლიენტის** მიერ **საკრედიტო ლიმიტის** ყოველი შემდგომი ათვისებისას, იმ შემთხვევაში თუ ასეთი ათვისების შემდეგ ჯამურად ათვისებული **საკრედიტო ლიმიტის** მოცულობა გადააჭარბებს იმ თანხის მოცულობას, რა თანხაზეც დაგენერირებულია/შედგენილია წინა **გრაფიკი** ან/და წინამდებარე **ხელშეკრულების** შესაბამისად ვადამდე დაფარვისას მოხდება **გრაფიკის** ცვლილება და ახალი გრაფიკის შედგენა/დაგენერირება. ახალი **გრაფიკის** დაგენერირების/შედგენისა და **გრაფიკთან** დაკავშირებული სხვა დეტალების შესახებ **კლიენტს** ინფორმაცია მიეწოდება **ბანკის** მიერ განსაზღვრული ფორმით და არხით, მათ შორის **კლიენტის** მიერ **ბანკში** დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) მეშვეობით. **საკრედიტო ლიმიტის** ათვისების ან/და წინამდებარე **ხელშეკრულების** შესაბამისად ვადამდე დაფარვის ქმედებით **კლიენტი** ეთანხმება **გრაფიკის** ცვლილებას, რაც ითვლება მის მიერ მატერიალურ დოკუმენტზე თანხმობის განცხადების/ნების გამოხატვის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ და აღნიშნული ცვლილება **კლიენტის** მხრიდან დამატებით თანხმობას აღარ საჭიროებს.

4.8. თუ **კლიენტი საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადის** ამოწურვამდე 30 (ოცდაათი) დღით ადრე წერილობით არ მოითხოვს **საკრედიტო ლიმიტის** შეწყვეტას (და შესაბამისად **საკრედიტო ბარათის გაუქმებას**), **ბანკი** უფლებამოსილია **საკრედიტო ლიმიტის** მოქმედების თითოეული ვადის ამოწურვამდე 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში თავისი შეხედულებისამებრ გადახედოს **კლიენტის**

**საკრედიტო ბარათის** ლიმიტს და დაამტკიცოს (ან არ დაამტკიცოს) ის **საკრედიტო ლიმიტის** მოქმედების მომდევნო ვადით.

4.9. **ბანკი** უფლებამოსილია, რომ **კლიენტის** მოთხოვნის ან **ბანკის** მიერ მისთვის ყოველგვარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე ნებისმიერ დროს გაზარდოს ან შეამციროს **კლიენტის საკრედიტო ლიმიტი**, რაზედაც **კლიენტი** აცხადებს უპირობო თანხმობას.

4.10. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა ანაბრის თანხიდან, იმ შემთხვევაში თუ ანაბრით უზრუნველყოფილი **საკრედიტო ლიმიტით** მოსარგებლე **კლიენტი** დაარღვევს წინამდებარე **პირობებს.**

4.11. იმ შემთხვევაში, თუ **ბანკი საკრედიტო ლიმიტის** გადახედვის შედეგად შეუმცირებს **კლიენტს საკრედიტო ლიმიტს** და შედეგად **კლიენტის** მიერ ათვისებული თანხა გადააჭარბებს ახლად დამტკიცებულ შემცირებულ **საკრედიტო ლიმიტს, კლიენტი** ვალდებული იქნება დაფაროს წარმოშობილი სხვაობა მისი (სხვაობის) წარმოშობიდან 10 (ათი) **საბანკო დღის** ვადაში.

## 5. ტოპ ქარდით სარგებლობის განსაკუთრებული პირობები

5.1. **ტოპქარდის ბარათი** წარმოადგენს **საკრედიტო ბარათის** ქვეტიპს, რომელიც გაიცემა **ტოპქარდის განვადების ლიმიტით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების** საფუძველზე და რომელზეც **ბანკის** მიერ ხორციელდება **განვადების ლიმიტის** დაშვება.

5.2. **ტოპ ქარდზე** სრულად ვრცელდება მათ შორის წინამდებარე **პირობებით,** ასევე **ფიზიკური პირის მომსახურების პირობებით** განსაზღვრული დებულებები ამავე **პირობების** მე-5 მუხლში მოცემული დათქმების გათვალისწინებით. ამასთან, **პირობების** მე-5 მუხლით განსაზღვრულ დებულებებსა და **პირობების** სხვა დათქმებს შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება მოცემული მუხლით გათვალისწინებულ დებულებებს/დათქმებს;

5.3. **ტოპქარდის ბარათი** შესაძლებელია გაიცეს როგორც უსახელო (არაპერსონიფიცირებული) ბარათის სახით, ასევე სახელობითი (პერსონიფიცირებული) ბარათის ფორმით.

5.4. **კლიენტისთვის** მათ შორის ცნობილია და ეთანხმება, რომ:

5.4.1. **ბანკი** უფლებამოსილია, წინასწარ განსაზღვრული ვადით, საკუთარი შეხედულებისამებრ და მის მიერ განსაზღვრული ოდენობით, **პარტნიორ** ან/და **არაპატნიორ ობიექტებში** (მათ შორის სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში) **განვადების ლიმიტის** გამოყენებით შესყიდვის წარმოებასთან ერთად, დაუშვას **განვადების ლიმიტის** განაღდების, გადარიცხვის, **განვადების ლიმიტით** გადასახდელების გადახდის ან/და სხვა სახის **ტრანზაქციების/ოპერაციების** განხორციელების შესაძლებლობა. ამასთან, **განვადების ლიმიტის** გამოყენებით შესასრულებელი ნებადართული **ტრანზაქციების/ოპერაციების** ჩამონათვალს **ბანკი** განსაზღვრავს საკუთარი შეხედულებისამებრ, რაც ამავდროულად გულისხმობს, რომ **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** ყოველგვარი დამატებითი თანხმობის ან/და აქცეპტის გარეშე ნებისმიერ დროს შეზღუდოს, გააუქმოს ან/და გააფართოოს დასაშვებ ოპერაციათა წრე, მათ შორის შეამციროს ლიმიტის ფარგლებში გასანაღდებელი/გადასარიცხი თანხის მოცულობა ან/და სრულად ან/და ნაწილობრივ შეზღუდოს/გააუქმოს **განვადების ლიმიტის** განაღდების/გადარიცხვის ან/და ლიმიტის გამოყენებით გადასახდელების გადახდის შესაძლებლობა.

5.4.2. **განვადების ლიმიტის, განვადების ლიმიტის ანგარიშზე** (ან შეიძლება მოხსენიებულ იქნას როგორც **ტოპ ქარდის ანგარიში**) არსებული დადებითი ნაშთის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განაღდების/გადარიცხვის ან/და **განვადების ლიმიტით** გადასახდელების გადახდის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია დაადგინოს განაღდების/გადარიცხვის/გადახდის საკომისიო, რომელიც **ბანკის** შეხედულებისამებრ ჩამოიჭრება **განვადების ლიმიტიდან** ან **განვადების ლიმიტის** ანგარიშზე არსებული დადებითი ნაშთიდან (ასეთის არსებობის შემთხევაში). ამასთან, **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ **განვადების ლიმიტის** განაღდება/გადარიცხვა ან/და ლიმიტის გამოყენებით გადასახდელების გადახდა შეუძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ **განვადების ლიმიტის** თანხა (ან **განვადების ლიმიტის** ანგარიშზე არსებული დადებითი ნაშთი (ასეთის არსებობის შემთხევაში)) არ არის საკმარისი განაღდების/გადარიცხვის/გადახდის საკომისიოს დასაფარად.

5.4.3. **განვადების ლიმიტის** ფარგლებში უნაღდო ანგარიშსწორების, **განვადების ლიმიტის** განაღდების, ლიმიტით გადასახდელების დაფარვის ან/და გადარიცხვის ტრანზაქციების განხორციელების შედეგად **კლიენტის** მიერ ათვისებული თანხა (მათ შორის და არა მხოლოდ ასეთი ტრანზაქციების განხორციელებისთვის დაწესებული საკომისიოს/ფინანსური ხარჯის დასაფარად მიმართული ლიმიტის შესაბამისი მოცულობა) ფორმირდება როგორც **განვადების ლიმიტის ტრანში**, რომლის დაფარვის პირობები (მათ შორის დაფარვის ვადა) განსხვავებული იქნება სხვადასხვა ფაქტორების/გარემოებების გათვალისწინებით, მათ შორის იმის მიხედვით, თუ დროის რა მონაკვეთში ან/და რა ტიპის ტრანზაქციის ფარგლებში ან/და რომელ სავაჭრო და მომსახურების ობიექტში ხდება **ტრანშის** ათვისება. თითოეული **ტრანშის** დაფარვის კონკრეტული პირობების, მათ შორის გადახდის ვადის/პერიოდულობის, **მინიმალური** ან/და **რეკომენდირებული** გადასახადების შესახებ ინფორმაცია **კლიენტს** მიეწოდება **ხელშეკრულებით** განსაზღვრული კომუნიკაციის საშულებებით (მათ შორის და არა მხოლოდ **მობაილ** ან/და **ინტერნეტ ბანკის** გამოყენებით ან/და მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის გზით).

5.4.4. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ, **კლიენტისათვის** წინასწარი შეტყობინების გარეშე დაბლოკოს ან გააუქმოს **ტოპ ქარდის ბარათი**/მასზე დაშვებული **განვადების ლიმიტი,** შეამციროს **განვადების ლიმიტი**, მოითხოვოს **კლიენტის** მიერ **განვადების ლიმიტიდან** ათვისებული თანხის დაბრუნება მასზე დარიცხულ **პროცენტებთან, პირგასამტეხლოებთან** და საკომისიოებთან ერთად ან/და სრულად შეწყვიტოს **ხელშეკრულება. მხარეები** თანხმდებიან, რომ ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებ(ებ)ის რეალიზებისთვის საკმარისია **ბანკის** მიერ ცალმხრივად, საკუთარი შეხედულებისამებრ მიღებული გადაწყვეტილება, მათ შორის და არა მხოლოდ შემდეგი ერთ-ერთი გარემოების არსებობის შემთხვევაში:ა) **კლიენტი** დაარღვევს წინამდებარე პირობებს; ან/და ბ) გაუარესდება **კლიენტის** ფინანსური მდგომარეობა ან დადგება მისი (**კლიენტის** ფინანსური მდგომარეობის) გაუარესების საფრთხე; ან/და გ) **ბანკის** შეხედულებით ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეიცვალა (გაუარესდა) საერთო ეკონომიკური მდგომარეობა; ან/და დ) **კლიენტის** მოქმედება მიმართულია **ბანკის** მოტყუებისაკენ, ან აღმოჩნდება რომ მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია არასრულია ან/და მცდარია ან ე) აღნიშნული ქმედების განხორციელება აუცილებელია **ბანკის** შიდა პოლიტიკით ან/და პროცესებით/პროცედურებით ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის. ამასთან, **განვადების ლიმიტის** ან/და მის ფარგლებში განსახორციელებელი **ტრანზაქციების** განხორციელების შესაძლებლობის შეზღუდვის/დაბლოკვის/გაუქმების/შეჩერების შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება **განვადების ლიმიტის** ან/და მის ფარგლებში განსახორციელებელი **ოპერაციების** აღდგენის/ლიმიტის კვლავ გაზრდის/შეზღუდვის მოხსნის თაობაზე, ასევე **განვადების ლიმიტის** პირობები, მათ შორის განაღდების/გადარიცხვის ან/და გადასახდელების გადახდის **ოპერაციების** შესრულების ოფციები განსაზღვროს **ხელშეკრულების** ბოლო/უახლესი რედაქციით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. **განვადების ლიმიტის** ან/და **განვადების ლიმიტის** ფარგლებში გასანაღდებელი/გადასარიცხი თანხის მოცულობის ან/და გადასახდელების გადახდის შესაძლებლობის დაბლოკვის/შეზღუდვის/გაუქმების შესახებ ან **ბანკის** მიერ დაწესებული შეზღუდვის გაუქმების/მოხსნის შესახებ, **კლიენტს** ეცნობება **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული წესის შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული დათქმები არცერთ შემთხვევაში არ ზღუდავს **ბანკს** ისარგებლოს **ხელშეკრულებით,** მათ შორის წინამდებარე **პირობებით** ლიმიტის/ბარათის მოქმედების შეზღუდვის/შეჩერების/შეწყვეტის/გაუქმებისთვის გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

5.4.5. **განვადების ლიმიტის** ათვისებული ნაწილის დაფარვა შესაძლებელია **მინიმალური** ან **რეკომენდებული გადასახადის** გადახდის გზით.

5.4.6. **ტოპქარდის ბარათის** გაუქმება გავლენას არ ახდენს **განვადების ლიმიტის** ათვისებული თანხის გადახდის წესზე და **კლიენტი** ვალდებულია, **ბანკის** მიერ განსაზღვრული **რეკომენდებული** ან **მინიმალური გადასახადის** მიხედვით დაფაროს ათვისებული თანხა **ბანკის** მიერ განსაზღვრულ ვადაში.

5.5. **პროცენტის** დარიცხვის და **მინიმალური/რეკომენდებული გადასახადების** გადახდის წესი:

5.5.1. **რეკომენდებული გადასახადის** მოცულობა **ბანკის** მიერ განისაზღვრება ყოველი კონკრეტული **დაანგარიშების თარიღისთვის,** ამასთან მისი მოცულობა ცვალებადია და დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებებზე/პირობებზე, მათ შორის და არა მხოლოდ **დაანგარიშების თარიღისთვის** ათვისებული ტრანშის ოდენობაზე, **ბანკსა** და **პარტნიორ ობიექტებს** შორის შეთანხმებულ განვადების პირობებზე, **ბანკის** მიერ განსაზღვრულ განვადების პირობებზე **არაპარტნიორ ობიექტებში განვადების ლიმიტის** გამოყენებასთან დაკავშირებით, ლიმიტის განაღდებისთვის/გადარიცხვისთვის ან/და **განვადების ლიმიტით** გადასახდელების დაფარვისთვის გათვალისწინებულ პირობებზე. იმ შემთხვევაში, თუ ათვისებული **განვადების ლიმიტის** გადახდას **კლიენტი** უზრუნველყოფს ყოველ მომდევნო გადახდის თარიღში **რეკომენდებული გადასახადების** მიყოლებითი და თანმიმდევრული გადახდის/შემოტანის გზით **ბანკის** მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად, **კლიენტს** არ დაერიცხება განვადების **საპროცენტო სარგებელი**. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ **განვადების ლიმიტით** სარგებლობის განმავლობაში დროის რომელიმე მონაკვეთში **კლიენტი** ისარგებლებს **მინიმალური გადასახადით** დაფარვის ოფციით ან/და არ შეასრულებს მიმდინარე შენატანების **ბანკის** მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად, სრულად და ჯეროვნად დაფარვის ვალდებულებას, **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **განვადების ლიმიტზე** დაიწყება **საპროცენტო სარგებლის** დარიცხვა და ყოველი შემდგომი **რეკომენდებული გადასახადის/**შენატანის გადახდისას ის (**კლიენტი**) ვალდებული იქნება განახორციელოს შესაბამისი პერიოდ(ებ)ისთვის დარიცხული **საპროცენტო სარგებლის** დაფარვა იქამდე, სანამ **ბანკის** მიერ განსაზღვრული **რეკომენდებული გადასახადების/**შენატანების თანმიმდევრული/მიყოლებით გადახდის გზით **კლიენტის** მიერ განხორციელებული გადახდები კვლავ არ მიაღწევს უპროცენტო დაფარვის ოფციით სარგებლობის ნიშნულს. **ბანკი** უფლებამოსილია **საანგარიშგებო პერიოდის** განმავლობაში რამდენიმე სხვადასხვა ტრანზაქციის (მათ შორის, სხვადასხვა ან ერთი და იმავე ობიექტში შესყიდვის ოპერაციების, ასევე გადარიცხვის ან/და განაღდების ტრანზაქციების განხორციელებისას ან/და ლიმიტის გამოყენებით გადასახდელების გადახდისას) განხორციელების შედეგად გახარჯული **განვადების ლიმიტის** შესაბამისი

**ტრანშების** დაფარვისთვის განსაზღვრული სხვადასხვა **რეკომენდებული გადასახადები** შეკრიბოს და გადახდის შესახებ ინფორმაცია **კლიენტს** მიაწოდოს **რეკომენდებული გადასახადების** ჯამურ მოცულობაზე;

5.5.2. **მინიმალური გადასახადი** ანგარიშდება **ბანკის** მიერ დაშვებული **განვადების ლიმიტის** მაქსიმალური მოცულობის მიხედვით, ამასთან **მინიმალური გადასახადი**ს ოდენობა უცვლელი რჩება **განვადების ლიმიტის** მოქმედების პერიოდში, თუ კი **ბანკი** სხვაგვარად არ გადაწყვეტს. **კლიენტის** მიერ **გადახდის პერიოდში რეკომენდირებული გადასახადის** გადაუხდელობის შემთხვევაში, ის (**კლიენტი**) ვალდებულია დაფაროს **მინიმალური გადასახადი**, რომელიც შედგება ლიმიტის ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული **საპროცენტო სარგებლისგან**. **მინიმალური გადასახადის** დაფარვა უნდა მოხდეს მინიმუმ შემდეგი წინაპირობების/წესის დაცვით:

5.5.2.1. **განვადების ლიმიტის** პირველადი ათვისების შემთხვევაში (მათ შორის, ლიმიტის სრულად განულების და ხელახლა ათვისების შემთხვევაში), ათვისებიდან გადახდის თარიღამდე პერიოდში **ბანკი** უფლებამოსილია (და არა ვალდებული) არ განახორციელოს **საპროცენტო სარგებლის** დარიცხვა **ტოპ ქარდის ბარათზე,** შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში პირველი **მინიმალური გადასახადი** სრულად მიემართება ძირითადი თანხის დასაფარად, ხოლო **საპროცენტო სარგებლის** დარიცხვა დაიწყება **გადახდის პერიოდის** შესაბამის თვეში 16 რიცხვიდან, თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული. აღნიშნული წესი მათ შორის მოქმედებს იმ **მინიმალური გადასახადის** დაფარვისას, რომლის გადახდაც ხორციელდება უშუალოდ წინა თვე(ებ)ში **რეკომენდებული გადასახად(ებ)ის** გადახდის შემდგომ პირველად.

5.5.2.2. **განვადების ლიმიტზე საპროცენტო სარგებლის** დარიცხვა განხორციელდება ყოველდღიურად, ყოველი შესაბამისი **დაანგარიშების თარიღისთვის** განსაზღვრული **რეკომენდებული გადასახადის** თანხასა და **გადახდის პერიოდში** ფაქტობრივად გადახდილ თანხას შორის სხვაობაზე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იარსებებს ვადაგადაცილება **საპროცენტო სარგებლის** დარიცხვა მოხდება **მინიმალური გადასახადის** შესაბამის თანხაზე, **ტრანშით** სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად, წელიწადში 365 (სამას სამოცდახუთი) დღეზე გაანგარიშებით. **მინიმალური გადასახადიდან** პირველ რიგში სრულად იფარება მიმდინარე დარიცხული პროცენტი, ხოლო შემდგომ დარჩენილი თანხა მიემართება ძირითადი თანხის დასაფარად.

5.5.2.3. ყოველ კონკრეტულ **დაანგარიშების თარიღში კლიენტის** მიერ მომდევნო **გადახდის პერიოდში** დასაფარი თანხის გამოთვლის/განსაზღვრის დროს მათ შორის გაითვალისწინება **კლიენტის** მიერ რეალურად განხორციელებული გადახდები, წინა თვის განმავლობაში **პარტნიორ** ან/და **არაპარტნიორ ობიექტებში** გახარჯული/განაღდებული/გადარიცხული **განვადების ლიმიტი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დარიცხული **პროცენტი** და წინა თვის განმავლობაში დარჩენილი **დავალიანება** (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5.5.2.4. ყოველი თვის შესაბამისი **დაანგარიშების თარიღის** მეორე საბანკო დღეს, **კლიენტს** მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით ეცნობება ინფორმაცია **მინიმალური** და **რეკომენდებული გადასახადის** შესახებ. ამასთან, **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი მისგან დამოუკიდებელი (მათ შორის ტექნიკური) მიზეზით შეტყობინების მიუღებლობაზე და **კლიენტი** ვალდებულია, გადახდის თარიღისთვის მიმართოს **ბანკს** გადასახდელი თანხის შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

5.5.2.5. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს** სურს **მინიმალური გადასახადის** ან/და **რეკომენდებული გადასახახადის** გადახდა, **კლიენტი** ვალდებულია, შესაბამისი თანხა **გადახდის პერიოდში** განთავსებული ჰქონდეს **განვადების ლიმიტის ანგარიშზე,** საიდანაც თანხის ჩამოწერას და არსებული გადასახდელის დაფარვას **ბანკი** უზრუნველყოფს, შესაბამისი თვის 15 რიცხვში, დღის ბოლოს (24 საათის ამოწურვის შემდგომ). აღნიშნული დათქმა არ ზღუდავს ბანკის უფლებას ისარგებლოს **ხელშეკრულებით** (მათ შორის **პირობებით)** უაქცეპტო ჩამოწერასთან დაკავშირებული **ბანკის** უფლებებით, მათ შორის: 1. **ბანკი** უფლებამოსილია **ტოპ ქარდის ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოჭრას **მინიმალური გადასახადი** ან/და **რეკომენდებული გადასახადი,** ისევე როგორც **ტოპ ქარდზე** რიცხული ნებისმიერი სხვა გადასახდელი **დაანგარიშების თარიღის** შემდგომ ნებისმიერ დროს; 2. **კლიენტი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებაზე გადახდის დღეს ან/და **დავალიანების** წარმოშობის მომენტში ან/და შემდგომ ნებისმიერ დროს მის (**კლიენტის**) მიერ **ბანკში** გახსნილი ნებისმიერი ანგარიშიდან, მისი (**კლიენტის**) დამატებითი თანხმობის გარეშე ჩამოჭრას თანხები **ხელშეკრულების** შესაბამისად წარმოქმნილი ნებისმიერი დავალიანების სრულად ან ნაწილობრივ დასაფარად. თუ **დავალიანების** თანხა და ანგარიშზე რიცხული ან **განვადების ლიმიტის** თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკი** თავად განახორციელებს კონვერტაციას გადახდის/დავალიანების დაფარვის თარიღისათვის ბანკში დადგენილი კურსით, რომლის ღირებულებაც ასევე უაქცეპტოდ ჩამოეჭრება **კლიენტს** ანგარიშიდან.

5.5.2.6. გადახდის თარიღისთვის **კლიენტის** მიერ **მინიმალური** ან **რეკომენდებული გადასახადის** გადაუხდელობა წარმოადგენს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას, რაც **ბანკს** ანიჭებს უფლებამოსილებას ისარგებლოს **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** ვალდებულებების (**ხელშეკრულების** პირობების) დარღვევის შემთხვევაში **ბანკისთვის** მინიჭებული უფლებებით, მათ შორის და არა მხოლოდ **ბანკი** უფლებამოსილია შეწყვიტოს/გააუქმოს/დაბლოკოს/შეაჩეროს **ტოპ ქარდის ბარათის** ან/და **განვადების ლიმიტის** მოქმედება, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაარიცხოს **კლიენტს** პირგასამტეხლო **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ოდენობით და წესით და მოსთხოვოს **კლიენტს** დავალიანების დაუყონებლივ დაფარვა;

5.6. დამატებითი პირობები:

5.6.1. **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შემთხვევებში, ან იმ შემთხვევებში თუ ამას **ბანკის პარტნიორი/არაპარტნიორი ობიექტ(ებ)ის** პოლიტიკა-პროცედურები ითვალისწინებენ, შესაძლებელია დასაშვები იყოს **ტოპ ქარდის ბარათით** შეძენილი პროდუქციის/მომსახურების უკან დაბრუნება ან ჩანაცვლება და აღნიშნული შესაძლებლობის გათვალისწინებით, ნებისმიერ იმ შემთხვევაში, როცა განხორციელდება მომსახურების/პროდუქციის დაბრუნება/ჩანაცვლება, **კლიენტი** ითვალისწინებს, თანახმაა და ადასტურებს, რომ:

5.6.2. **ტოპ ქარდის ბარათით** შეძენილი პროდუქციის/მომსახურების ღირებულებას **ბანკის პარტნიორი/**(თუ კი **ბანკი** და **არაპარტნიორი ობიექტი** შეთანხმდებიან, **არაპარტნიორი ობიექტი**) სრულად ჩაურიცხავს **ბანკს**, **ბანკსა** და შესაბამის ობიექტს შორის წინასწარ შეთანხმებულ ანგარიშზე.

5.6.3. შესაბამისი ობიექტის მიერ **ბანკისათვის** ჩარიცხულ თანხას (თანხა, რომელიც გადახდილ იქნა დაბრუნებული/ჩანაცვლებული პროდუქციისთვის/მომსახურებისთვის), **ბანკი** სრულად მიმართავს არსებული დავალიანების დასაფარად. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ობიექტის მიერ დაბრუნებული თანხა აღემატება **დავალიანების** თანხას, თანხის შესაბამისი ნაწილი მიემართება **კლიენტის** არსებული **დავალიანების** დასაფარად, ხოლო დარჩენილი თანხა **ბანკის** მიერ მიემართება **კლიენტის ტოპ ქარდის ბარათის** ანგარიშზე დადებითი ნაშთის სახით (ამასთან **ბანკი** არცერთ შემთხვევაში არ აგებს პასუხს **ბანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზით ანგარიშზე თანხის არ ასახვის შემთხვევებზე).

5.6.4. ნივთის/მომსახურების შეძენასთან დაკავშირებული ან/და მისგან გამომდინარე ნებისმიერი საკითხი რეგულირდება შესაბამის სავაჭრო და მომსახურების ობიექტსა (იგულისხმება როგორც **პარტნიორი,** ასევე **არაპარტნიორი ობიექტი**) და **კლიენტს** შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში. შესაბამისად **კლიენტი** ითვალისწინებს და ადასტურებს, რომ **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი შესაბამისი ობიექტების მიერ განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაზე, მათ შორის თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებულ საკითხებზე (მათ შორის და არა მხოლოდ დაბრუნების ვადების ან/და პირობების განსაზღვრაზე). ამასთან, **ბანკი** არ შეიძლება იყოს პასუხიმგებელი ნებისმიერ ისეთ ქმედებაზე (მათ შორის **ბანკის** მიერ განხორციელებულ ქმედებაზე), რომელიც გამოწვეული იქნება თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით **ბანკისთვის** არასწორი ინფორმაციის მიწოდებით.

5.6.5. **კლიენტი** ითვალისწინებს და ადასტურებს, რომ იმის მიუხედავად, შესაბამისმა ობიექტმა მიიღო თუ არა გადაწყვეტილება **ტოპ ქარდის ბარათით** შეძენილი პროდუქციის/მომსახურების დაბრუნების/შეცვლის შესახებ და დაბრუნებული მომსახურების/პროდუქციის ღირებულება, რომელიც გადახდილ იქნა **ტოპ ქარდის ბარათის** გამოყენებით, ჩაირიცხება თუ არა **ბანკის** შესაბამის ანგარიშზე, **კლიენტს** კვლავ გააჩნია/რჩება **ბანკის** მიმართ ვალდებულება სრულად, შეთანხმებული პირობების შესაბამისად (მათ შორის დათქმილ ვადაში) შეასრულოს ნებისმიერი ვალდებულება. **კლიენტის** მიერ ვალდებულებ(ებ)ის დადგენილ ვადაში სრულად ან/და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილი იქნება ისარგებლოს **ხელშეკრულებით,** მათ შორის წინამდებარე პირობებით ბანკისთვის მინიჭებული უფლებებით, მათ შორის და არა მხოლოდ **კლიენტს** დაარიცხოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული შესაბამისი გადასახდელები (მათ შორის, **საპროცენტო სარგებელი** ან/და **პირგასამტეხლო**) წინამდებარე **პირობების** და **ტოპ ქარდის** ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და წესით.

5.6.6. იმ შემთხვევაში, თუ **ბანკის** მიერ ნებადართულია დამატებითი ბარათ(ებ)ის დამზადება, **კლიენტი** უფლებამოსილია მოსთხოვოს **ბანკს** მესამე პირისათვის დამატებითი ბარათ(ებ)ის დამზადება და გადაცემა, რისთვისაც ის ანიჭებს **ბანკს** სრულ უფლებამოსილებას დაამზადოს დამატებითი ბარათ(ებ)ი და გადასცეს **კლიენტის** მიერ მითითებულ პირ(ებ)ს.

5.6.7. დამატებითი ბარათის საშუალებით მესამე პირს მიეცემა უფლება ისარგებლოს **კლიენტის განვადების ლიმიტით,** ასევე **კლიენტს** შესაძლებლობა ექნება სრულად ან ნაწილობრივ განკარგოს **კლიენტის ტოპ ქარდის** ანგარიშებზე არსებული დადებითი ნაშთი, ასევე ამ ბარათ(ებ)ზე სრულად ვრცელდება **საკრედიტო ბარათით** (**ტოპ ქარდით**) მომსახურების წინამდებარე პირობები და **ხელშეკრულება.**

5.6.8. **კლიენტი** პასუხისმგებელია **ტოპ ქარდის** დამატებითი ბარათით, დამატებით ბარათის მფლობელის მიერ განხორციელებული ტრანზაქციებისათვის (განაღდება, გადარიცხვა, გადახდა), ასევე ასეთი ტრანზაქციების შედეგად გახარჯული თანხის დაბრუნებაზე, მათ შორის **კლიენტი** ითვალისწინებს, რომ დამატებითი ბარათის გამოყენებით გახარჯული **განვადების ლიმიტი** სრულად მის (**კლიენტის**) საკრედიტო ვალდებულებას წარმოადგენს და პასუხისმგებელია ათვისებული **განვადების ლიმიტის** დაფარვაზე **ხელშეკრულებით,** მათ შორის წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული წესის შესაბამისად.

5.6.9. **კლიენტი** ადასტურებს, ითვალისწინებს და ეთანხმება, რომ **ტოპ ქარდის** დამატებითი ბარათის მფლობელი მიიღებს შეტყობინებებს **ტოპ ქარდი**ს დამატებითი ბარათით განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციას, მათ შორის და არა მხოლოდ **კლიენტის** ანგარიშზე არსებული ხელმისაწვდომი ნაშთის მითითებით.

5.6.10. **კლიენტი** ითვალისწინებს და ეთანხმება, რომ **ტოპ ქარდის** ძირითადი ბარათის მოქმედების ვადის გასვლის მიუხედავად, ასევე, იმის მიუხედავად გაუქმდება თუ არა **ტოპ ქარდზე** დაშვებული **განვადების ლიმიტი**, თუ **კლიენტი** გადაწყვეტს, რომ ისარგებლოს მხოლოდ **ტოპ ქარდის** სადებეტო ფუნქციით - **ტოპ ქარდის** დამატებითი ბარათის მფლობელიც შეძლებს ისარგებლოს მხოლოდ **კლიენტის ტოპ ქარდის** სადებეტო ანგარიშებზე არსებული დადებითი ნაშთით.

## 6. პროცენტის და სხვა გადასახდელების დარიცხვა

6.1. თუ **კლიენტი** არ ისარგებლებს **ნულოვანი პროცენტის პირობით/ნულოვანი საკომისიოს პირობით/რეკომენდირებული გადასახადის დაფარვის ოფციით** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), **ბანკი** უფლებამოსილია **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე დაარიცხოს განვლილი **საანგარიშგებო პერიოდ(ებ)ის** კუთვნილი **პროცენტი/ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიო,** რომლის გადახდის ვალდებულებაც **კლიენტს** ეკისრება მომდევნო **გადახდის პერიოდში.**

6.2. **პროცენტი** ერიცხება **საკრედიტო ლიმიტის** ფარგლებში ათვისებული თანხის ძირს და იანგარიშება კრედიტით სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად, წელიწადში 365 დღეზე დაანგარიშებით, ხოლო **ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიო** ერიცხება **საკრედიტო ლიმიტის** ფარგლებში ათვისებული თანხის ძირს ყოველთვიურად **ბანკის** მიერ **საკრედიტო ლიმიტის** მოცულობის მიხედვით განსაზღვრული ოდენობით. აღნიშნული პირობა არ ვრცელდება **ტოპ ქარდზე.**

6.3. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** დააკისროს **პირგასამტეხლო საკრედიტო ლიმიტის** ფარგლებში ათვისებული თანხის ძირზე და **გადახარჯულ თანხაზე.**

6.4. **ბანკი** უფლებამოსილია **საკრედიტო ბარათის** ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოჭრას **პროცენტი, ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიო,** ისევე როგორც **საკრედიტო ბარათზე** რიცხული ნებისმიერი სხვა გადასახდელი **დაანგარიშების თარიღის** შემდგომ ნებისმიერ დროს.

6.5. **ბანკი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, ერთჯერადად ან მრავალჯერადად, თავისი შეხედულებისამებრ დააწესოს **საკრედიტო ბარათზე** სხვადასხვა შეღავათიანი პირობა.

## 7. საკრედიტო ბარათით გახარჯული (ათვისებული) თანხის გადახდა

7.1. **საკრედიტო ლიმიტის** სრულად ან ნაწილობრივ ათვისების შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია ყოველთვიურად **გადახდის პერიოდის** განმავლობაში გადაიხადოს სულ მცირე **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე დარიცხული **მინიმალური გადასახადი** (ასევე, ყოველთვიური მომსახურების საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იმ **საკრედიტო ბარათებისთვის**, რომელთა შემთხვევაში **მინიმალური გადასახადი** არ მოიცავს ასეთ ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს). ამასთან, **საკრედიტო ბარათის** მინიმალური ყოველთვიური გადასახადით დაფარვის ოფციის არჩევის შემთხვევაში, დარიცხული **პროცენტის** დაფარვა მოხდება **კლიენტის** მიერ **დაანაგარიშების თარიღის** მომდევნო დღიდან **გადახდის თარიღამდე საკრედიტო ბარათზე** განხორციელებულ შენატანებსა და **გადახდის თარიღში კლიენტის** მიერ **საკრედიტო ბარათზე** განთავსებულ თანხას (აღნიშნულ თანხაში არ იგულისხმება/გაითვალისწინება **დაანგარიშების თარიღამდე** არსებული ასათვისებელი **საკრედიტო ლიმიტის** ოდენობა და გაითვალისწინება მხოლოდ **კლიენტის** მიერ **დაანგარიშების თარიღის** მომდევნო დღიდან **გადახდის თარიღამდე** განხორციელებული შენატანები) შორის უმცირესის ოდენობით, რაც გულისხმობს იმას, რომ **ბანკი** არ განახორციელებს **საკრედიტო ლიმიტის** თანხით დარიცხული **პროცენტის** დაფარვას.

7.2. ახალი ბარათის (მათ შორის მასწავლებლის ახალი ბარათის) შემთხვევაში, იმისთვის, რომ მიმდინარე **გადახდის პერიოდში საკრედიტო ბარათზე** გადახდა შესრულებულად ჩაითვალოს, **კლიენტი** ვალდებულია ან **გადახდის თარიღის მომდევნო დღის** ბოლომდე **საკრედიტო ბარათის ანგარიშზე** განთავსებული ჰქონდეს (**საკრედიტო ბარათის ანგარიშზე** თანხის შეტანის ან/და ჩარიცხვის გზით) **ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიოს** ოდენობით თანხა ან **გადახდის თარიღის** დღის ბოლომდე **დაანგარიშების თარიღის** დღის ბოლოსთვის **საკრედიტო ლიმიტიდან** ათვისებული ოდენობის თანხა. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს საკრედიტო ბარათზე** ერიცხება წინა **საანგარიშგებო პერიოდ(ებ)ში** წარმოშობილი და დაუფარავი ნებისმიერი გადასახდელი, **კლიენტს** მიმდინარე **გადახდის თარიღის** დღის ბოლომდე **საკრედიტო ბარათის ანგარიშზე განთავსებული უნდა ჰქონდეს** მიმდინარე და წინა **საანგარიშგებო პერიოდ(ებ)ში** რიცხული **ნებისმიერი** გადასახდელ(ებ)ის ჯამური ოდენობით თანხა და მიმართოს **ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულების სრულად დასაფარად.

7.3. **საკრედიტო ლიმიტის** და ნებისმიერი სხვა გადასახდელ(ებ)ის გადახდა განხორციელდება **საკრედიტო ბარათზე** თანხის **ბანკის** საგადახდო არხების (მათ შორის **ბანკის** სალაროს) საშუალებით შეტანის ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით ჩარიცხვის გზით.

7.4. **ბანკი** არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი თანხების **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე დროულად ასახვისათვის. ნებისმიერი შეფერხებისათვის, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს **კლიენტის** საკრედიტო ანგარიშზე თანხის ასახვის დაგვიანება პასუხს აგებს **კლიენტი,** რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს, **კლიენტის** ვალდებულებას გადაიხადოს ასეთი შეფერხების შედეგად მის ანგარიშზე დარიცხული **სრული დავალიანება** ან **ბანკის** მიერ დადგენილი მისი რაიმე ნაწილი.

7.5. **საკრედიტო ბარათიდან** გამომდინარე დავალიანების დაფარვისას **საკრედიტო ბარათთან** დაკავშირებული გადასახდელებიდან პირველ რიგში იფარება **ბანკის** ხარჯები, შემდგომ **გადახარჯული საკრედიტო ლიმიტი, ყოველთვიური მომსახურების საკომისიო** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), **პირგასამტეხლო** (ამასთან, პირველ რიგში იფარება **საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის პირგასამტეხლო,** შემდგომ **ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტი** და შემდგომ სხვა სახის **პირგასამტეხლო(ები) ბანკის** მიერ განსაზღვრული რიგითობით), შემდგომ **პროცენტი/ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიო** (ამასთან, პირველ რიგში იფარება დარიცხული გადაუხდელი **პროცენტი/ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიო** ) და ბოლოს დავალიანების ძირი თანხა (პირველ რიგში იფარება ვადაგადაცილებული ძირი თანხა). ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია, ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში, განსაზღვროს გადახდის სხვა თანმიმდევრობა.

7.6. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე:

7.6.1. **ბანკმა**, საკუთარი არჩევანით, **კლიენტისაგან** მიღებული ფულადი სახსრებიდან პირველ რიგში დაფაროს **სრული დავალიანება** ან მისი ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ **კლიენტს ბანკის** წინაშე გააჩნია წინამდებარე **ხელშეკრულებისგან** დამოუკიდებელი ფულადი ვალდებულებები (მიუხედავად იმისა დამდგარია თუ არა ამ ვალდებულებათა შესრულების ვადა); ან

7.6.2. **ბანკმა**, საკუთარი არჩევანით, არ განახორციელოს **სრული დავალიანების** ან მისი ნაწილის დაფარვა, თუ **კლიენტს ბანკის** წინაშე გააჩნია წინამდებარე **ხელშეკრულებისგან** დამოუკიდებელი ფულადი ვალდებულებები (მიუხედავად იმისა დამდგარია თუ არა ამ ვალდებულებათა შესრულების ვადა). **კლიენტის** მიერ ჩარიცხული ფულადი სახსრებით **სრული დავალიანების** ან მისი ნაწილის დაფარვა განხორციელდება მხოლოდ მას შემდეგ რაც დაიფარება/შემცირდება **ბანკის** წინაშე არსებული **კლიენტის** ამ **ხელშეკრულებისაგან** დამოუკიდებელი ფულადი ვალდებულებები.

7.7. **კლიენტს** არ დაერიცხება **პროცენტი/ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიო** და **ყოველთვიური მომსახურების საკომისიო** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (დამოკიდებულია **საკრედიტო ბარათის** სახეობაზე) **საკრედიტო ლიმიტის** ფარგლებში ათვისებულ თანხაზე თუ **კლიენტი** ისარგებლებს **ნულოვანი პროცენტის პირობით/ნულოვანი საკომისიოს პირობით გადასახდელის დაფარვის ოფციით. ნულოვანი პროცენტის პირობა/ნულოვანი საკომისიოს პირობა/რეკომენდირებული გადასახდელის დაფარვის ოფცია** არ ვრცელდება **გადახარჯულ თანხაზე** და **ტოპ ქარდის ბარათით** სარგებლობის შემთხვევებზე.

7.8. **კლიენტი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გადაუხადოს **ბანკს საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე წარმოქმნილ **მინიმალურ გადასახადზე** მეტი.

7.9. **კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს **საკრედიტო ბარათის** ვადამდე გაუქმება, მხოლოდ იმ შემთხვევში თუ სრულად დაფარავს (მათ შორის ვადამდე) ათვისებულ **საკრედიტო ლიმიტსა** და **ხელშეკრულების** ფარგლებში არსებულ ყველა გადასახდელს/ვალდებულებას (მათ შორის და არა მხოლოდ დარიცხული **პროცენტი, ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიო, პირგასამტეხლო** და ნებისმიერი სხვა გადასახდელი) და არ ექნება **ბანკის** წინაშე წინამდებარე **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე შესასრულებელი ვალდებულებები;

7.10. **მინიმალური გადასახადის გადახდის პერიოდის** განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **საკრედიტო ლიმიტის ბლოკირება** და **კლიენტს** დააკისროს **პირგასამტეხლო** ტარიფებით დადგენილი ოდენობით.

7.11. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მოითხოვოს ათვისებული **საკრედიტო ლიმიტის** და ნებისმიერი **პირგასამტეხლოს** სრულად გადახდა და **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მოთხოვნილი თანხები.

## 8. ვადაგადაცილება და სანქციები

8.1. **კლიენტი** ვალდებულია, რომ წინამდებარე **პირობებით** ან/და **ხელშეკრულებით** დადგენილ ვადებში გადაიხადოს **საკრედიტო ბარათთან** დაკავშირებული დავალიანებები/გადასახდელები.

8.2. **კლიენტი** ვალდებულია, რომ **საკრედიტო ბარათი** განკარგოს **საკრედიტო ლიმიტის** ფარგლებში და არ განახორციელოს **საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვა**. **ბანკის** თანხმობის გარეშე **საკრედიტო ლიმიტის** გადახარჯვისათვის **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** დააკისროს **პირგასამტეხლო** ტარიფების შესაბამისად, რაც **ბანკის** მიერ დადგენილ ვადაში უნდა იქნას გადახდილი **კლიენტის** მიერ.

8.3. **საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის** შემთხვევაში **კლიენტმა** დაუყოვნებლივ უნდა დაფაროს **გადახარჯული თანხა** სრულად.

8.4. **გადახდის პერიოდის** განმავლობაში **მინიმალური გადასახადის** გადაუხდელობისას **ბანკი** უფლებამოსილია დაბლოკოს **საკრედიტო ბარათი** და დააკისროს **კლიენტს** შესაბამისი **პირგასამტეხლო** (წინამდებარე **პირობების** დანართი #1-ის ან/და დანართი #2-ის შესაბამისად). **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული დავალიანების სრულად დაფარვის შემდგომ, **კლიენტს** მიეცემა

შესაძლებლობა კვლავ ისარგებლოს **საკრედიტო ლიმიტით**, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ვადაგადაცილება გრძელდებოდა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღეზე მეტი ხნის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია, შეაჩეროს/შეწყვიტოს **საკრედიტო ბარათის** მოქმედება და მოსთხოვოს **კლიენტს ბანკის** წინაშე არსებული დავალიანების სრულად დაფარვა.

8.5. თუ **საკრედიტო ლიმიტის** ვადის განმავლობაში **კლიენტს** აღენიშნება 90 კალენდარული დღე (ან 60 კალენდარული დღე **საკრედიტო ბარათის** სახეობიდან გამომდინარე) ან მეტი ვადაგადაცილება, **ბანკი** უფლებამოსილია შეაჩეროს **საკრედიტო ბარათის** მოქმედება და მოითხოვოს **კლიენტისაგან საკრედიტო ბარათიდან** ათვისებული თანხის, მასზე დარიცხულ **პროცენტებთან, პირგასამტეხლოსთან** და საკომისიოებთან ერთად, დაუყოვნებლივ სრულად დაფარვა. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** დავალიანება უაქცეპტო წესით ჩამოჭრას **კლიენტის** ნებისმიერი ანგარიშიდან. თუ **კლიენტის** მიერ **ბანკში** გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე არ არსებობს საკმარისი თანხა დავალიანების დასაფარავად, **ბანკი** უფლებამოსილია მოითხოვოს დავალიანების დაფარვა **კლიენტის** ნებისმიერი აქტივის რეალიზაციის გზით.

8.6. **საკრედიტო ბარათის დეფოლტის** შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, გააუქმოს **საკრედიტო ბარათი. საკრედიტო ბარათის** გაუქმება იწვევს ამ **პირობებით** გათვალისწინებული მომსახურების შეწყვეტას.

8.7. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტისათვის** წინასწარი შეტყობინების გარეშე დაბლოკოს ან გააუქმოს **საკრედიტო ბარათი**, შეამციროს **საკრედიტო ლიმიტი,** მოითხოვოს **კლიენტის** მიერ **საკრედიტო ლიმიტიდან** ათვისებული თანხის დაბრუნება მასზე დარიცხულ **პროცენტებთან, პირგასამტეხლოებთან** და საკომისიოებთან ერთად ან/და სრულად შეწყვიტოს წინამდებარე **ხელშეკრულება,** თუ: ა) **კლიენტი** დაარღვევს წინამდებარე **პირობებს;** ან ბ) გაუარესდება **კლიენტის** ფინანსური მდგომარეობა ან დადგება მისი (**კლიენტის** ფინანსური მდგომარეობის) გაუარესების საფრთხე; ან გ) **ბანკის** შეხედულებით ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეიცვალა (გაუარესდა) საერთო ეკონომიკური მდგომარეობა; ან დ) **კლიენტის** მოქმედება მიმართულია **ბანკის** მოტყუებისაკენ, ან აღმოჩნდება რომ მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია არასრულია ან/და მცდარია;

8.8. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტისათვის** გაგზავნილი წინასწარი შეტყობინების გარეშე გააუქმოს **საკრედიტო ლიმიტი,** თუ ნებისმიერ 30 (ოცდაათი) დღიან (კალენდარული დღეები) ვადაში, **საკრედიტო ბარათზე** არ დაფიქსირდება აქტიური ოპერაცია (სადებეტო ბრუნვა). **საკრედიტო ლიმიტის** გაუქმების შემთხვევაში **კლიენტი** უფლებამოსილია მიმართოს **ბანკს საკრედიტო ლიმიტის** აღდგენის მოთხოვნით. **საკრედიტო ლიმიტის** აღდგენა წარმოადგენს **ბანკის** უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას, შესაბამისად ის ხორციელდება **ბანკის** მიერ დადგენილი წესით.

8.9. **ბანკის** მიერ **საკრედიტო ლიმიტის ბლოკირების,** გაუქმების ან/და **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ დაფაროს **ბანკის** წინაშე არსებული ყოველგვარი დავალიანება. **ბანკი** უფლებამოსილია ასეთი დავალიანება უაქცეპტო წესით ჩამოჭრას **კლიენტის** ნებისმიერი ანგარიშიდან. თუ **კლიენტის** მიერ **ბანკში** გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე არ არსებობს საკმარისი თანხა დავალიანების დასაფარავად, **ბანკი** უფლებამოსილია მოითხოვოს დავალიანების დაფარვა **კლიენტის** ნებისმიერი აქტივის რეალიზაციის გზით.

8.10. **კლიენტის დეფოლტის** შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია: (ა) მოსთხოვოს **კლიენტს** გახარჯული **საკრედიტო ლიმიტის ბანკის** მიერ დადგენილ ვადაში სრულად დაფარვა; (ბ) დააკისროს წინამდებარე **პირობებით** დადგენილი ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დადგენილი სანქცია; ან/და (გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა ვალდებულება.

8.11. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული რომელიმე **პირგასამტეხლოს** გადახდა არ ათავისუფლებს მას (**კლიენტს**) **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

## 9. ნებადართული ოპერაციები

9.1. **კლიენტი** უფლებამოსილია **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე განახორციელოს მხოლოდ შემდეგი ოპერაციები:

9.1.1. საქონლის ან/და მომსახურების შეძენა სავაჭრო მომსახურების ობიექტებში (როგორც საქართველოს ტერიტორიაზე ასევე მის ფარგლებს გარეთ), ინტერნეტით და სხვა დისტანციური არხ(ებ)ის მეშვეობით;

9.1.2. თანხის განაღდება ბანკომატის/პოს ტერმინალის მეშვეობით;

9.1.3. კომუნალური და სხვა გადასახდელების გადახდა ბანკომატისა და ინტერნეტის მეშვეობით;

9.1.4. **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა ან სალაროში შეტანის გზით განთავსება;

9.1.5. არსებული საკრედიტო ბალანსის ან/და ხელმისაწვდომი ნაშთის შემოწმება;

9.1.6. **თანხის გატანის ტოლფასი ოპერაციის** ჩატარება;

9.1.7. თანხის გადარიცხვა **ბანკის** შიგნით ეროვნულ ვალუტაში (მათ შორის საკუთარ ანგარიშებს შორის);

9.1.8. თანხის გადარიცხვა ეროვნულ ვალუტაში **ბანკის** გარეთ;

9.1.9. **ბანკის** მიერ დაშვებული სხვა ოპერაციები.

9.2. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისამებრ შეზღუდოს ან/და შეცვალოს **საკრედიტო ბარათის** ფუნქციონალი, რამაც შესაძლებელია გააფართოვოს ან შეზღუდოს წინამდებარე დოკუმენტის 8.1. ქვე-პუნქტში ჩამოთვლილი ოპერაციების სახეობები (მათ შორის და არამარტო შეუძლებელი გახადოს ბანკომატში ან/და პოს ტერმინალში თანხის განაღდება მოცემული ტიპის **საკრედიტო ბარათიდან)**.

9.3. **ბანკი** უფლებამოსილია საკანონმდებლო მოთხოვნებიდან გამომდინარე, ცალმხრივად დააწესოს შეზღუდვები **კლიენტის** საბარათე **ოპერაციებზე.**

9.4. **კლიენტის** საბარათე **ოპერაციებზე** დაწესებული შეზღუდვები განისაზღვრება **დანართი №1**-ის შესაბამისად.

9.5. **კლიენტი** უფლებამოსილია საბარათე **ოპერაციებზე** დაწესებული შეზღუდვების გაუქმების და **დანართი №1-ით** განსაზღვრულ MCC კოდებზე **ოპერაციების** დაშვების მიზნით მიმართოს **ბანკს** შესაბამისი **განაცხადით**, **ბანკის** მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

9.6. **საკრედიტო ბარათით** (გარდა განვადების ბარათი შოპინგ ქარდისა, რომლისთვისაც **ინტერნეტ ბანკის** ან/და **მობაილ ბანკის** მეშვეობით თანხის გადარიცხვა გათვალისწინებული არ არის) ფიზიკური პირი **კლიენტი** უფლებამოსილია **ინტერნეტ ბანკის** ან/და **მობაილ ბანკის** მეშვეობით, მხოლოდ ლარში, სხვა პირის **ბანკში** გახსნილ ანგარიშზე თანხის გადარიცხვა განახორციელოს მიმღების მობილური ტელეფონის ნომრის ან პირადი ნომრის საშუალებით. **ბანკი** მობილური ტელეფონის ნომრის საფუძველზე პირის იდენტიფიკაციას ახორციელებს **ბანკში** დაფიქსირებული მობილური ტელეფონის ნომრის შესაბამისად. **ბანკს** არ დაეკისრება პასუხისმგებლობა მიმღების მონაცემების ნებისმიერი მიზეზით არაზუსტად წარმოდგენის გამო, მათ შორის, იმ შემთხვევაში, თუ მიმღებმა შეიცვალა **ბანკში** დაფიქსირებული ტელეფონის ნომერი და აღნიშნულის შესახებ არ შეუტყობინებია **ბანკისთვის.** ამასთან, **კლიენტი** ვალდებულია დეტალურად შეამოწმოს **ტრანზაქციის** დეტალები (მათ შორის, მიმღების ინიციალები, ანგარიშის ნომერი, ან/და პირადი ნომრის/მობილური ტელეფონის ნომრის შეყვანის შედეგად ხელმისაწვდომი სხვა ინფორმაცია) და გადარიცხვა დაადასტუროს მხოლოდ მათ სისწორეში დარწმუნების შემდეგ. **კლიენტის** მიერ მითითებული პარამეტრების შესაბამისად თანხის გადარიცხვის გამო დამდგარ ნებისმიერ შედეგზე პასუხისმგებელია **კლიენტი**. აღნიშნული სერვისით სარგებლობის ტარიფები და ლიმიტები მოცემულია **პირობების დანართი №1-ში.**

## 10. თანხის დაგროვების სერვისი - ყულაბა

10.1. **საკრედიტო ბარათის** მფლობელს შეუძლია გაიაქტიუროს **თანხის** ავტომატური **დაგროვების სერვისი** - **ყულაბა** ბანკის მიერ განსაზღვრული დაგროვების სქემის შესაბამისად.

10.2. **თანხის დაგროვების სერვისის** გააქტიურება შესაძლებელია როგორც **ბანკის** ფილიალებსა და სერვის ცენტრებში, აგრეთვე **ბანკის** დისტანციური მომსახურების არხებში **ბანკის** მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

10.3. თუ კი **ბანკი** სხვაგვარად არ გადაწყვეტს, **საკრედიტო ბარათით** სარგებლობის მიზნებისთვის **თანხის დაგროვების სერვისის** ფარგლებში **კლიენტს** შესაძლებლობა აქვს თანხა დააგროვოს შემდეგი სქემის შესაბამისად:

10.3.1. თანხის დაგროვების სქემა ქეშბექი - **კლიენტის** მიერ **ბანკის** ლოიალობის პროგრამით სარგებლობის ფარგლებში კლიენტის ანგარიშზე დასაბრუნებელი თანხა ავტომატურად ჩაირიცხება **კლიენტის** მიერ განსაზღვრულ მოთხოვნამდე ტიპის ანაბრის ანგარიშზე. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული სქემით თანხა **კლიენტის** მოთხოვნამდე ტიპის ანგარიშზე ჩაირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას გააქტიურებული ექნება ქეშბექი **ბანკის** მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

10.4. თანხის დაგროვების სქემა ქეშბექის ფარგლებში თანხის დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ ერთ მოთხოვნამდე ტიპის ანაბრის ანგარიშზე.

10.5. თანხის დაგროვების სქემა ქეშბექის მეშვეობით თანხის დაგროვება შესაძლებელია შემდეგი **ოპერაციების** შესრულებისას: ა) **საკრედიტო ბარათით ბანკის** პარტნიორ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში **ბანკის** პოს-ტერმინალის საშუალებით ანგარიშსწორებისას ან/და **ბანკის** მიერ შეთავაზებული წამახალისებელი აქცია/კამპანიის დროს. ამასთან, **ბანკის** პარტნიორი სავაჭრო და მომსახრების ობიექტების ჩამონათვალი განისაზღვრება თავად **ბანკის** მიერ, ერთპიროვნულად.

10.6. **თანხის დაგროვების სერვისის** გააქტიურება ხდება **კლიენტის ანგარიშზე** და არა **ბარათზე**, შესაბამისად, **კლიენტის** მიერ არჩეულ **ანგარიშზე თანხის დაგროვების სერვისის** გააქტიურების შემთხვევაში, თანხის დაგროვება განხორციელდება **კლიენტის** მიერ არჩეულ **ანგარიშზე** მიბმული ნებისმიერი **ბარათით** (მათ შორის, ციფრული ბარათით) განხორციელებულ ტრანზაქციაზე.

10.7. **თანხის დაგროვების სერვისის** მეშვეობით თანხის დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში.

10.8. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ თანხის ჩარიცხვა არ განხორციელდება შესაბამის ანგარიშზე რაიმე სახის საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (მათ შორის, ინკასო/ყადაღა) არსებობის შემთხვევაში.

10.9. **კლიენტი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მიმართოს **ბანკს თანხის დაგროვების** სერვისის გაუქმების მიზნით.

10.10. **კლიენტის ანგარიშზე** გააქტიურებული **თანხის დაგროვების სერვისი** ავტომატურად გაუქმდება იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** დახურავს იმ ანაზრის ანგარიშს, რომელზეც ხდება თანხის დაგროვება.

## 11. VISA Direct და MasterCard MoneySend საზარათე გადარიცხვები

11.1. **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა დავალებაზე, რომელსაც იგი გასცემს **ბანკზე VISA Direct** ან **MasterCard MoneySend საზარათე გადარიცხვით** სარგებლობისას. აღნიშნული გულისხმობს პასუხისმგებლობას შევსებისას დაშვებულ ნებისმიერ შეცდომასა ან/და დავალებაზე, რომელიც განხორციელებული იქნა მესამე პირის მიერ.
11.2. **VISA Direct ან MasterCard MoneySend საზარათე გადარიცხვის** განსახორციელებლად **კლიენტმა** უნდა დაიცვას საბანკო ბარათით სარგებლობის და უსაფრთხოების წესები.
11.3. **კლიენტმა** არ უნდა გამოიყენოს **VISA Direct ან MasterCard MoneySend საზარათე გადარიცხვით** მომსახურება, თუ ამას შედეგად მოჰყვება მის ანგარიშზე თანხის გადახარჯვა **ბანკის** წინასწარი თანხმობის გარეშე;
11.4. **კლიენტი** პასუხისმგებელი იქნება ნებისმიერ ოპერაციაზე, რომელსაც იგი განახორციელებს **VISA Direct ან MasterCard MoneySend საზარათე გადარიცხვით** სარგებლობის შედეგად.
11.5. **ბანკი** ყველა ზომას მიმართავს იმისათვის, რომ **კლიენტი** უზრუნველყოს **VISA Direct ან MasterCard MoneySend საზარათე გადარიცხვების** მომსახურებით, მაგრამ **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა აღნიშნული მომსახურებით **კლიენტის** უზრუნველყოფა **ბანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზების გამო, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გულისხმობს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ხდება **ბანკის** სისტემის ან **VISA Direct ან MasterCard MoneySend საზარათე გადარიცხვებით** მომსახურების შეფერხება სისტემის განახლების ან/და გაუმჯობესების მიზეზით, ასევე მომსახურების შეფერხება თანხის მიმღები ბარათის მომსახურე ბანკის მიზეზით.
11.6. **კლიენტის** ან/და საკუთარი ინტერესების დასაცავად, **ბანკს** შეუძლია შეაჩეროს ან შეზღუდოს **კლიენტის** მიერ **VISA Direct ან MasterCard MoneySend საზარათე გადარიცხვების** სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება. ამგვარი ქმედების განხორციელებისას **ბანკი** პირველი შესაძლებლობისთანავე შეტყობინებას გაუგზავნის **კლიენტს. ბანკს** აგრეთვე შეუძლია ნებისმიერ დროს მთლიანად ან ნაწილობრივ შეუწყვიტოს **კლიენტს VISA Direct ან MasterCard MoneySend საზარათე გადარიცხვებით** მომსახურება.
11.7. **კლიენტი** უფლებასმოსილებას ანიჭებს **ბანკს, ბანკმა** შეასრულოს **კლიენტის** მიერ გაცემული ყველა ელექტრონული მითითება/დავალება (რომელიც ასახულია **ბანკის** მიერ) **VISA Direct ან MasterCard MoneySend საზარათე გადარიცხვებით** მომსახურების მეშვეობით.
11.8. **ბანკის** მხრიდან არ ჩაითვლება ხელშეკრულების დარღვევად და იგი არ იქნება ვალდებული დამდგარ შედეგზე, როდესაც:
11.8.1. **VISA Direct ან MasterCard MoneySend საზარათე გადარიცხვით** მომსახურების (ან მისი ნაწილის) განხორციელება შეუძლებელია **ბანკისაგან** დამოუკიდებელი მიზეზების გამო;
11.8.2. **კლიენტის** უსაფრთხოების დეტალები (კერძოდ, **წვდომის კოდები**) არაავტორიზებულად იქნა გამოყენებული;
11.8.3. **ბანკს** არ მიუღია **კლიენტის** მიერ გაგზავნილი დავალებ(ებ)ი.
11.9. **VISA Direct ან MasterCard MoneySend საზარათე გადარიცხვების** მომსახურების საფასური განისაზღვრება **თანხის გატანის ტოლფასი ოპერაციისათვის** დანართით #1 დადგენილი ტარიფებით. ამასთან, შესაძლებელია **კლიენტს** დამატებით დაეკისროს სხვა ფინანსური ინსტიტუტის არხში განხორციელებული **VISA Direct ან MasterCard MoneySend საზარათე გადარიცხვების** განხორციელებისათვის მომსახურების საფასური, რომლის ოდენობაც ყოველ კონკრეტულ შეთხვევაში განისაზღვრება მომსახურე ფინანსური ინსტიტუტის მიერ.

## 12. საბანკო ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი

12.1. **საბანკო ბარათის 3D უსაფთხოება** წარმოადგენს ბანკის მიერ კლიენტისათვის შეთავაზებულ დაცვის დამატებით საშუალებას, რომლის მიზანია უზრუნველყოს VISA ან MasterCard-ის საერთაშორისო საგადამხდელო სისტემაში ჩართული **ბარათით** ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციების უსაფრთხოდ შესრულება Verified by Visa და MasterCard SecureCode სერვისების სახით.
12.2. **ბარათის 3D უსაფთხოების** გასააქტიურებლად **ბარათის** უფლებამოსილმა მფლობელმა **ბანკის** ფილიალებსა და სერვის ცენტრებში უნდა შეავსოს შესაბამისი **განაცხადი** და გაიაროს სათანადო რეგისტრაცია.
12.3. **3D უსაფთხოების** გასააქტიურებლად **ბარათის** უფლებამოსილ მფლობელს სავალდებულო წესით უნდა ჰქონდეს აქტიური სმს ბანკის მომსახურება, რა შემთხვევაშიც აღნიშნული მომსახურების ფარგლებში დარეგისტრირებული მობილური ტელეფონის ნომერზე განხორციელდება **3D უსაფთხოების** ერთჯერადი სმს ვერიფიკაციის კოდის გაგზავნა ბარათით ინტერნეტის საშუალებით ტრანზაქციების განხორციელებისას.
12.4. განაცხადში მითითებული მონაცემების **ბანკისათვის** არასრულად ან/და არაჯეროვნად მიწოდების შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია უარი განუცხადოს **უფლებამოსილ მფლობელს ბარათის 3D უსაფთხოების სერვისის** რეგისტრაციაზე / გააქტიურებაზე.
12.5. უფლებამოსილი მფლობელისათვის **3D უსაფთხოების სერვისის** გააქტიურება შესაძლებელი იქნება **ბანკში განაცხადის** წარდგენის მომდევნო საბანკო დღიდან. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია უსაფრთხოების შეხედულებებიდან გამომდინარე თავისი ინიციატივით ავტომატურად მოახდინოს **ბარათის მფლობელისათვის 3D უსაფთხოების** ჩართვა (მათ შორის **ბარათის** უფლებამოსილი მფლობელის მიერ უშუალოდ ინტერნეტ-ტრანზაქციის განხორციელების დროს) ან/და აგრეთვე **ბარათის 3D უსაფთხოების სერვისის** შეწყვეტა.
12.6. **3D უსაფთხოების** გამოყენებით ინტერნეტით ტრანზაქციების (საქონლის ან/და მომსახურების შეძენა) განსახორციელებლად აუცილებელია **ბარათის უფლებამოსილი მფლობელი** დარწმუნდეს მერჩანტის (სავაჭრო ობიექტის) ვებ-გვერდის ნამდვილობაში, რა მიზნითაც აუცილებელია მინიმუმ შემდეგი პირობების არსებობა: (ა) მერჩანტის (სავაჭრო ობიექტის) ვებ-გვერდზე განთავსებული უნდა იყოს **ბანკის** და „Verified by VISA" ან „MasterCard SecureCode"-ის ლოგო; (ბ) მომთხოვნ ვებ–გვერდს უნდა გააჩნდეს უსაფრთხოების სერტიფიკატები.
12.7. **ტრანზაქციების** განსახორციელებლად **ბარათის** უფლებამოსილი მფლობელის მიერ გამოსაყენებელი ერთჯერადი სმს ვერიფიკაციის კოდი დინამიურია და იგზავნება მომენტალურად საბანკო ბარათით ინტერნეტით ტრანზაქციების (საქონლის ან/და მომსახურების შეძენა) განხორციელების დროს ბანკში საბანკო ბარათის მფლობელზე დარეგისტრირებულ ტელეფონის ნომერზე.
12.8. **ბარათის უფლებამოსილი მფლობელი** პასუხისმგებელია **ვერიფიკაციის ერთჯერადი სმს კოდის** ან/და ინტერნეტის საშუალებით ტრანზაქციების განხორციელებისას გამოყენებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფაზე, შესაბამისად **ბანკი** ან/და VISA / MasterCard-ის საერთაშორისო საგადამხდელო სისტემა არ არიან პასუხისმგებელნი აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად წარმოშობილ ნებისმიერ ზიანზე ან/და ზარალზე.
12.9. **ბანკს** არ გააჩნია კონტროლის საშუალება მერჩანტის (სავაჭრო ობიექტის) მიერ შეთავაზებულ მომსახურებაზე, აქედან გამომდინარე **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი მერჩანტის (სავაჭრო ობიექტის) მიერ განხორციელებული მომსახურების შედეგად წარმოშობილ უზუსტობებზე, **კლიენტისათვის** ან/და მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე / ზარალზე, აგრეთვე მერჩანტის (სავაჭრო ობიექტის) ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის სისწორეზე, ცვლილებებზე ან/და მომსახურების შედეგად წარმოშობილ სხვა ხარვეზებზე.
12.10. **კლიენტი** პასუხისმგებელია ყველა დავალებაზე, რომელსაც იგი გასცემს **ბანკზე** სპეციალური უსაფრთხოების პროცედურების გავლის შემდეგ, იმ მომენტამდე, სანამ იგი არ შეწყვეტს **3D უსაფრთხოების სერვისით** სარგებლობას.
12.11. **ბანკი** ყველა ზომას მიმართავს იმისთვის, რომ **კლიენტი** უზრუნველყოს **3D უსაფრთხოების სერვისით**, მაგრამ **ბანკი** არ იქნება პასუხისმგებელი იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა აღნიშნული მომსახურებით **კლიენტის** უზრუნველყოფა **ბანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზების გამო (მათ შორის და არამარტო, ადგილი აქვს **ბანკის** სისტემის ან **3D უსაფრთხოების სერვისის** შეფერხებას სისტემის განახლების ან/და გაუმჯობესების მიზეზით, **3D უსაფრთხოების სერვისი** შესაძლებელია არ იყოს ხელმისაწვდომი უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი მერჩანტების ვებ-გვერდებზე).
12.12. **კლიენტის** ან/და საკუთარი ინტერესების დასაცავად, **ბანკს** შეუძლია შეაჩეროს ან/და შეზღუდოს **კლიენტის** მიერ **3D უსაფრთხოების სერვისით** ან მისი ნაწილით სარგებლობა. ამგვარი ქმედების განხორციელებისას **ბანკი** პირველი შესაძლებლობისთანავე შეტყობინებას გაუგზავნის **კლიენტს. ბანკს** აგრეთვე შეუძლია ნებისმიერ დროს მთლიანად ან ნაწილობრივ შეუწყვიტოს **კლიენტს 3D უსაფრთხოების სერვისით** სარგებლობა. **3D უსაფრთხოების სერვისის** შეჩერების ან/და შეზღუდვის შეთხვევაში მომსახურების შეჩერებამდე / შეზღუდვამდე არსებულ ოპერაციებზე პასუხისმგებელია **კლიენტი.**
12.13. **ბანკის** მხრიდან არ ჩაითვლება ხელშეკრულების დარღვევად და იგი არ იქნება ვალდებული დამდგარ შედეგზე როდესაც:
12.13.1. **3D უსაფრთხოების სერვისით** (ან მისი ნაწილით) მომსახურება შეუძლებელია **ბანკისგან** დამოუკიდებელი მიზეზების გამო;
12.13.2. ინტერნეტის საშუალებით ტრანზაქციების განხორციელებისას გაუმართავია სატელეკომუნიკაციო საშუალებები;
12.13.3. **ბარათის** უფლებამოსილი მფლობელის ტექნიკური საშუალებებს გააჩნიათ პროგრამული ვირუსი;
12.13.4. **კლიენტის** უსაფრთხოების დეტალები (კერძოდ, ერთჯერადი სმს ვერიფიკაციის კოდი) არაავტორიზებულად იქნა გამოყენებული;
12.13.5. **ბანკს** არ მიუღია **კლიენტის** მიერ გაგზავნილი დავალებ(ებ)ი.
12.14. **კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს **ბანკისაგან 3D უსაფრთხოების სერვისის** გაუქმება **ბანკის** ფილიალში/სერვის ცენტრში **განაცხადის** წარდგენის გზით.

## 13. საკრედიტო ბარათის მომსახურების ტარიფები

13.1. **საკრედიტო ბარათის** მომსახურების ტარიფები (ასევე მათი გადახდის პირობები) განისაზღვრება დანართით #1 ან ტოპ ქარდით სარგებლობის შემთხვევაში დანართი #2-ით, რომლებიც წარმოადგენს წინამდებარე **პირობებისა** და **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს.

13.2. **საკრედიტო ბარათზე** ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს დარიცხვა, ასეთის არსებობის შემთხვევაში მოხდება იმისდა მიუხედავად, **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე განხორციელდა თუ არა ტრანზაქცია. **საკრედიტო ბარათის** ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს ჩამოჭრა **საკრედიტო ბარათის** ანგარიშიდან **ბანკის** მიერ ხდება უაქცეპტო წესით, **კლიენტის** მიერ განხორციელებული გადახდების თანხიდან, **დაანგარიშების თარიღის** შემდგომ ნებისმიერ დროს.

13.3. **საკრედიტო ბარათის** ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს დაანგარიშება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საანგარიშო თვეში ბარათის გამოყენების ფაქტიური კალენდარული დღეების მიხედვით არ ხდება. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **საკრედიტო ბარათის** ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს დარიცხვა ხდება მთლიანი მოცულობით დამოუკიდებლად იმისა, თუ რამდენი კალენდარული დღის განმავლობაში სარგებლობდა **კლიენტი** მოცემულ საანგარიშო თვეში **საკრედიტო ბარათით**.

13.4. **საკრედიტო ბარათის** ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს დარიცხვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხდება ყოველი კალენდარული თვის ბოლო დღეს და მისი (ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს) გათვალისწინება ხორციელდება **კლიენტის** მიერ გადასახდელ მინიმალურ / მთლიან გადასახადში, თუ **პირობებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

13.5. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** დაარიცხოს ტარიფების შესაბამისად განსაზღვრული **პროცენტი/კლიენტთან** გაფორმებული **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული **ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიო**, მომსახურების საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), **ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტი**, სხვა საჯარიმო სანქცია და ნებისმიერი გადასახდელი.

13.6. **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს დანართით #1 ან/და დანართი #2-ით განსაზღვრული ნებისმიერი მომსახურების ტარიფი (მათ შორის, **საპროცენტო განაკვეთი**), რის შესახებაც არანაკლებ ერთი თვით ადრე უნდა მოახდინოს **კლიენტის** ინფორმირება პრესაში, ტელევიზიაში, საკუთარ ვებ-გვერდზე, **ბანკის** სრუქტურულ ერთეულში განცხადების განთავსების გზით, მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით, ბანკომატების ქსელის მეშვეობით ან ელექტრონული ფოსტით შეტყობინების გაგზავნით. თუ **კლიენტი** არ დაეთანხმება აღნიშნულ ცვლილებებს, იგი ვალდებულია მათ ძალაში შესვლამდე წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ **ბანკს** და სრულად მოახდინოს არსებული დავალიანების დაფარვა და **საკრედიტო ბარათის** დაბრუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ იგი ეთანხმება განხორციელებულ ცვლილებებს.

## 14. საკრედიტო ლიმიტის ვალუტა

14.1. **საკრედიტო ლიმიტის** ვალუტა არის **ლარი**.

14.2. თუ **კლიენტი** რაიმე ტრანზაქციას განახორციელებს **საკრედიტო ლიმიტის** ვალუტის გარდა ნებისმიერ სხვა ვალუტაში, ტრანზაქციის განსახორციელებლად საჭირო თანხები კონვერტირებული იქნება **საკრედიტო ლიმიტის** ვალუტაში. კონვერტაცია მოხდება **ბანკის** მიერ ტრანზაქციის **ბანკის** ელექტრონულ სისტემაში გატარების თარიღისათვის არსებული კურსით, რომელიც შესაძლოა განსხვავდებოდეს **კლიენტის** მიერ ტრანზაქციის განხორციელების თარიღის კურსისგან.

14.3. **საკრედიტო ბარათით** ჩატარებული ოპერაციები ლარში აისახება **კლიენტის საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე ლარშივე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის (ოპერაცია) ჩატარდა საქართველოში. თუ ოპერაცია ლარში ჩატარდა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, ის აისახება **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე იმ ვალუტაში რა ვალუტაშიც **ბანკს** მოუწევს აღნიშნული ოპერაციის საერთაშორისო ანგარიშსწორება (ასეთი ვალუტა შეიძლება იყოს ა.შ.შ. დოლარი, ევრო ან გირვანქა სტერლინგი - დამოკიდებული იმ ქვეყანაზე, სადაც **კლიენტმა** განახორციელა საბარათე ოპერაცია ლარში);

14.4. **კლიენტი** აცნობიერებს და თანახმაა, რომ ნებისმიერ **საკრედიტო ლიმიტის** ვალუტისაგან განსხვავებულ ვალუტაში განხორციელებულ ტრანზაქციების მიმართ **ბანკი** გამოიყენებს თავის მიერ დადგენილ გაცვლით კურსს.

14.5. **კლიენტი** თანახმაა, რომ ნებისმიერი ცვლილება გაცვლით კურსში ტრანზაქცი(ებ)ის მიმართ გამოიყენება დაუყოვნებლივ, **კლიენტისათვის** ყოველგვარი დამატებითი შეტყობინების გარეშე. განახლებული გაცვლითი კურსი იქნება გამოყენებული შესაბამისი ტრანზაქცი(ებ)ის შედეგად გახარჯული თანხების კონვერტაციისას. ნებისმიერი ტრანზაქციის შედეგად გახარჯული თანხის კონვერტაციისას გამოყენებული გაცვლითი კურსი შესაძლოა არ დაემთხვეს ასეთი ტრანზაქციის განხორციელების დღეს არსებულ კურსს, რადგან თანხის კონვერტაციისას გამოიყენება იმ დღის გაცვლითი კურსი, როდესაც ტრანზაქცია გატარდება **ბანკის** ელექტრონულ სისტემაში.

## 15. ახალი ბარათის (მასწავლებლის ახალი ბარათის) CashBack

15.1. ახალი ბარათით (მასაწვლებლის ახალი ბარათით) სარგებლობის შემთხვევაში **კლიენტს** შესაძლებლობა აქვს ავტომატურად გააქტიურებული შეთავაზებების ფარგლებში **ბანკის** პარტნიორ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში **ბანკის** პოს-ტერმინალის საშუალებით ანგარიშსწორებისას მიიღოს CashBack--ის თანხა. დამატებით **კლიენტს** შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს **საკრედიტო ბარათის** კატეგორიის CashBack-ით, რომლის ფარგლებშიც **კლიენტს** შეუძლია თვის განმავლობაში ერთხელ აირჩიოს **ბანკის** მიერ წინასწარ განსაზღვრული კონკრეტული კატეგორია და წინამდებარე, ამ კატეგორიაში შემავალ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში **საკრედიტო ბარათით** ნებისმიერ პოს ტერმინალზე ანგარიშსწორებისას მიიღოს CashBack-ის თანხა. თუ **საკრედიტო ბარათის** კატეგორიის CashBack-ი მოიცავს **ბანკის** პარტნიორ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებს, **საკრედიტო ბარათით ბანკის** პარტნიორ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში **ბანკის** პოს-ტერმინალის საშუალებით ანგარიშსწორებისას, **კლიენტი** მიიღებს ორივე სახის CashBack-ის თანხას. **ბანკის** პარტნიორი სავაჭრო და მომსახურების ობიექტების ჩამონათვალი, **საკრედიტო ბარათის** CashBack-ის კატეგორიები, **ბანკის** მიერ შეთავაზებული წამახალისებელი აქცია/კამპანიის ფორმატი განისაზღვრება თავად **ბანკის** მიერ, ერთპიროვნულად.

15.2. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ CashBack-ის თანხის ჩარიცხვა არ განხორციელდება შესაბამის ანგარიშზე რაიმე სახის საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (მათ შორის, ინკასო/ყადაღა) არსებობის შემთხვევაში, ამასთან, **კლიენტი** ადასტურებს, რომ სრულად გაეცნო და მისაღებია ლოიალობის პროგრამით სარგებლობის პირობები განთავსებული ვებ-გვერდზე https://cashback.ge/ka/loyalty-program-terms.

15.3. **კლიენტი** ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ **ბანკი** უფლებამოსილია ცალმხრივად, ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე, ნებისმიერ დროს შეცვალოს, შეწყვიტოს, შეაჩეროს ან განაახლოს **პირობების** მე-14 პუნქტში აღწერილი **საკრედიტო ბარათისთვის** განსაზღვრული CashBack-ის პირობები.

15.4. თუ კი **ბანკი** სხვაგვარად არ გადაწყვეტს, **კლიენტს** არ გაეხსნება **CashBack-ის ანგარიში** იმ შემთხვევაში, თუ **საკრედიტო ბარათით** პირველი ტრანზაქციის განხორციელების მომენტისთვის **კლიენტს** გააქტიურებული ექნება **თანხის დაგროვების სერვისი - ყულაბის** ფარგლებში არსებული თანხის დაგროვების სქემა ქეშბექი, რაც ამავდროულად გულისხმობს იმას, რომ **საკრედიტო ბარათით** განხორციელებული ტრანზაქციების შედეგად დაბრუნებული CashBack-ის თანხა განთავსდება იმ მოთხოვნამდე ტიპის ანაბრის ანგარიშზე, რომელზეც აკუმულირდება **თანხის დაგროვების სერვისის** ფარგლებში დაბრუნებული თანხ(ები)ა. ამასთან, **კლიენტი** ადასტურებს, რომ სრულად გაეცნო და მისაღებია უნივერსალური ანგარიშის მომსახურების პირობები განთავსებული ვებ-გვერდზე https://libertybank.ge/ka/agreements/liberti-angarishi;

15.5. **კლიენტს** უფლება აქვს **CashBack-ის ანგარიშზე** განთავსებული CashBack-ის სახსრები გადარიცხოს მხოლოდ **ბანკში** მის ნებისმიერ **ანგარიშზე** ან/და კომუნალური გადასახდელების დაფარვის მიზნით ან/და სახელმწიფო ბიუჯეტში თანხის გადარიცხვის მიზნით შესაბამის ანგარიშზე, რაც გულისხმობს, რომ თუ **ბანკი** სხვაგვარად არ გადაწყვეტს დაუშვებელია **CashBack-ის ანგარიშზე(იდან)** თანხის ჩარიცხვა, გადატანა (განაღდება), სხვა ანგარიშებზე გადარიცხვა გარდა **პირობების** წინამდებარე ქვეპუნქტში გათვალისწინებული შემთხვევ(ებ)ისა. **ხელშეკრულების** ნებისმიერი საფუძვლით შეწყვეტა/გაუქმება ავტომატურად არ იწვევს **CashBack-ის ანგარიშის** დახურვას თუ **ბანკი** სხვაგვარად არ გადაწყევტს.

## 16. პასუხისმგებლობა

16.1. **ბანკის** მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, **კლიენტი** პასუხისმგებელი და ვალდებულია არაუგვიანეს შესაბამისი **გადახდის პერიოდის** ბოლო დღისა გადაუხადოს **ბანკს** თავის **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე რიცხული შემდეგი დავალიანებები:

16.1.1. **კლიენტის** ან დამატებითი ბარათის მფლობელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ საკრედიტო ანგარიშიდან განხორციელებული ტრანზაქცი(ებ)ის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი დავალიანება, მაშინაც კი თუ ბარათი გადახდის ვალდებულების წარმოშობის მომენტისთვის იქნება გაუქმებული და ხელშეკრულება შეწყვეტილი;

16.1.2. დავალიანება ნებისმიერი სხვა პირის მიერ განხორციელებული ოპერაცი(ებ)ისათვის, თუ **კლიენტი** ან/და დამატებითი ბარათის მფლობელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ნებას დართავს ასეთ პირს განახორციელოს ტრანზაქცია;

16.1.3. დავალიანება **კლიენტის** ან დამატებითი ბარათის მფლობელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ წინამდებარე **ხელშეკრულების** დარღვევით განხორციელებულ ტრანზაქციებზე;

16.1.4. **კლიენტის** ან დამატებითი ბარათის მფლობელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ ნებისმიერი მესამე პირისათვის უფლებამოსილების მინიჭების გარეშე ასეთი პირის მიერ განხორციელებულ ტრანზაქციებზე არსებული დავალიანება, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს **საკრედიტო ბარათის**, მისი ნებისმიერი ნომრის ან კოდის მოპარვის შედეგად განხორციელებულ ოპერაციებს.

16.2. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი წინამდებარე **პირობების დანართში** მითითებულ MCC კოდებზე შეზღუდულ **ოპერაციებზე, კლიენტის** მომართვის საფუძველზე **ოპერაციების** დაშვების შემდეგ, **კლიენტისათვის** დამდგარ ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე;

16.3. **მხარეთა** შეთანხმებით, **საკრედიტო ლიმიტის** ძირითადი თანხა,**საკრედიტო ბარათის** ანუიტეტური გრაფიკით დაფარვის ოფციით არჩევის შემთხვევაში, შესაძლებელია დაიფაროს **გრაფიკით** გათვალისწინებულ ვადებზე

ადრეც **კლიენტის** მიერ შესაბამისი წერილობითი (მატერიალური ან ელექტრონული ფორმით) განცხადების **ბანკისთვის** წარდგენის ან/და დისტანციურ საკომუნიკაციო საშუალებებში კრედიტის დაფარვის სპეციალური ღილაკების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოყენების გზით **საკრედიტო ლიმიტის** ძირითადი თანხის წინსწრებით ვადამდე დაფარვის ნების გამოხატვის შემდეგ.

16.4. **საკრედიტო ბარათის** ანუიტეტური გრაფიკით დაფარვის ოფციით არჩევის შემთხვევაში, თუ **კლიენტი გრაფიკით** გათვალისწინებულ **დაფარვის/გადახდის თარიღამდე** განათავსებს თანხას **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე და წერილობითი (მატერიალური ან ელექტრონული) განცხადებით ან/და დისტანციურ საკომუნიკაციო საშუალებებში **საკრედიტო ლიმიტის** ვადამდე დაფარვის სპეციალური ღილაკების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოყენებით არ გამოხატავს **საკრედიტო ლიმიტის** ვადამდე წინსწრებით დაფარვის ნებას, **კლიენტის** მიერ **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე განთავსებული თანხა არ იქნება მიმართული **გრაფიკით** გათვალისწინებული გადასახდელების ვადამდე დასაფარად, აღნიშნული თანხა არ იქნება გათვალისწინებული ასათვისებელი **საკრედიტო ლიმიტის** დასაანგარიშებლად და განიხილება **საკრედიტო ლიმიტისგან** დამოუკიდებელ ფულად სახსრებად. ამასთან, **კლიენტის** მიერ **საკრედიტო ბარათის** ნებისმიერი ფორმით ანგარიშსწორებისთვის გამოყენების ან/და **საკრედიტო ბარათის** ანგარიშიდან ნებისმიერი ფორმით თანხის განაღდების შემთხვევაში, პირველ რიგში ანგარიშსწორება/თანხის განაღდება მოხდება სწორედ წინამდებარე პუნქტის შესაბამისად განთავსებული თანხიდან და აღნიშნული თანხა არ ჩაითვლება **საკრედიტო ლიმიტის** ოდენობაში. **ბანკი** უფლებამოსილია, აღნიშნული თანხა **გადახდის/დაფარვის თარიღში** მიმართოს **გრაფიკით** გათვალისწინებული ვალდებულებების დასაფარად წინამდებარე **ხელშეკრულების** პირობების შესაბამისად.

16.5. **საკრედიტო ლიმიტის** წინსწრებით, **გრაფიკით** გათვალისწინებულ ვადაზე ადრე ნაწილობრივი დაფარვის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია, ცალმხრივად შეცვალოს **გრაფიკი** (შეადგინოს ახალი **გრაფიკი**) და ამ შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებული იქნება კრედიტი დაფაროს **ბანკის** მიერ შედგენილი ახალი **გრაფიკის** მიხედვით.

16.6. **საკრედიტო ლიმიტის** წინსწრებით, **გრაფიკით** გათვალისწინებულ ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში, **კლიენტს** აქვს შესაძლებლობა აირჩიოს კრედიტის ვადაზე ადრე ნაწილობრივი დაფარვის შემდეგ სამ ოფციას შორის ერთ-ერთი:

16.6.1. *საბაზისო ოფცია*: **საკრედიტო ლიმიტის** ვადაზე ადრე დაფარვის საბაზისო ოფცია გააქტიურებულია ავტომატურად. თუ **კლიენტმა** კრედიტის ვადაზე ადრე ნაწილობრივი დაფარვის მომენტისთვის აირჩია სხვა ოფცია, საბაზისო ოფციის მოქმედების პირობებში **კლიენტის** მიერ **საკრედიტო ლიმიტის** წინსწრებით ნაწილობრივი დაფარვის შემთხვევაში დაიფარება **საკრედიტო ლიმიტის** ძირითადი თანხა და მომდევნო თვიდან **კლიენტს** საშუალება ექნება დაფაროს მხოლოდ **საკრედიტო ლიმიტზე** დარიცხული **პროცენტი. კლიენტის** მიერ მხოლოდ **პროცენტის** დაფარვა განხორციელდება იმ შენატანამდე, რომლამდეც **კლიენტის** მიერ წინსწრებით დაფარული **საკრედიტო ლიმიტის** ძირითადი თანხა იქნება საკმარისი. მას შემდეგ რაც ამოიწურება **კლიენტის** მიერ წინსწრებით დაფარული **საკრედიტო ლიმიტის** ძირითადი თანხა, კრედიტის დაფარვა გაგრძელდება **ბანკსა** და **კლიენტს** შორის თავდაპირველად შეთანხმებული **გრაფიკის** მიხედვით;

16.6.2. *ვადის შემოკლების ოფცია:* **კლიენტს** ვადის შემოკლების ოფციის გააქტიურება შეუძლია **საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადის** განმავლობაში ნებისმიერ დროს. ვადის შემოკლების ოფციის მოქმედების პირობებში, **კლიენტის** მიერ **საკრედიტო ლიმიტის** წინსწრებით ვადაზე ადრე ნაწილობრივი დაფარვის შემთხვევაში, კრედიტის დაფარვის შენატანები და მათი გადახდის თარიღი არ შეიცვლება, მაგრამ შესაბამისად შემცირდება **გრაფიკით** გათვალისწინებული **საკრედიტო ლიმიტის** დაფარვის ვადა;

16.6.3. *შენატანების შემცირების ოფცია:* **კლიენტს** შენატანების შემცირების ოფციის გააქტიურება შეუძლია **საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადის** განმავლობაში ნებისმიერ დროს. შენატანების შემცირების ოფციის მოქმედების პირობებში, **კლიენტის** მიერ **საკრედიტო ლიმიტის** წინსწრებით ვადაზე ადრე ნაწილობრივი დაფარვის შემთხვევაში ხდება კრედიტის დაფარვის თავდაპირველი **გრაფიკით** გათვალისწინებული შენატანების გადაანგარიშება **გრაფიკით** გათვალისწინებული დაფარვის ვადის უცვლელად. შედეგად, კრედიტის დასაფარად აუცილებელი ყოველთვიური შენატანის მოცულობა მცირდება ხოლო **გრაფიკით** გათვალისწინებული კრედიტის გადახდის ვადა რჩება უცვლელი.

16.7. **მხარეები** იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ **ხელშეკრულების** შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) კანონმდებლობით ან/და **ხელშეკრულებით** დადგენილი წესით.

16.8. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტზე** არ გასცეს/გააააქტიუროს **საკრედიტო ბარათი/საკრედიტო ლიმიტი** ან/და შეაჩეროს **საკრედიტო ბარათის** ან/და სხვა საკრედიტო/საბანკო პროდუქტის მოქმედება.

16.9. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახელმწიფო, ადმინისტრაციული ან/და სხვა უფლებამოსილი **პირების** მიერ **კლიენტის ბანკში** არსებულ საბანკო ანგარიშ(ებ)ზე დაწესებულ შეზღუდვებზე (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ინკასო, ყადაღა და სხვა), რის შედეგადაც **კლიენტი** ვერ უზრუნველყოფს მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას. ამასთან, **კლიენტი** ადასტურებს, რომ აღნიშნული გარემოებები არ წარმოადგენს **ხელშეკრულებით** ან/და კანონმდებლობით განსაზღვრული **ბანკის** უფლებების შეზღუდვის ან/და **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ან/და კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან გათავისუფლების საფუძველს.

16.10. ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაკავშირებული პირობები (მათ შორის და არა მხოლოდ, მოთხოვნის წარდგენის და გადახდევინების მიქცევისას ქონების არჩევითობა):

16.10.1. თუ **ხელშეკრულების** შეწყვეტამდე უზრუნველყოფის საგანი გადმოეცემა **ბანკს,** უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციამდე **პროცენტის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), **ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიოს** და **პირგასამტეხლოს** დარიცხვა გაგრძელდება/შენარჩუნდება **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად, **სრული დავალიანების** თანხაზე, დავალიანების სრულად დაფარვამდე. ამასთან, **ბანკის** მიერ მიღებული უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის შემთხვევაში, შესაბამისი წილით შემცირდება დავალიანება, ხოლო დარჩენილ დავალიანებაზე, კვლავ გაგრძელდება/შენარჩუნდება **პროცენტის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), **ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიოს** და **პირგასამტეხლოს** დარიცხვა.

16.10.2. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, უზრუნველყოფის საგნის **ბანკისთვის** გადაცემის (ნებაყოფლობით ან გადახდევინების მიქცევის გზით) მიუხედავად, უზრუნველყოფის საგნის გასხვისებისა და ფულადი ვალდებულებების სრულად დაფარვამდე, გაგრძელდეს/შენარჩუნდეს **პროცენტის** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), **ყოველთვიური ფიქსირებული საკომისიოს** და **პირგასამტეხლოს** დარიცხვა **სრული დავალიანების** მთლიან ოდენობაზე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

16.10.3. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი არჩევანით მოითხოვოს ვალდებულებების დაფარვა **კლიენტის** ნებისმიერი ქონებ(ებ)იდან იმგვარად, რომ თავდაპირველად მოთხოვნის წარდგენა არ მოხდეს უზრუნველყოფის საშუალების საგნ(ებ)ის ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი პირის მიმართ. ასეთი ქმედება არ უნდა ჩაითვალოს **ბანკის** მხრიდან უზრუნველყოფის საგანზე ან/და **დაკავშირებულ ხელშეკრულებაზე** უარის თქმად და **ბანკს** უნარჩუნდება უფლება, ნებისმიერ დროს წარადგინოს მოთხოვნა, დაიწყოს გადახდევინების მიქცევა უზრუნველყოფის საგანზე ან/და **დაკავშირებული ხელშეკრულებიდან** გამომდინარე პირ(ებ)ის ქონებაზე.

16.10.4. გადახდევინების მიქცევისას **კლიენტის** რამდენიმე ვადამოსული დავალიანების არსებობისას, **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, განსაზღვროს ვადამოსული დავალიანების გადასახდელების რიგითობა და თანმიმდევრობა.

16.10.5. თუ უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის საკუთრებაში მიღების მომენტისთვის უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის ღირებულება ან/და უზრუნველყოფის საგნ(ებ)ის რეალიზაციიდან ან/და გასხვისებიდან მიღებული თანხა საკმარისი არ არის **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად დასაფარად (მათ შორის, ერთმნიშვნელოვნად კრედიტის ან/და კრედიტთან დაკავშირებული გადასახდელების თანხების გადახდისთვის): (ა) **კლიენტი** დარჩება პასუხისმგებელი დარჩენილი ფულადი ვალდებულებების ნაშთზე (მათ გადახდაზე); (ბ) **ბანკი** უფლებამოსილია, გადახდევინება მიაქციოს **კლიენტის** ნებისმიერ სხვა ქონებაზე.

16.10.6. თუ **ბანკის** მიერ მოთხოვნის წარდგენის/გადახდევინების მიქცევის ეტაპისთვის ვერ ხდება უზრუნველყოფის საგნის მოძიება, მიუხედავად მოუძიებლობის მიზეზისა (ქონების გადამალვა, განადგურება, ქონების ჩამორთმევა ნებისმიერი ადმ. ორგანოს მიერ, ქონების საქართველოს საზღვრის კვეთა და ა.შ) **კლიენტი** აცხადებს თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი არჩევანით მოითხოვოს: (ა) **კლიენტისგან** შესაბამისი ღირებულების მქონე უზრუნველყოფის საგნის წარმოდგენა ან (ბ) **ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტა და ვალდებულების სრულად დაფარვა **კლიენტის** ნებისმიერი ქონებ(ებ)იდან.

| 17. | **ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ** |
|---|---|

17.1. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს დოკუმენტაცია **კლიენტის** ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რა შემთხვევაშიც **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** მიერ დადგენილი პირობების (მათ შორის ვადა, ფორმა და ა.შ.) შესაბამისად სრულად წარმოადგინოს ნებისმიერი მოთხოვნილი ინფორმაცია.

17.2. თუ **კლიენტი ბანკის** მიერ დადგენილ ვადაში ვერ წარმოადგენს **ბანკის** მიერ მოთხოვნილ დოკუმენტაციას, **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **კლიენტის საკრედიტო ლიმიტის ბლოკირება** ან/და გააუქმოს **კლიენტის საკრედიტო ბარათი** და მოითხოვოს ათვისებული **საკრედიტო ლიმიტის** მის მიერვე დადგენილ ვადებში დაფარვა.

17.3. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდის განმავლობაში ნებისმიერ დროს, **ბანკმა კლიენტთან** მოახდინოს სატელეფონო კომუნიკაცია ან/და მიავლინოს **კლიენტის** საქმიანობის ან/და სხვა შესაბამის ადგილზე **ბანკის** თანამშრომელი ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი და შეაფასოს, დაასურათოს, შეადგინოს შესაბამისი აქტი კრედიტის (**საკრედიტო ლიმიტის**) მიზნობრიობის შემოწმების და

მონიტორინგის, ასევე კრედიტის (**საკრედიტო ლიმიტის**) დაფარვის წყაროს შესწავლის მიზნით და ამ მიზნების შესასრულებლად საჭირო მოცულობით.

## 18. თანხების უაქცეპტო წესით ჩამოჭრა

18.1. **კლიენტი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებაზე **საკრედიტო ბარათის** გადახდის დღეს მის (**კლიენტის**) მიერ **ბანკში** გახსნილი ნებისმიერი ანგარიშიდან, მისი (**კლიენტის**) დამატებითი თანხმობის გარეშე ჩამოჭრას თანხები **პირობების** შესაბამისად წარმოქმნილი ნებისმიერი დავალიანების სრულად ან ნაწილობრივად დასაფარავად. თუ დავალიანების თანხა და ანგარიშზე რიცხული ან **საკრედიტო ლიმიტის** თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკი** თავად განახორციელებს კონვერტაციას გადახდის თარიღისათვის **ბანკში** დადგენილი კურსით, რომლის ღირებულებაც ასევე უაქცეპტოდ ჩამოეჭრება **კლიენტს** ანგარიშიდან. **კლიენტი** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** წინამდებარე ქვეპუნქტით გათვალისწინებულ უფლებაზე **საკრედიტო ბარათის** გადახდის დღის შემდგომ პერიოდზეც, იმ შემთხვევაში თუ გადახდის დღეს მის (**კლიენტის**) ანგარიშებზე არ ირიცხებოდა **ბანკის** წინაშე არსებული დავალიანების დასაფარად აუცილებელი ხელმისაწვდომი ნაშთი.
18.2. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** ან/და მისი (**კლიენტის**) თავდები პირის მიერ **ბანკში** გახსნილ ანგარიშებზე განხორციელებული ნებისმიერი ჩარიცხვიდან პირველ რიგში დაფაროს **ბანკის** მიმართ არსებული დავალიანება.
18.3. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** დაარღვევს წინამდებარე **ხელშეკრულების** პირობებს და მას **ბანკში** ამავდროულად გააჩნია ნებისმიერი სახის უზრუნველყოფილი სესხი, **ბანკი** უფლებამოსილია **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე რიცხული დავალიანების თანხა დაფაროს უზრუნველყოფილი სესხის თანხიდან. **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს, რასაც **ბანკი** მიიჩნევს საჭიროდ წინამდებარე პუნქტში აღწერილი ქმედების წარმატებით შესასრულებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში წინამდებარე პუნქტი და **პირობების** სხვა შესაბამისი პუნქტები მიჩნეულ იქნება როგორც ცვლილება შესაბამის სესხის ხელშეკურლება(ებ)ში და **ბანკი** უფლებამოსილი იქნება **საკრედიტო ბარათის** დავალიანება სრულად გადაფაროს უზრუნველყოფილი სესხის მეშვეობით.

## 19. დამატებითი ბარათები

19.1. იმ შემთხვევაში, თუ **ბანკის** მიერ ნებადართულია დამატებითი ბარათ(ებ)ის დამზადება, **კლიენტი** უფლებამოსილია მოსთხოვოს **ბანკს** მესამე პირისათვის დამატებითი ბარათ(ებ)ის დამზადება და გადაცემა, რისთვისაც ის ანიჭებს **ბანკს** სრულ უფლებამოსილებას დაამზადოს დამატებითი ბარათ(ებ)ი და გადასცეს **კლიენტის** მიერ მითითებულ პირ(ებ)ს.
19.2. დამატებითი ბარათის საშუალებით მესამე პირს მიეცემა უფლება ისარგებლოს **კლიენტის საკრედიტო ლიმიტით** და ამ ბარათ(ებ)ზე სრულად ვრცელდება **საკრედიტო ბარათით** მომსახურების წინამდებარე **პირობები** და **ხელშეკრულება.**
19.3. **კლიენტი** ვალდებულია სრულად გააცნოს დამატებითი ბარათის მფლობელს წინამდებარე **პირობები**.
19.4. დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე და თანხების დაბრუნებაზე პასუხს აგებს **კლიენტი**.
19.5. დამატებითი ბარათის მეშვეობით წარმოებული საბანკო ოპერაციების შედეგად თანხების ბრუნვა აისახება **კლიენტის საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე. **კლიენტის** მიერ მოთხოვნილი დამატებითი ბარათების რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს 3 (სამი) ბარათს თითოეული **საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე.
19.6. **ბანკი** უფლებამოსილია ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი უთხრას **კლიენტს** დამატებითი ბარათ(ებ)ის დამზადებასა და ნებისმიერი მესამე პირისათვის გადაცემაზე, რაზედაც **კლიენტი** აცხადებს უპირობო თანხმობას.

## 20. ავტორიზაცია

20.1. **ბანკი** უფლებამოსილია **საკრედიტო ბარათის** მეშვეობით გადახდის დასრულებამდე მოითხოვოს თავის მხრივ საბანკო ოპერაციის წინასწარი **ავტორიზაცია.**
20.2. **ბანკი** უფლებამოსილია უარი განაცხადოს ნებისმიერი საბანკო ოპერაციის **ავტორიზაციაზე,** მიუხედავად იმისა აქვს თუ არა **კლიენტს საკრედიტო ლიმიტის** ფარგლებში ტრანზაქციის განხორციელებისათვის საჭირო თანხა ან/და იმყოფება ვადაგადაცილებაში. აღნიშნული შეზღუდვის გარეშე შესაძლოა განხორციელდეს ტექნიკური სირთულეების, თანხის დატაცების თავიდან აცილების ან ნებისმიერი სხვა მსგავსი მიზეზის გამო. **კლიენტი** თანახმაა ასეთ შეზღუდვაზე და პრეტენზიას არ გამოთქვამს **ბანკის** მიერ ტრანზაქციის განხორციელებაზე უარის თქმის შემთხვევაში.

## 21. შეღავათიანი პირობები და წამახალისებელი აქციები

21.1. **ბანკი** უფლებამოსილია, რომ **საკრედიტო ბარათის** პროდუქტთან მიმართებაში **კლიენტისათვის** ყოველგვარი შეტყობინების გარეშე გამოიყენოს წამახალისებელი აქციები, **საკრედიტო ბარათის** პირობებზე თუ ტარიფებზე **კლიენტისათვის** დროებითი თუ მუდმივი ხასიათის შეღავათიანი პირობების დაწესებით. **კლიენტის** მიერ ასეთი წამახალისებელი აქციების დროს **საკრედიტო ბარათით** სარგებლობა გულისხმობს მის თანხმობას ასეთი აქციების პირობებზე.
21.2. **კლიენტი** ინფორმირებულია და ეთანხმება **ბანკის** უფლებამოსილებას გამოიყენოს (მათ შორის გაასაჯაროოს) **კლიენტის** ფოტოსურათი და სხვა **პერსონალური მონაცემები** თავისი მარკეტინგული კამპანიების მიზნებისათვის (რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ნებისმიერი სახის სარეკლამო კამპანიას, წამახალისებელ/პრომო აქციებს და ა.შ.), მანამ სანამ **ბანკი კლიენტისგან** არ მიიღებს სხვაგვარ მითითებას.

## 22. შეტყობინების ვალდებულება

22.1. **ბანკი** უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი პერიოდულობით **განაცხადში** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და **საკრედიტო ბარათით** მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან **ბანკის** მიერ დადგენილი სხვა საშუალებით აცნობოს **კლიენტს საკრედიტო ბარათის** ანგარიშზე არსებული დავალიანების შესახებ. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტის** მიერ შეტყობინების მიღებაზე და ასეთი შეტყობინების მიუღებლობა არ ათავისუფლებს **კლიენტს** ათვისებული **საკრედიტო ლიმიტის** და ნებისმიერი სხვა გადასახდელის გადახდის ვალდებულებისგან. **კლიენტი** ვალდებულია **მინიმალური გადასახდელი** თანხის შესახებ ნებისმიერი მიზეზით **ბანკისგან** შეტყობინების მიუღებლობის შემთხვევაში, თავად დაუკავშირდეს **ბანკს** და მოითხოვოს ინფორმაცია თავისი მიმდინარე და **სრული დავალიანების** ოდენობისა და ვადების შესახებ.
22.2. **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს საკრედიტო ბარათის განაცხადში** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და **საკრედიტო ბარათით** მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში მითითებულ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილებების შესახებ.

## 23. კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემები

23.1. *მონაცემების დამუშავება*. **კლიენტისათვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ბანკის** მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც **ბანკი** წინამდებარე **პირობების** 23.10 პუნქტში მოცემული მიზნებით უფლებამოსილია განახორციელოს **კლიენტის** შესახებ არსებული **კონფიდენციალური ინფორმაციის** (მათ შორის პერსონალური მონაცემების) დამუშავება.
23.2. **ბანკის** მიერ მონაცემთა დამუშავება, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, მათ შორის უშუალოდ **კლიენტისაგან**, საჯაროდ ხელმისაწვდომი წყარო(ები)დან ან შესაბამისი მესამე პირ(ებ)ისაგან მონაცემთა მოპოვებას, შეგროვებას, ჩაწერას, ფოტოზე აღბეჭდვას, აუდიოჩაწერას, ვიდეოჩაწერას, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, გამოყენებას ან გამჟღავნებას (მათ შორის ინფორმაციის გამოთხოვას ან/და გამჟღავნებას წინამდებარე **პირობებში** მოცემული მესამე პირ(ებ)ისთვის, რომლებიც შემდგომში განახორციელებენ მონაცემთა დამუშავებას წინამდებარე პირობებით განსაზღვრული მიზნით) მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფებას ან კომბინაციას, დაბლოკვას, წაშლას ან განადგურებას.
23.3. **ბანკის** ან/და მესამე პირების მიერ (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, **ბანკის** დაკვეთით უფლებამოსილი პირების მიერ) ხორციელდება **კლიენტის** ან მის მიერ დასახელებული მესამე პირ(ებ)ის შესახებ არსებული ინფორმაციის დამუშავება ან/და მესამე პირებისათვის ამ ინფორმაციის გადაცემა კონკრეტული მიზნებისათვის. შესაბამისი კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე, აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგი **პერსონალური მონაცემების** დამუშავებით:
(ა) სახელი და გვარი;
(ბ) დაბადების ადგილი და თარიღი;
(გ) პირადი ნომერი ან/და მისი ელექტრონული პირადობის მოწმობის უნიკალური მახასიათებლები, ფოტოსურათი/ვიზუალური გამოსახულება;
(დ) მოქალაქეობა
(ე) სქესი
(ვ) რეგისტრირებული ან/და ფაქტიური საცხოვრებელი მისამართი;
(ზ) ტელეფონის/მობილურის ნომერი;
(თ) ელექტრონული ფოსტის მისამართი;
(ი) ინფორმაცია შემოსავლ(ებ)ის შესახებ და საკრედიტო ისტორია (როგორც ნეგატიური ასევე პოზიტიური, მათ შორის მიმდინარე ან/და წარსულში არსებული დავალიანების, სესხებისა და მათი დაფარვის დეტალები) და გადახდისუნარიანობის სტატუსი (**კლიენტის** გადახდისუნარიანობის შეფასების ქულა, მისი კრიტერიუმები ან/და მეთოდოლოგია);
(კ) **კლიენტის** საკუთრებაში ან/და მფლობელობაში არსებული უძრავი და მოძრავი ნივთები და მათი მახასიათებლები, ასევე სხვა აქტივები;
(ლ) დამსაქმებლის მონაცემები, აგრეთვე ინფორმაცია დასაქმების პირობების შესახებ (დასაქმების ადგილი, ხელფასი, სამუშაო გრაფიკი და სხვა);

(მ) **ბანკში** და საქართველოში მოქმედ სხვა კომერციულ ბანკებში ანგარიშ(ებ)ის შესახებ ნებისმიერი მონაცემები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ამ ანგარიშებზე კონკრეტული დროისა და თარიღისათვის არსებული ნაშთები, და კონკრეტულ პერიოდში ამ ანგარიშებზე განხორციელებული ტრანზაქციები;
(ნ) **ბანკის** ან/და საქართველოში მოქმედი სხვა კომერციული ბანკების მიერ ემიტირებული ბარათების და შესაბამისი საბარათე ანგარიშების ნებისმიერი მონაცემები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ამ ბარათებზე კონკრეტული დროისა და თარიღისთვის არსებული ნაშთები და კონკრეტულ პერიოდში ამ ბარათებზე განხორციელებული ტრანზაქციები, ასევე მათი წვდომის კოდები;
(ო) სხვადასხვა საგადახდო პროვაიდერებთან დაფიქსირებული **კლიენტის** ანგარიშის/აბონენტის მონაცემები (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ანგარიშის/აბონენტის ნომერი, მისამართი, სააბონენტო ანგარიშზე კონკრეტული დროისა და თარიღისათვის არსებული ნაშთი ან/და დავალიანება, სააბონენტო ანგარიშზე განხორცილებული ტრანზაქციები ან/და ბალანსის შევსება ან/და დავალიანების დაფარვა, და სხვა),
(პ) სხვადასხვა ელექტრონულ არხებში ან/და ინტერნეტ სივრცეში გამჟღავნებული ნებისმიერი მონაცემი (მათ შორის და არამარტო მზა ჩანაწერები ე.წ. cookies და სხვა) და **კლიენტისა** ან/და მას მიერ მითითებული მესამე პირ(ებ)ის აქტივობა აღნიშნულ არხებში (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ასეთ არხ(ებ)ში დალოგინებისა და ჩატარებული ქმედებებისა თუ ტრანზაქციების ისტორია);
(ჟ) ინფორმაცია ოჯახის წევრების, ნათესავების ან მისამართზე მცხოვრები სხვა პირების შესახებ;
(რ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში არსებული ადმინისტრაციულ სახდელდადებული ფიზიკური და იურიდიული პირებისა ან/და შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულებების (ადმინისტრაციული სახდელების ან/და დაკისრებული ჯარიმებისა და დარიცხული საურავების) შესახებ მონაცემები **კლიენტის** თაობაზე;
(ს) საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან მოპოვებული ნებისმიერი ინფორმაცია;
(ტ) ნებისმიერი სხვა მონაცემი, რომელიც უკავშირდება **კლიენტს** და რის შედეგადაც შესაძლებელია **კლიენტის** იდენტიფიცირება ან/და დახასიათება ან/და სხვა კლიენტებთან მისი დაჯგუფება პირის ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებითა თუ ზემოთ მოყვანილ ქვე-პუნქტებში ჩამოთვლილი ან ნაგულისხმები ტრანზაქციული აქტივობით.

23.4. თუ **კლიენტი,** მომსახურების მიღების მიზნით, **ბანკს** აწვდის მესამე პირების (დამატებითი ბარათის მფლობელი, თავდები პირი, ოჯახის წევრები, დამსაქმებელი და სხვა) შესახებ ინფორმაციას, მათ შორის და არამარტო ინფორმაციას **პერსონალური მონაცემების,** გადახდისუნარიანობის, ქონებრივი მდგომარეობის შესახებ და სხვა, ხოლო **ბანკი** ახორციელებს აღნიშნული ინფორმაციის, მათ შორის **პერსონალური მონაცემების,** დამუშავებას საბანკო მომსახურების შესრულებისთვის ან/და მარკეტინგული მიზნით, **კლიენტი** თავად არის ვალდებული მოპოვებული ჰქონდეს აღნიშნულ პირთა თანხმობა, მათი **პერსონალური მონაცემების ბანკის** მიერ დამუშავებაზე. **კლიენტის** მიერ ამგვარი ინფორმაციის **ბანკისთვის** (ან მისი უფლებამოსილი პირისთვის) მიწოდების ფაქტი გულისხმობს **კლიენტის** მიერ ამ პიროვნებისგან თანხმობის მოპოვებას და აღარ საჭიროებს **ბანკის** მიერ ასეთი დასტურის მოპოვებას. **კლიენტი** თავად არის პასუხისმგებელი ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა მიადგენს **ბანკს კლიენტის** მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. **კლიენტი** თანახმაა აუნაზღაუროს და დაიცვას **ბანკი** ნებისმიერი ზარალისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც **ბანკი** გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას.

23.5. **ბანკის** მიერ ელექტრონულ არხებში (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ვებ-ბრაუზერი, **ბანკის** ვებ-გვერდი, **ინტერნეტ ბანკი**, მობილ ბანკი, **ბანკის** მობილური აპლიკაციები, **LB PAY აპარატები, ბანკომატები** ან/და სხვა მონაცემთა გადაცემის ტექნიკური საშუალებები) **კლიენტის** შესახებ მონაცემების დამუშავება, ასევე მოიცავს **კლიენტის** აქტივობის ჩაწერას (მაგ. ელექტრონულ არხით სარგებლობისას **კლიენტის** ადგილსამყოფელის იდენტიფიცირება, ძიების ველში დაფიქსირებული მონაცემების აღწერა და ანალიზი, პროდუქციის არჩევანის სიხშირის ან/და სხვა ნებისმიერ სტატისტიკურ მონაცემის ჩაწერა და მისი ანალიზი) ან/და **კლიენტის** მიერ დაფიქსირებული სხვა მონაცემების (მაგ. **კლიენტის** ან/და მესამე პირთა საკონტაქტო მონაცემები) გამოყენებას.

23.6. **ბანკი** უფლებამოსილია საბანკო მომსახურების გაწევისა და სერვისების ოპტიმიზაციის მიზნით, სწრაფი გადახდის ტერმინალის (**LB Pay აპარატის**) ან/და დისტანციური მომსახურების სხვა არხ(ებ)ის საშუალებით, **კლიენტის** პირადი ნომრით ან/და **ბანკის** მიერ დადგენილი სხვა მეთოდით იდენტიფიკაციის შემთხვევაში, **კლიენტისათვის** ხელმისაწვდომი გახადოს შეზღუდული ინფორმაცია მის (**კლიენტის**) საბანკო პროდუქტებზე, სესხ(ებ)ის მიმდინარე (ყოველთვიურ) დავალიანებაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მთლიანი სასესხო დავალიანების ჩვენების გარეშე, ასევე **ანგარიშ(ებ)ის/პლასტიკური ბარათ(ებ)ის** შესახებ ინფორმაცია, **ანგარიშ(ებ)ის/პლასტიკური ბარათების მონაცემების** არასრული ინფორმაციის ჩვენებით;

23.7. **ბანკი** პასუხს არ აგებს მესამე პირ(ებ)ის მიერ სწრაფი გადახდის ტერმინალის (**LB Pay აპარატის**)/**ბანკომატ(ებ)ის** ან/და **დისტანციური მომსახურების** სხვა **არხ(ებ)ის** მეშვეობით, **კლიენტის** იდენტიფიცირებისთვის აუცილებელი ინფორმაციის (პირადი ნომერი ან/და დაბადების თარიღი) სწრაფი გადახდის ტერმინალში (**LB Pay აპარატში**)/**ბანკომატში** შეყვანით, **კლიენტის** შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე.

23.8. *<u>მონაცემთა დამუშავების საფუძველი.</u>* **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ **ბანკის** მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც, **ბანკის** მიერ **კლიენტის** ან მის მიერ დასახელებული მესამე პირ(ებ)ის მონაცემების (მათ შორის **პერსონალური მონაცემების)** დამუშავება ხორციელდება სულ მცირე ერთ-ერთი შემდეგი საფუძვლით:

23.8.2. **კლიენტის** თანხმობით მის შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებასთან დაკავშირებით;

23.8.3. **კლიენტის** განცხადების განსახილველად ან/და მისთვის მომსახურების გასაწევად;

23.8.4. **ბანკის** ან/და მესამე პირ(ებ)ის კანონიერი ინტერესების დასაცავად;

23.8.5. **ბანკის** მიერ მასზე კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

23.8.6. საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ამოცანების შესასრულებლად, მათ შორის, დანაშაულის თავიდან აცილების, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისათვის;

23.8.7. კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საფუძვლებით.

23.9. თუ მონაცემთა დამუშავებისთვის, კანონმდებლობა ითხოვს **კლიენტის** თანხმობის არსებობას, აღნიშნულ თანხმობად ჩაითვლება ნებისმიერი ელექტრონული ან/და არაელექტრონული ფორმით გაკეთებული **კლიენტის** განაცხადი, რომლითაც **კლიენტი** ეთანხმება წინამდებარე პირობებს და რომელიც ამ განაცხადთან ერთად წარმოადგენს ერთიან ხელშეკრულებას.

23.10. *<u>მონაცემების დამუშავების მიზანი.</u>* **ბანკის** ან/და წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი მესამე პირ(ებ)ის მიერ **კლიენტის** ან მის მიერ მითითებული მესამე პირების **პერსონალური მონაცემების** დამუშავება შესაძლებელია განხორციელდეს სხვა და სხვა მიზნით, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე:

23.10.1. საბანკო მომსახურების სრულად და ჯეროვნად განხორციელებისთვის;

23.10.2. პროდუქტების და სერვისის მისაწოდებლად, მათ შორის დისტანციური საბანკო/საგადახდო მომსახურების არხების/საგადახდო ინსტრუმენტების საშუალებებით (სწრაფი გადახდის აპარატი, ბანკომატი და ა.შ.) **კლიენტისათვის** შესაბამისი მომსახურების გაწევისთვის/შეთავაზებების უზრუნველსაყოფად;

23.10.3. **კლიენტის** სათანადო წესით იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციისათვის;

23.10.4. **კლიენტის** გადამხდელუნარიანობის გადამოწმებისთვის და მონაცემთა პერიოდული განახლების უზრუნველსაყოფად;

23.10.5. **კლინტის** გადახდისუნარიანობის შემოწმებისთვის, მათ შორის საკრედიტო რისკების შეფასების მიზნით;

23.10.6. **კლიენტთან** კომუნიკაციის ეფექტურად წარმართვისათვის, მათ შორის, მის განცხადებებზე, მიმართვებსა თუ პრეტენზიებზე სათანადო და დროული რეაგირების უზრუნველსაყოფად.

23.10.7. **კლიენტის** საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ან სხვა მსგავსი საკრედიტო-სარეიტინგო კომპანიის მონაცემთა ბაზაში აღრიცხვის და საკრედიტო სარეიტინგო ქულის გამოთვლის მიზნით, რომელიც დაკავშირებულია გადაუხდელი სესხებისა და სხვა შეუსრულებელი/ვადაგადაცილებული ფულადი ვალდებულებების სტატუსთან და ასევე ინფორმაციის შეგროვებასთან, დამუშავებასა და გავრცელებასთან ფიზიკური და იურიდიული პირების მიმდინარე და გადახდილი კრედიტების/ვალდებულებების შესახებ.

23.10.8. **კლიენტის** მიერ **eMoney ელექტრონული საფულით** სარგებლობისთვის (ასეთის არსებობისას), რომელიც წარმოადგენს **ბანკის** და **eMoney**-ს ერთობლივ მომსახურებას, რომლის გამოყენებითაც ბანკისა და **eMoney**-ს **კლიენტს,** მოთხოვნის შემთხვევაში, ეძლევა საშუალება იქონიოს **eMoney ელექტრონული საფულე** კონკრეტული მომენტისთვის შესაძლო ვალუტაში(ებში), საიდანაც უფლებამოსილია აწარმოოს ანგარიშსწორება ან/და გადახდები, მიიღოს თანხები ელექტრონულ საფულეზე ან/და განახორციელოს კანონით ან/და შესაბამისი პირობებით გათვალისწინებული და ნებადართული სხვა მოქმედებები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, გამოიყენოს მისი **eMoney** საფულის ანგარიში (ან/და მობილური ნომერი ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართი და პაროლი) ავტორიზაციისთვის ისეთ ვებ გვერდებზე, სადაც **eMoney**-თ ავტორიზაცია დაშვებულია.

23.10.9. **ბანკის** ან/და მესამე პირის კანონიერი ინტერესის დაცვის მიზნით, შესაბამისი სახელშეკრულებო პირობებით განსაზღვრულ ან/და **კანონმდებლობით** დადგენილ შემთხვევებში, ინფორმაციის, მათ შორის **კლიენტის** პერსონალური მონაცემების, სადაზღვევო კომპანიების, აუდიტორული კომპანიების, პოტენციური ცესიონერის ან ცედენტის, ასევე მარეგულირებლის, მაკონტროლებლის ან სხვა ზედამხედველი ორგანოსათვის ხელმისაწვდომობისთვის;

23.10.10. **ბანკის** კანონიერი ინტერესის დაცვისა და სამართლებრივი უფლებების რეალიზაციის მიზნით, მათ შორის **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის დროულად ან/და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში;

23.10.11. **ბანკის** მომსახურების გასაუმჯობესებლად და განვითარებისთვის, რა დროსაც **ბანკი** ახორციელებს **კლიენტის** შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ

შორის საკრედიტო ისტორიის ანალიზს, სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და სხვა;

23.10.12. სხვადასხვა ანგარიშების, კვლევების ან/და პრეზენტაციების მოსამზადებლად და სადემონსტრაციოდ;

23.10.13. თაღლითობის ან/და შესაძლო თაღლითობის, ფულის გათეთრების და სხვა დანაშაულის პრევენციისათვის, გამოვლენისთვის, მოკვლევისთვის, ასევე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ხელშესაწყობად;

23.10.14. არსებული კრედიტის ფარგლებში, კრედიტის თანხის ოდენობის გაზრდის, ან/და კრედიტის სხვა პირობების (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, მისი ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთის) ცვლილების შეთავაზებისთვის, რის აუცილებელ წინაპირობასაც შეთავაზების მომენტისთვის **კლიენტის** საკრედიტო ისტორიის/გადახდისუნარიანობის/შემოსავლების გადამოწმება წამოადგენს;

23.10.15. ახალი ან/და დამატებითი საკრედიტო ან არასაკრედიტო **პროდუქტების** შეთავაზების მიზნით, რის აუცილებელ წინაპირობასაც შეთავაზების მომენტისთვის **კლიენტის** საკრედიტო ისტორიის/გადახდისუნარიანობის/შემოსავლების გადამოწმება წარმოადგენს;

23.10.16. მარკეტინგული აქტივობების წარმართვის მიზნით, რაც გულისხმობს, როგორც ბანკის, ასევე წინამდებარე მესამე პირების მიერ სხვადასხვა **პროდუქტების**/მომსახურების პერიოდულ შეთავაზებას;

23.10.17. სხვა კანონიერი მიზნებისთვის ან/და კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად;

23.11. ***<u>ინფორმაციის მესამე პირებისთვის გადაცემა/მესამე პირ(ებ)ისაგან ინფორმაციის გამოთხოვა.</u>***

23.11.1. **ბანკი** მკაცრად იცავს **კლიენტის** და მის მიერ დასახელებული მესამე პირების (ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელი, თავდები და სხვა) შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის პერსონალური მონაცემების, კონფიდენციალურობას, ამასთან, **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, რომ **ბანკი,** უფლებამოსილია მონაცემთა დამუშავების ფარგლებში მესამე პირ(ებ)ისთვის (კონკრეტული საჭიროების შესაბამისად) განახორციელოს მონაცემთა გადაცემა ან/და თავად ასეთი პირ(ებ)ისაგან **კლიენტის** ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირების შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაციის, მათ შორის პერსონალური მონაცემების გამოთხოვა იმ მოცულობით რაც აუცილებელია წინამდებარე პირობებით ან/და კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნებისათვის.

23.11.2. **ბანკი** უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით, საბანკო მომსახურების გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან მიიღოს ბანკისთვის აუცილებელი, **კლიენტის** პერსონალური მონაცემები.

23.11.3. **ბანკი** უფლებამოსილია გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის, კანონმდებლობით დადგენილი წესით და პირობებით, დაამუშაოს ბანკში დაცული ან/და საკრედიტო საინფორმაციო ბიუროებში (შემდგომში - **ბიურო**) არსებული ინფორმაცია კლიენტის შესახებ. ამასთან **კლიენტისათვის** ცნობილია, რომ **ბანკი** კანონმდებლობით განსაზღვრული და ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეაგროვებს/დაამუშავებს **კლიენტის** შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება **კლიენტის** გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები). ასევე **კლიენტს** გაცნობიერებული აქვს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომ **კლიენტის** (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტის) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

23.11.4. ბიუროსათვის გადასაცემი და ბიუროდან მისაღები ინფორმაცია განისაზღვრება კანონმდებლობით და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, შეიძლება მოიცავდეს: **კლიენტის** საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ხელშეკრულებისა და კრედიტის მონაცემებს, ინფორმაციას **კლიენტის** მიმდინარე, შესრულებული/შეუსრულებელი ვალდებულებების მოცულობის და ვადების შესახებ, ინფორმაციას უზრუნველყოფის საშუალებების თაობაზე, თავდებობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, სხვა ინფორმაციას, რომელიც განსაზღვრულია კანონმდებლობით ან/და **ბანკსა** და **ბიუროს** შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

23.11.5. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, რომ **ბანკი, კლიენტის** გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის, უფლებამოსილია სს საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს (ს/ნ 204470740) მეშვეობით მრავალჯერადად მიიღოს და დაამუშაოს **კლიენტის** შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში არსებული ადმინისტრაციულ სახდელდადებული ფიზიკური და იურიდიული პირებისა ან/და შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულებების (ადმინისტრაციული სახდელების ან/და დაკისრებული ჯარიმებისა და დარიცხული საურავების) შესახებ მონაცემები, მათ შორის ბანკის მიმართ აქტიური საკრედიტო/სასესხო, გარესაბალანსო (აკრედიტივი, გარანტია და სხვა) ვალდებულებების მოქმედების პერიოდში;

23.11.6. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, **ბანკმა** სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან ერთჯერადად გამოითხოვოს და დაამუშავოს სსიპ - შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში კლიენტის შესახებ დაცული ნებისმიერი ინფორმაცია პირის გადამხდელუნარიანობის ანალიზის, მათ შორის, **კლიენტისთვის** შემდგომში საბანკო პროდუქტის ან მომსახურეობის შეთავაზების მიზნით; ამასთან, **კლიენტი** თანხმობას აცხადებს ბანკმა მიმართოს სსიპ - შემოსავლების სამსახურს შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ერთიან ელექტრონულ ბაზაში კლიენტის რეგისტრაციის მოთხოვნით და სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ **კლიენტის** იდენტიფიკაციისა და კომუნიკაციის ელექტრონულ ფორმატზე გადაყვანის მიზნით, დაამუშავოს და მიაწოდოს **კლიენტის** პერსონალური მონაცემები;

23.11.7. გარდა ზემოაღნიშნულისა, **კლიენტი ბანკს** ანიჭებს უფლებას, **კლიენტის** დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე, საჭიროების შემთხვევაში წინამდებარე პირობებით ან/და კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნებისათვის, ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის ორგანიზაციებისგან მოიპოვოს ან/და მათ გადასცეს **კლიენტის** ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირების შესახებ ინფორმაცია (მათ შორის და არამარტო პერსონალური მონაცემები, ანგარიშებზე ნაშთები ან/და დავალიანება, ტრანზაქციების შესახებ ინფორმაცია და სხვა):

(ა) **ბანკის** პარტნიორი კომპანიები, რომელთან ერთადაც **ბანკი** კომერციული კუთხით თანამშრომლობს, ასევე სხვადასხვა მომსახურების/სერვის(ებ)ის მიმწოდებელი საერთაშორისო ან/და ადგილობრივი კომპანიები, რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები **ბანკის** მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

(ბ) **ბანკის** კონტრაქტორები ან/და კორპორატიული კლიენტები, რომლებიც იყენებენ **ბანკის** საგადახდო მომსახურებას საკუთარი კლიენტების (აბონენტების) გადასახდელების მისაღებად (ე.წ. ბილინგი);

(გ) საგადახდო მომსახურების პროვაიდერ(ებ)ი და სხვა ის მესამე პირები, რომლებიც **ბანკის** მიერ კლიენტისათვის დისტანციური საბანკო/საგადახდო მომსახურების არხების/საგადახდო ინსტრუმენტების საშუალებებით (სწრაფი გადახდის აპარატი, ბანკომატი და ა.შ.) საბანკო/საგადახდო მომსახურების მიწოდებისთვის/გაწევისთვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახორციელებენ პირთა იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციას და რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ შესაბამისი ორგანიზაციულტექნიკური ზომები ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

(დ) საჯარო დაწესებულებები, როგორიცაა საზედამხედველო, დამოუკიდებელი, სასამართლო, საგამოძიებო და სხვა დაწესებულებები, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და მათ მიერ შექმნილი იურიდიული პირები;

(ე) სხვა ორგანიზაციები, რომელთათვისაც მონაცემთა გაზიარება ემსახურება ანგარიშგებასთან, კანონის ან/და შესაბამის ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასთან, აუდიტის/მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული **ბანკის** მოვალეობების შესრულებას;

(ვ) საკრედიტო საინფორმაციო სააგენტოები, რომლებიც ახორციელებენ საკრედიტო ინფორმაციის შეგროვებას და ინდენტიფიცირებისათვის, ასევე საკრედიტო მონაცემთა შემოწმებისთვის აუცილებელი ინფორმაციის გაზიარებას;

(ზ) პრობლემური აქტივების მართვის კომპანიები ან/და კოლექტორული ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ პრობლემური მოთხოვნებიდან გამომდინარე გადახდების შესრულებას ან/და აღნიშნული პრობლემური მოთხოვნების შეძენას (ცესია);

(თ) საერთაშორისო და ადგილობრივი საგადახდო მომსახურების ოპერატორები, მათ შორის საერთაშორისო და ადგილობრივი ფულადი გზავნილების ოპერატორები;

(ი) პროფესიონალი კონსულტანტები, როგორიცაა ფინანსური და იურიდიული მრჩევლები, აუდიტორული კომპანიები, რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

(კ) სადაზღვევო და საფოსტო კომპანიები, რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები **ბანკის** მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

(ლ) დაკავშირებული მესამე პირები - **ბანკმა** შესაძლოა გააზიაროს **კლიენტის** პერსონალური მონაცემები **ბანკის** შიგნით, შვილობილ კომპანიებთან,

აფილირებულ პირებთან და სხვა პარტნიორებთან იმ მოცულობით, რაც შეესაბამება დაკისრებული ამოცანის ტიპსა და ფარგლებს;

(მ) მესამე პირები, რომლებსაც შესაძლებელია **ბანკმა** მიყიდოს, გადასცეს ან გააერთიანოს ბიზნესის ან აქტივების ნაწილი. იმ შემთხვევაში, თუ **ბანკის** ბიზნეს საქმიანობა შეიცვლება, ახალმა მფლობელებმა შესაძლოა გამოიყენონ **კლიენტის** შესახებ ინფორმაცია, მათ შორის პერსონალური მონაცემები იმავე სახით, როგორც ეს მითითებულია წინამდებარე პირობებში.

23.12. იმ შემთხვევაში თუ **ბანკი** განახორციელებს მონაცემების მესამე პირებისთვის გადაცემას, მათ შორის ინფორმაციის სხვა ქვეყნის რეზიდენტი პირ(ებ)ისთვის გადაცემას, აღნიშნული ქმედების შესრულებისას მიღებული იქნება უსაფრთხოების ყველა ის გონივრული ზომა, რაც შესაბამისობაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან.

23.13. **კლიენტისთვის** ცნობილია და ეთანხმება, რომ წინამდებარე პირობებში მოცემული ჩამონათვალი არ არის სრული, ამომწურავი და დროდადრო მესამე პირების კატეგორიები შესაძლოა შეიცვალოს, თუმცა მიუხედავად ამისა, მონაცემების დამუშავების კუთხით **ბანკის** ქმედებები შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

23.14. ***პირდაპირი მარკეტინგი.*** **კლიენტი** ანიჭებს **ბანკს** უფლებამოსილებას, დაამუშაოს **კლიენტის** პერსონალური მონაცემები და **ბანკში** დაფიქსირებულ **კლიენტის** ტელეფონის ნომერზე/ნომრებზე, ელექტრონული ფოსტის ან სხვა საკონტაქტო მისამართ(ებ)ზე, **ბანკის** მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, განხორციელდეს კომუნიკაცია, მათ შორის მოკლე ტექსტური, ხმოვანი ან/და სხვა სახის სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნის გზით (პირდაპირი მარკეტინგი).

23.15. **კლიენტი** ანიჭებს **ბანკს** უფლებამოსილებას, სხვადასხვა მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელების მიზნით, **ბანკმა** გადასცეს ან/და გაუმჟღავნოს **ბანკის** ხელთ არსებული **კლიენტის** პერსონალური მონაცემები ან სხვა კონფიდენციალური ინფორმაცია **ბანკის** დაკავშირებულ/უფლებამოსილ პირ(ებ)ს, რომელიც თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან **ბანკის** მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა და უსაფრთხოება. **კლიენტი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ბანკს ან/და დაკავშირებულ/უფლებამოსილ პირ(ებ)ს პირდაპირი მარკეტინგის შეწყვეტა, მხარეთა შორის შეთანხმებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით.

23.16. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, პირდაპირ მარკეტინგად არ მიიჩნევა და **კლიენტი** არ იქნება უფლებამოსილი **ბანკს** მოსთხოვოს სხვადასხვა სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტა, თუ აღნიშნული სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებები **კლიენტს** მიეწოდება უშუალოდ **ბანკის** მომსახურების წერტილებში (მაგ. სარეკლამო ბანერი, ფლაერი, ზეპირი შეთავაზება და სხვა) ან **ბანკის** კუთვნილ (ბანკთან ასოცირებულ) ელექტრონულ არხებში (მათ შორის ბანკომატი, **ინტერნეტ ბანკი**, მობილ ბანკი და სხვა).

23.17. **კლიენტისათვის** ცნობილია, რომ პირდაპირი მარკეტინგის ფარგლებში შეთავაზებების განხორციელების შეწყვეტის მოთხოვნის საფუძველზე შეწყდება მხოლოდ სარეკლამო ხასიათის კომუნიკაციები. **კლიენტთან** დაკავშირება მის შესახებ **ბანკში** დაცული საკონტაქტო მონაცემების გამოყენებით გაგრძელდება **ბანკსა** და **კლიენტს** შორის ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილ ვალდებულებებთან დაკავშირებით (მათ შორის, კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კრედიტის ვადაგადაცილებისა და სხვა ნებისმიერი ტიპის დავალიანების თაობაზე **კლიენტის** ინფორმირების მიზნით), ასევე **კლიენტის** განცხადებებსა თუ მოთხოვნებზე.

23.18. ***ვიდეოთვალთვალი და აუდიო ჩაწერა.*** უსაფრთხოების, საკუთრებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად და დისტანციური მომსახურების გაწევის მიზნებისათვის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, **ბანკში** მიმდინარეობს შენობ(ებ)ის გარე პერიმეტრისა და შესასვლელ(ებ)ის, სამუშაო ადგილ(ებ)ის მონიტორინგი ვიდეოთვალთვალისა და აუდიოჩამწერი სისტემ(ებ)ის მეშვეობით, ასევე ვიდეოთვალთვალი ხორციელდება ბანკომატის ან სხვა ელექტრონული მოწყობილობების საშუალებით, ხოლო აუდიოჩაწერა მიმდინარეობს **ბანკთან** სატელეფონო კომუნიკაციისას ან/და დისტანციური მომსახურების გაწევის მიზნებისთვის.

23.19. **ბანკის** მომსახურების წერტილებში, აგრეთვე **ბანკთან** კომუნიკაციისას ვიდეოთვალთვალისა და აუდიოჩაწერის მიმდინარეობის შესახებ **კლიენტი** ინფორმირებული იქნება შესაბამისი ფორმით. **კლიენტი,** აცნობიერებს რა ვიდეოთვალთვალის და აუდიოჩაწერის აუცილებლობას, თანხმობას გამოთქვამს აღნიშნული მონაცემების დამუშავებაზე.

23.20. ***საავტორო უფლებები.*** **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, რომ მის მიერ **ბანკის** ვებ-გვერდზე, ინტერნეტ ბანკში, მობილ ბანკში, მობილურ აპლიკაციებსა და სხვა ელექტრონულ არხებში განთავსებული **კლიენტის** მონაცემები (ბეჭდვითი, აუდიო ან/და ვიზუალური) თუ ის არ განეკუთვნება **კლიენტის პერსონალურ მონაცემებს** ჩაითვლება **ბანკის** საკუთრებად და **ბანკი** აღნიშნული მონაცემების განთავსებისთანავე სრულად მოიპოვებს მათზე საავტორო ქონებრივ უფლებებს.

23.21. ***მონაცემების განახლება, დამუშავების და შენახვის ვადა.*** თითოეული მხარე ვალდებულია, როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გაამჟღავნოს ან/და მესამე პირ(ებ)ს არ გადასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია.

23.22. **ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში, ასევე მისი შეწყვეტის შემდგომ, **ბანკის** მიერ წინამდებარე თავში აღნიშნული ინფორმაციის ამ თავით განსაზღვრული მიზნებით დამუშავება (მათ შორის მონაცემების სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის და წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი სხვა მესამე პირებისთვის, გადაცემა ან/და აღნიშნული მონაცემების მათგან მიღება) გაგრძელდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება **ბანკის** მიზნებს და ინტერესებს, მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

23.23. იმ მონაცემების დამუშავება, რომელიც **კლიენტის** მიერ **ბანკს** მიეწოდა ელექტრონული არხების (ვებ-ბრაუზერი, ბანკის ვებ-გვერდი, **ინტერნეტ ბანკი**, მობილ ბანკი, **ბანკის** მობილური აპლიკაციები ან/და სხვა მონაცემთა გადაცემის ტექნიკური საშუალებები) საშუალებით, არ წყდება **კლიენტის** მიერ ამ მონაცემების ელექტრონული არხებიდან წაშლის შემთხვევაში, აღნიშნული მონაცემების შენახვა ასევე მოხდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება **ბანკის** კანონიერ მიზნებს და ინტერესებს, მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

23.24. **კლიენტის** მოთხოვნის შემთხვევაში, **ბანკი** კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში, მიაწვდის **კლიენტს** მის **პერსონალურ მონაცემებთან** დაკავშირებით **ბანკში** არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე **ბანკი** უფლებამოსილია დააწესოს მომსახურების საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის უსასყიდლოდ მიწოდების ვალდებულება გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

23.25. თუ **კლიენტი** თვლის, რომ **კლიენტის** შესახებ **ბანკში** არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან არ არის სრული, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ.

23.26. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი მოსთხოვოს **ბანკს** მის შესახებ **ბანკში** დაცული პერსონალური მონაცემების წაშლა.

## 24. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

24.1. წინამდებარე **პირობები** რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

24.2. ნებისმიერი დავა, წინააღმდეგობა ან საჩივარი, რომელიც წარმოიშობა ან შეეხება ამ **პირობებს** ან ამ **პირობების** ნებისმიერ დარღვევას, მოგვარდება **მხარეებს** შორის მოლაპარაკების საფუძველზე.

24.3. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხაარეები** მიმართავენ სასამართლოს **ბანკის** იურიდიული მისამართის მიხედვით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ: (ა) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 250-ე მუხლის საფუძველზე, **კლიენტი** წინამდებარე **ხელშეკრულებაზე** ხელმოწერით აცხადებს თანხმობას და უარს ამბობს დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე; და (ბ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის $1^1$ ნაწილის საფუძველზე, დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

## 25. კომუნიკაცია

25.1. **ბანკის** მიერ **კლიენტთან** კომუნიკაცია ხორციელდება, როგორც წერილობითი ასევე ზეპირი ფორმით, ხოლო **კლიენტის** მიერ **ბანკთან** კომუნიკაცია მხოლოდ წერილობითი ფორმით.

25.2. წერილობითი ფორმით კომუნიკაციისას შეტყობინება უნდა მიეწოდოს **მხარეს ხელშეკრულებაში** ან/და **ბანკთან** არსებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ში, **განაცხადებში** მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე პირადად, კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის), ელექტრონული ფოსტის, ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლეტექსტური შეტყობინების), ინტერნეტბანკინგის, მობილ-ბანკის ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, იმის გათვალისწინებით, რომ:

25.2.1. **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** პირადად ან/და კურიერის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **ბანკის** კანცელარიაში შეტყობინების რეგისტრაციის დღეს, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნისას, **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** მიღების დამადასტურებელი საპასუხო ელექტრონული წერილის გაგზავნის დღეს;

25.2.2. **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის) საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **კლიენტისთვის** ჩაბარების დღეს, ხოლო აღნიშნული ჩაბარების დადასტურების არ არსებობის შემთხვევაში **კლიენტის** მისამართზე შეტყობინების ნებისმიერი პირისათვის ჩაბარებიდან მომდევნო კალენდარულ დღეს;

25.2.3. **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **კლიენტის** ელექტრონული

ფოსტის სერვერიდან მიღებული დასტურის (ადრესატის ელექტრონულ ფოსტაში რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების) გაცემის დღეს. ხოლო ასეთი დასტურის არ არსებობის შემთხვევაში მომდევნო კალენდარულ დღეს;

25.2.4. **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლეტექსტური შეტყობინების), ინტერნეტბანკინგის, მობილ-ბანკის ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნის დღეს, ხოლო **ბანკის** ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებისას - ინფორმაციის განთავსების დღეს.

25.3. თუ **კლიენტი ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის ხელშეკრულებაში არსებული ნებისმიერი რეკვიზიტის) ცვლილების შესახებ წინასწარ არ შეატყობინებს **ბანკს** ან/და უშუალოდ ან საკონტაქტო პირის საშუალებით უარს განაცხადებს **ხელშეკრულების** საფუძველზე გაგზავნილი შეტყობინების მიღებაზე ან გაგზავნილი შეტყობინება ვერ ჩაბარდება **კლიენტს** მისამართზე არ ყოფნის მიზეზით ზედიზედ ორჯერ, **ბანკის** მიერ განხორციელებული ნებისმიერი ასეთი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

25.4. იმ შემთხვევაში, თუ **ხელშეკრულებაში** არ არის მითითებული **კლიენტის** საკონტაქტო მონაცემ(ებ)ი ან შეტყობინება ზედიზედ მეორე მცდელობის შემდეგ ვერ ჩაბარდება ადრესატს, **ბანკი** უფლებამოსილი იქნება მოახდინოს **კლიენტის** ინფორმირება საჯარო პუბლიკაციის გზით (როგორც ბეჭდვითი ასევე ინტერნეტის საშუალებით ან სხვა ფორმით). აღნიშნული ქმედება არ ჩაითვლება პერსონალურ მონაცემთა დარღვევად და წინამდებარე **ხელშეკრულება** განიხილება როგორც **მსესხებლის** თანხმობა მისი მონაცემების ამ მიზნით და მოცულობით დამუშავების თაობაზე.

25.5. **მხარეთა** შორის კომუნიკაცია ხორციელდება ქართულ ენაზე, ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტთან** კომუნიკაცია განახორციელოს **კლიენტისთვის** მისაღებ სხვა ენაზეც.

25.6. **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **კლიენტთან** კომუნიკაცია სხვადასხვა მიზნით. შესაბამისად, **კლიენტისთვის** განკუთვნილი შეტყობინება (როგორც წერილობითი ასევე ზეპირი) შესაძლოა ატარებდეს (ა) საინფორმაციო/ტრანზაქციულ (მაგალითად ინფორმაცია **კლიენტის** ანგარიშზე შესრულებული ოპერაციების შესახებ, წვდომის კოდების **კლიენტისთვის** მიწოდება, გადახდის გრაფიკის შეხსენება/მიწოდება და სხვა), (ბ) სახელშეკრულებო-ვალდებულებით (მაგალითად, გაფრთხილება დავალიანების არსებობის თაობაზე, ვალდებულების შესრულების მოთხოვნა და სხვა), (გ) მარკეტინგულ (მაგალითად, ახალი კრედიტის ან პროდუქტის შეთავაზება და სხვა) ან/და კანონმდებლობით განსაზღვრულ შინაარსს.

25.7. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტთან** კომუნიკაციისას გამოიყენოს **ბანკში** **კლიენტის**, ან მისი თანხმობით მესამე პირების მიერ **კლიენტის** შესახებ დაფიქსირებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემი. ერთი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში დაფიქსირებული **კლიენტის** საკონტაქტო მონაცემები (მიუხედავად იმისა მოქმედია თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება), **ბანკის** მიერ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას **ბანკთან** არსებული სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში კომუნიკაციის მიზნით და პირიქით.

25.8. **კლიენტი** თავად არის პასუხისმგებელი იმ შედეგებზე, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს საკონტაქტო მონაცემების გამოყენებისას კონფიდენციალურობის დარღვევის შედეგად. თუ **კლიენტს** არ სურს **ბანკმა** ისარგებლოს რომელიმე საკონტაქტო მონაცემით, **კლიენტმა** აღნიშნული მოთხოვნით **ბანკს** უნდა მიმართოს წერილობით.

25.9. **კლიენტის** მიერ **ბანკიდან** ელექტრონული სახით მიღებულ ნებისმიერ შეტყობინებას აქვს წერილობითი ფორმით მიღებული შეტყობინების ძალა.

25.10. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტის** მიერ შეტყობინებების მიუღებლობაზე თუკი იგი გაგზავნილი იქნა იმ მისამართზე ან იმ საკონტაქტო მონაცემების საფუძველზე, რომელიც **კლიენტის** მიერ წინასწარ არის მითითებული.

25.11. **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს მას **ბანკის** მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია და ასევე წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც მოთხოვნილი იქნება **ბანკის** მიერ ან განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

25.12. **კლიენტი** ვალდებულია დაიცვას საიდენტიფიკაციო მონაცემების (მათ შორის წვდომის კოდების) კონფიდენციალურობა. **კლიენტი** ადასტურებს და იღებს ვალდებულებას, დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს** მობილური ტელეფონის ან/და მისი (მობილური ტელეფონის) ნომრის დაკარგვის, **კლიენტის** მიერ ტელეფონის ნომრის მფლობელობის გაუქმების, გასხვისების, სხვისთვის გადაცემის ან/და სხვა ისეთი ცვლილების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** მომსახურების უსაფრთხო მიწოდებაზე.

25.13. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **კლიენტის** მიერ **ბანკში** დაფიქსირებული მობილური ტელეფონის ნომრის შეცვლის, გასხვისების, მობილური ტელეფონის ან სიმ-ბარათის დაკარგვის, სხვისთვის გადაცემის და ნებისმირი მსგავსი ვითარების შედეგად გამოწვეულ შედეგებზე.

25.14. *ვერიფიცირებული ნომერი*

25.14.1. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტთან** კომუნიკაციისა და მისთვის საბანკო მომსახურების გაწევის, მათ შორის **კლიენტისგან** დოკუმენტებზე (მოიცავს ხელშეკრულებებსაც) თანხმობის/დასტურის მიღების მიზნით გამოიყენოს **კლიენტის ვერიფიცირებული ნომერი.**

25.14.2. **კლიენტის** მობილური ტელეფონის ნომერი ვერიფიკაციას გადის ბანკში დადგენილი წესების/პროცედურების შესაბამისად.

25.14.3. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** მიერ მობილური ტელეფონის ნომერზე SMS-ით გაგზავნილი ერთჯერადი კოდის **ბანკისთვის** კარნახის შედეგად აღნიშნული მობილური ტელეფონის ნომერი მიიჩნიოს **კლიენტის ვერიფიცირებულ ნომრად.**

25.14.4. **ბანკში** დადგენილი პროცედურის შესაბამისად ნომრის ვერიფიკაციით **კლიენტი** ადასტურებს, რომ მობილური ტელეფონის ნომერი იმყოფება მის მართლზომიერ მფლობელობაში და ნომერზე მესამე პირ(ებ)ის მიერ წვდომის მოპოვების და ამ გზით საბანკო სერვისებით სარგებლობის შემთხვევაში, **ბანკი** სრულად თავისუფლდება ყოველგვარი ზიანის/ზარალის ანაზღაურების ვალდებულებისგან.

25.14.5. ნომრის ვერიფიკაციის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია შეცვალოს საბანკო მომსახურების ფარგლებში მანამდე გამოყენებული **კლიენტის** მობილური ტელეფონის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და **ბანკის** მიერ **კლიენტისთვის** მომსახურების გაწევისას გამოიყენოს **კლიენტის ვერიფიცირებული ნომერი.**

25.14.6. იმ შემთხვევაში, თუ ნომრის ვერიფიკაცია ხორციელდება **ბანკისთვის** დისტანციური მომსახურების არხებით მომართვის გზით, შესაბამის პროცესში მითითებული მობილური ტელეფონის ნომერი ვერიფიცირებულად ჩაითვლება მხოლოდ **კლიენტის** მიერ შესაბამისი პროცესის სრულად, წარმატებით გავლის შემთხვევაში.

25.14.7. **ვერიფიცირებული ნომრის** სხვა პირის მიერ ვერიფიკაციის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** მობილური ტელეფონის ნომერს გაუუქმოს ვერიფიცირებულის სტატუსი.

25.14.8. **ვერიფიცირებულ ნომერზე** გაგზავნილი/**ვერიფიცირებული ნომრიდან** მიღებული შეტყობინება ან/და ვერიფიცირებული ნომრიდან გაცხადებული ნებისმიერი თანხმობა (მათ შორის **ვერიფიცირებულ ნომერზე** მიღებული თანხმობის კოდის ბანკისთვის გაცხადების გზით) ჩაითვლება **კლიენტის** მიერ ნამდვილ შეტყობინებად/შეთავაზებად/თანხმობად.

25.14.9. **ბანკი** უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, განსაზღვროს ის მომსახურება(ები), რომლ(ებ)ით სარგებლობისთვისაც აუცილებელია **ვერიფიცირებული ნომრის** არსებობა და უარი განუცხადოს **კლიენტს** ამგვარი მომსახურების გაწევაზე, იმ შემთხვევაში თუ ის (**კლიენტი**) არ განახორციელებს ნომრის ვერიფიკაციას **ბანკში** დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** შეუზღუდოს ის საბანკო მომსახურებები, რომელთა გამოყენებაც ეფუძნება **ვერიფიცირებულ ნომერს** იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზით გაუქმდება **კლიენტის ვერიფიცირებული ნომრის** სტატუსი.

25.14.10. **კლიენტი** ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს** **ვერიფიცირებული ნომრის** დაკარგვის, მფლობელობის გაუქმების, გასხვისების, მესამე პირ(ებ)ის მიერ წვდომის მოპოვების, ან/და აღნიშნულ ნომერთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ცვლილების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ბანკის მხრიდან მომსახურების უსაფრთხო მიწოდებაზე.

25.14.11. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **ვერიფიცირებული ნომრის** შეცვლის, გასხვისების, დაკარგვის, მესამე პირებზე გადაცემის ან/და ნებისმიერი მსგავსი ვითარების შედეგად გამოწვეულ შედეგებზე.

25.15. *საკონტაქტო პირთან კომუნიკაცია.* **კლიენტი** ინფორმირებულია და ადასტურებს, რომ **ბანკი** უფლებამოსილია:

25.15.1. **კრედიტთან** დაკავშირებულ დოკუმენტაციაში (მათ შორის განაცხადში) მოცემული საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაციის სისწორის შემოწმების მიზნით, დაუკავშირდეს ასეთ დოკუმენტაციაში მითითებულ საკონტაქტო პირ(ებ)ს;

25.15.2. დაუკავშირდეს **კრედიტთან** დაკავშირებულ დოკუმენტაციაში **კლიენტის** მიერ დაფიქსირებულ საკონტაქტო პირ(ებ)ს **კლიენტის** შესახებ ინფორმაციის მოძიების, მათ შორის და არამხოლოდ **კლიენტთან** (ან/და მის უფლებამოსილ პირ(ებ)თან) დაკავშირებისა ან/და **კლიენტის**/მისი უფლებამოსილი პირ(ებ)ის ადგილსამყოფლის მოძიების მიზნით;

25.15.3. საკონტაქტო პირ(ებ)ს მიაწოდოს დაკავშირების მიზნის და საფუძვლის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის გაანდოს მას ინფორმაცია ვალდებულების სტატუსზე (მაგალითად, სესხი მიმდინარეა ან/და ვადაგადაცილებულია);

25.15.4. **ბანკმა** მის ხელთ არსებული ან/და სხვა საშუალებით მოიძიოს **კლიენტთან** დაკავშირებული ნებისმიერი მესამე პირ(ებ)ი და დაუკავშირდეს მას/მათ **კლიენტის** ადგილმდებარეობის დადგენის ან/და **კლიენტთან** დაკავშირების მიზნით;

25.15.5. კომუნიკაცია განახორციელოს **კლიენტის** მიერ კრედიტთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაში დაფიქსირებული საკონტაქტო პირ(ებ)ის ან/და **ბანკის** მიერ მოძიებული მომხმარებელთან დაკავშირებული ნებისმიერი მესამე პირ(ებ)ის მიერ მოწოდებულ **კლიენტის** (ან/და მისი უფლებამოსილი პირის) საკონტაქტო მონაცემ(ებ)ზე.

## 26. დასკვნითი დებულებები

26.1. **კლიენტის** მიერ გადახდილი ნებისმიერი თანხა ჩაითვლება ზუსტად შესრულებულ ვალდებულებად, თუ ისინი გადახდილია **ხელშეკრულებით**

დადგენილ თარიღში, ხოლო ეს თუ ეს თარიღი არ ემთხვევა **საბანკო დღეს,** მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს მომდევნო **საბანკო დღისა.**

26.2. **ხელშეკრულების** პირობების მოქმედება სრულად ვრცელდება **მხარეებზე,** მათ წარმომადგენლებზე, სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.

26.3. **ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული **ხელშეკრულებით, მხარეები** იხელმძღვანელებენ კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულების** შესრულების ადგილად მიიჩნევა **ბანკის** იურიდიული მისამართი.

26.4. **გრაფიკი** დგება მატერიალური ან ელექტრონული ფორმით. მატერიალური ფორმით გრაფიკის შედგენისას, ის დგება 2 (ორი) ეგზემპლარად რომლის ერთი პირი რჩება **ბანკს** ხოლო მეორე პირი გადაეცემა **კლიენტს**. რამდენიმე მატერიალური ფორმით **გრაფიკის** არსებობისას უპირატესობა მიენიჭება უფრო ახალი თარიღის მქონე **გრაფიკის** პირობებს, ხოლო ერთი თარიღის მქონე **გრაფიკებს** შორის ან/და **გრაფიკის** ტექსტსა და **ხელშეკრულების** პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება **ბანკში** დაცულ **გრაფიკის** ეგზემპლარის ან/და **ბანკში** არსებული ელექტრონული **გრაფიკის** (შესაბამისი პროგრამული ჩანაწერის) პირობებს. თუ **გრაფიკი** დგება ელექტრონული ფორმით, მასზეც წვდომის უფლება ასევე გადაეცემა **კლიენტს**. რამდენიმე ელექტრონული **გრაფიკის** არსებობისას უპირატესობა მიენიჭება უფრო ახალი თარიღის მქონე **გრაფიკის** პირობებს, ხოლო ერთი თარიღის მქონე **გრაფიკებს** შორის ან/და **გრაფიკის** ტექსტსა და **ხელშეკრულების** პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება **ბანკში** დაცული **გრაფიკის** ელექტრონული ეგზემპლარის ან/და **ბანკში** არსებული **გრაფიკის** პროგრამული ჩანაწერის პირობებს.

26.5. *უფლებამოსილებათა გადაცემა.* **ბანკის** წინასწარი შეტყობინების გარეშე **კლიენტი** უპირობოდ აცხადებს თანხმობას, რომ **ბანკს** ნებისმიერ დროს შეუძლია დაუთმოს, გაყიდოს ან გადასცეს წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული უფლებები, მოვალეობები და სარგებელი სხვა მესამე პირს.

26.6. იმ შემთხვევაში თუ **ბანკი** გამოიყენებს 26.5 პუნქტში მითითებულ უფლებას ან დააპირებს ამ უფლების გამოყენებას, **კლიენტი** თანხმობას აძლევს რომ **ბანკს** ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეუძლია გადასცეს **კლიენტის** ან/და **კლიენტის** ანგარიშის შესახებ ინფორმაცია სხვა მესამე პირს ან მასთან დაკავშირებულ პირს. აღნიშნული არ მოახდენს ზეგავლენას **კლიენტის** კანონის მიერ უფლებებზე.

26.7. **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირ(ებ)ს სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებები ან/და **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, **ბანკი** მიუხედავად აღნიშნული პირობისა უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ მესამე პირებისაგან მიიღოს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ვალდებულების შესრულება.

26.8. *ხელშეკრულების პირობების დამოუკიდებლობა.* თუ წინამდებარე **პირობების** რომელიმე პუნქტი ან მისი ნაწილი რაიმე მიზეზით იქნა გაუქმებული, ბათილად ცნობილი ან შეწყვეტილი, აღნიშნული პუნქტი ან მისი ნაწილი აღარ იქნება გამოყენებული, რაც არ იქონიებს გავლენას პირობების დანარჩენი პუნქტების იურიდიულ ძალაზე.

26.9. *სათაურები და განმარტება.* წინამდებარე **პირობებში** აღნიშნული სათაურები გამოიყენება მხოლოდ მოხერხებულობისათვის და არ აქვს ზეგავლენა ხელშეკრულების პირობების განმარტებასა და ინტერპრეტაციაზე.

26.10. *საკრედიტო ბარათის მოქმედების შეჩერება.* უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, თუკი წარმოიქმნება ეჭვის საფუძველი, რომ **საკრედიტო ბარათი** შეიძლება გამოყენებულ იქნას არასანქცირებულად ან/და თაღლითურად, ასევე თუკი **ბანკს** მიაჩნია, რომ **კლიენტი** ვერ შეძლებს საკრედიტო დავალიანების სრულად ან/და დროულ დაფარვას, **ბანკს** უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად, წინასწარი შეტყობინებით ან მის გარეშე შეწყვიტოს **საკრედიტო ბარათის** მოქმედება. ასეთ შემთხვევაში **ბანკს** უფლება აქვს, მაგრამ არ არის ვალდებული, შეატყობინოს მიღებული გადაწყვეტილების მიზეზის შესახებ.

26.11. **ბანკის** მიერ წინამდებარე **პირობების** 26.10. ქვეპუნქტში მითითებული უფლების გამოყენება არ იწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას ვიდრე **კლიენტი** სრულად არ დაფარავს თავის საკრედიტო დავალიანებას, იგი გაგრძელებულად ითვლება იგივე პირობებით და **კლიენტი** ვალდებულია სრულად შეასრულოს წინამდებარე **პირობებით** განსაზღვრული ყველა და ნებისმიერი ვალდებულება.

26.12. **ბანკს** უფლება აქვს, მაგრამ არ არის ვალდებული, შეწყვეტილი **საკრედიტო ბარათის** მოქმედება აღადგინოს თუკი წინამდებარე **პირობების** 26.10. ქვეპუნქტში აღნიშნული შეწყვეტის საფუძვლები აღარ იარსებებს და **კლიენტის** მიერ მოწოდებული იქნება ინფორმაცია აღნიშნული შეწყვეტის საფუძვლების არარსებობის შესახებ.

26.13. *პირობების ცვლილება.* **ბანკს** უფლება აქვს, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, **კლიენტისთვის** 1 (ერთი) თვით ადრე გაგზავნილი შეტყობინების სფუძველზე ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები ამ **პირობების** ტექსტში, მათ შორის, გაზარდოს **პროცენტი** და აღნიშნულის შესახებ აცნობოს **კლიენტს ბანკის** საინფორმაციო საშუალებების (ვებ-გვერდის, ელექტრონული ფოსტის და ა.შ) მეშვეობით.

26.14. **ბანკის** მხრიდან **ხელშეკრულების** პირობების, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, **საკომისიოების, პროცენტის, პირგასამტეხლოს** ან/და **ხელშეკრულების** სხვა პირობის **კლიენტის** სასარგებლოდ ცვლილება ან/და ისეთი ცვლილება რაც არ აუარესებს და არ ცვლის **კლიენტის** უფლებრივ ან/და ფინანსურ მდგომარეობას, არ საჭიროებს **კლიენტისთვის** წინასწარი შეტყობინების გაგზავნას.

26.15. **ბანკის** მიერ **ხელშეკრულების** პირობების, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე **პროცენტისა, საკომისიოების** ან/და **პირგასამტეხლოს კლიენტის** საუარესოდ შეცვლისას, **კლიენტი** უფლებამოსილია **ბანკისთვის** წარდგენილი წერილობითი განცხადების საფუძველზე არ დაეთანხმობს **ბანკის** გადაწყვეტილებას, რა შემთხვევაშიც **ხელშეკრულება** ჩაითვლება სრულად შეწყვეტილად და **კლიენტი** ვალდებული იქნება **ბანკისთვის** შეცვლილი პირობების ძალაში შესვლიდან 15 (თხუთმეტი) **საბანკო დღის** ვადაში სრულად შეასრულოს **ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულებები (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, დაფაროს **საკრედიტო ლიმიტის** ძირითადი თანხა ან/და **საკრედიტო ბარათთან** დაკავშირებული გადასახდელები, **პირგასამტეხლო,** ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები ან/და სხვა ხარჯები).

26.16. **საკრედიტო ბარათთან** დაკავშირებული გადასახდელების ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლისას **კლიენტი** უფლებამოსილია მოითხოვოს **ბანკისგან** ახალი კორექტირებული **გრაფიკი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

26.17. *უფლებების გამოუყენებლობა.* **ბანკის** მიერ წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ გულისხმობს ამგვარ უფლებებზე ან/და მათ შემდგომ გამოყენებაზე უარის თქმის საფუძველს, ამასთან, **ბანკის** მიერ ამგვარი უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს შემდგომში **ხელშეკრულების** ან/და კანონმდებლობის დარღვევის შედეგად წარმოშობილ მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს.

26.18. ყველა დანარჩენი საკითხი რაც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე **პირობებით** რეგულირდება **უნივერსალური ანგარიშის მომსახურების პირობების** შესაბამისად.

26.19. *ბანკში პრეტენზიის წარდგენის წესი.* **კლიენტი** უფლებამოსილია, გაწეულ საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებით პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში 30 კალენდარული დღის განმავლობაში აცნობოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ ზეპირი ან წერილობითი ფორმით **ბანკის** ფილიალების ან/და სერვის-ცენტრების საშუალებით ან/და ელექტრონული ფორმით **ბანკის** კორპორატიული ვებ გვერდის www.libertybank.ge ან/და ელ-ფოსტა ConsumerProtection@lb.ge საშუალებით, **ბანკში** დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

26.20. **ბანკის** მიერ პრეტენზიის განხილვის და შესაბამისი პასუხის მიღების მაქსიმალური ვადა შეადგენს 1 (ერთ) თვეს.

26.21. **კლიენტს** შესაძლებლობა აქვს გაეცნოს **ბანკის** მიერ პრეტენზიების განხილვის პროცედურას **ბანკის** ვებ-გვერდის www.libertybank.ge საშუალებით.

26.22. *ხელშეკრულების შეწყვეტა.* **კლიენტს** უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება თუ სრულად გადაიხდის **საკრედიტო ლიმიტის** ძირითად თანხას, **საკომისიოებს**, მასზე დარიცხულ **პროცენტს**, **პირგასამტეხლოებს** და სხვა დაკავშირებულ გადასახდელებს. **ხელშეკრულება** შეწყვეტილად ჩაითვლება მხოლოდ მას შემდეგ რაც **კლიენტი** სრულად დაფარავს დავალიანებას და დაუბრუნებს **ბანკს საკრედიტო ბარათს** და ყველა დამატებით ბარათს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

26.23. **ბანკს** უფლება აქვს შეტყობინების გაგზავნის გარეშე ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება. **ბანკის** მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა არ ათავისუფლებს **კლიენტს** პასუხისმგებლობისგან შეასრულოს წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებული ყველა ვალდებულება, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს **საკრედიტო ლიმიტის** ძირითადი თანხის, მასზე დარიცხული **პროცენტის**, **პირგასამტეხლოების** და **საკომისიოების** გადახდას.

26.24. **ბანკის** მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია **ბანკის** მიერ დადგენილ ვადაში დაფაროს მასზე რიცხული დავალიანება სრულად.

26.25. **ბანკს** უფლება აქვს **კლიენტთან** წინასწარი შეთანხმების გარეშე, თუ ჩათვლის საჭიროდ, ცალმხრივად შეწყვიტოს ან შეაჩეროს **საკრედიტო ბარათის** მოქმედება ან/და არ მისცეს ავტორიზება **კლიენტის** მიერ **საკრედიტო ბარათით** განხორციელებულ ოპერაციებს, რაზედაც **ბანკი** არ აგებს პასუხს. **ბანკის** მიერ აღნიშნული უფლების გამოყენება არ წყვეტს ხელშეკრულების მოქმედებას და არ ათავისუფლებს **კლიენტს ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან.

26.26. **ხელშეკრულება** შედგენილია ქართულ ენაზე, რომლის **სტანდარტული პირობებიც** განთავსებულია **ბანკის** ვებ-გვერდზე: www.libertybank.ge. **ბანკის** სურვილის შემთხვევაში, **ხელშეკრულება** დამატებით შესაძლოა დაიდოს სხვა ენაზეც. ამ შემთხვევაში ქართულ ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებას** და მის **სტანდარტულ პირობებს** უპირატესობა მიენიჭება სხვა ენაზე შედგენილ **ხელშეკრულებასთან** და მის **სტანდარტულ პირობებთან** მიმართებაში.

26.27. **კლიენტი** ვალდებულია ხელი მოაწეროს **ხელშეკრულების** ყველა ეგზემპლარის თითოეულ გვერდს, ამასთან, **კლიენტის** მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობა არ შეიძლება გახდეს **ხელშეკრულების** ან მისი კონკრეტული ნაწილის საეჭვოდ ან სადავოდ გახდის საფუძველი.

## საკრედიტო ბარათის პირობების დანართი #1 - ტარიფები

| ძირითადი ბარათი: | |
|---|---|
| საკრედიტო ბარათი: | Visa Classic უსახელო ბარათი / Visa Classic სახელობითი ბარათი<br>MC Standard უსახელო ბარათი / MC Standard სახელობითი ბარათი |
| ბარათის მოქმედების ვადა: | 4 წელი |
| ძირითადი ბარათის დამზადების ღირებულება: | უფასო |
| ანგარიშის ვალუტა: | ლარი |
| ყოველთვიური მომსახურების საკომისიო: | უფასო |
| დაკარგული / დაზიანებული ბარათის აღდგენის საკომისიო: | 20.00 ლარი |
| **საკრედიტო ლიმიტის პირობები:** | |
| საკრედიტო ლიმიტის მოცულობა: | მინ. 500 – მაქს. 30 000 ლარი (100 ლარიანი ბიჯებით) |
| ანუიტეტური გრაფიკით გადახდის პირობის შემთხვევაში ყოველთვიურად გადასახდელი თანხა: | გრაფიკის შესაბამისად (ვალდებულების დაფარვის ვადა 48 (ორმოცდარვა) თვე) |

ყოველთვიური მინიმალური თანხის გადახდის პირობის შემთხვევაში, საკრედიტო ლიმიტის მოცულობაზე დამოკიდებული ყოველთვიური ფიქსირებული თანხა:

| ლიმიტი | ფიქსირებული თანხა | ლიმიტი | ფიქსირებული თანხა |
|---|---|---|---|
| 500 - 600 | 25 | 14200 - 14400 | 250 |
| 700 – 800 | 30 | 14500 - 14700 | 255 |
| 900 | 35 | 14800 – 15000 | 260 |
| 1000 | 40 | 15100 - 15300 | 265 |
| 1100 | 35 | 15400 - 15600 | 270 |
| 1200 - 1300 | 40 | 15700 - 15800 | 275 |
| 1400 - 1500 | 45 | 15900 - 16100 | 280 |
| 1600 - 1700 | 50 | 16200 - 16400 | 285 |
| 1800 - 1900 | 55 | 16500 - 16700 | 290 |
| 2000 | 60 | 16800 - 17000 | 295 |
| 2100 - 2200 | 50 | 17100 - 17300 | 300 |
| 2300 - 2400 | 55 | 17400 - 17600 | 305 |
| 2500 - 2600 | 60 | 17700 - 17900 | 310 |
| 2700 - 2900 | 65 | 18000 - 18200 | 315 |
| 3000 - 3100 | 70 | 18300 - 18500 | 320 |
| 3200 - 3400 | 75 | 18600 - 18800 | 325 |
| 3500 - 3600 | 80 | 18900 - 19100 | 330 |
| 3700 - 3900 | 85 | 19200 - 19400 | 335 |
| 4000 - 4100 | 90 | 19500 - 19700 | 340 |
| 4200 - 4400 | 95 | 19800 - 20000 | 345 |
| 4500 - 4600 | 100 | 20100 - 20300 | 350 |
| 4700 - 4900 | 105 | 20400 - 20600 | 355 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 5000 | 110 | 20700 -20800 | 360 |
| 5100 - 5200 | 95 | 20900 -21100 | 365 |
| 5300 - 5500 | 100 | 21200 - 21400 | 370 |
| 5600 - 5800 | 105 | 21500 - 21700 | 375 |
| 5900 - 6100 | 110 | 21800 - 22000 | 380 |
| 6200 - 6400 | 115 | 22100 - 22300 | 385 |
| 6500 - 6700 | 120 | 22400 - 22600 | 390 |
| 6800 - 7000 | 125 | 22700 - 22900 | 395 |
| 7100 - 7300 | 130 | 23000 - 23200 | 400 |
| 7400 - 7600 | 135 | 23300 - 23500 | 405 |
| 7700 - 7900 | 140 | 23600 - 23800 | 410 |
| 8000 - 8200 | 145 | 23900 - 24100 | 415 |
| 8300 - 8500 | 150 | 24200 - 24400 | 420 |
| 8600 - 8800 | 155 | 24500 - 24700 | 425 |
| 8900 - 9100 | 160 | 24800 - 25000 | 430 |
| 9200 - 9400 | 165 | 25100 - 25300 | 435 |
| 9500 - 9700 | 170 | 25400 - 25600 | 440 |
| 9800 - 10000 | 175 | 25700 - 25900 | 445 |
| 10100 - 10300 | 180 | 26000 - 26100 | 450 |
| 10400 - 10500 | 185 | 26200 - 26400 | 455 |
| 10600 - 10800 | 190 | 26500 - 26700 | 460 |
| 10900 - 11100 | 195 | 26800 - 27000 | 465 |
| 11200 - 11400 | 200 | 27100 - 27300 | 470 |
| 11500 - 11700 | 205 | 27400 - 27600 | 475 |
| 11800 - 12000 | 210 | 27700 - 27900 | 480 |
| 12100 - 12300 | 215 | 28000 - 28200 | 485 |
| 12400 - 12600 | 220 | 28300 - 28500 | 490 |
| 12700 - 12900 | 225 | 28600 - 28800 | 495 |
| 13000 - 13200 | 230 | 28900 - 29100 | 500 |
| 13300 - 13500 | 235 | 29200 - 29400 | 505 |
| 13600 - 13800 | 240 | 29500 -29700 | 510 |
| 13900 - 14100 | 245 | 29800 - 30000 | 515 |

| | | |
|---|---|---|
| საკრედიტო ლიმიტის დამტკიცების საკომისიო: | არ არის გათვალისწინებული | |
| წლიური საპროცენტო განაკვეთი: | **ყოველთვიური მინიმალური თანხის გადახდის პირობის შემთხვევაში:** | |
| | საკრედიტო ლიმიტი მოცულობა: | წლიური საპროცენტო განაკვეთი: |
| | 500 – 1 000 | 36% |
| | 1 000.01 -2 000 | 30% |
| | 2 000.01 – 5 000 | 24% |
| | > 5 000 | 20% |
| | | |
| | **ანუიტეტური გრაფიკით გადახდის პირობის შემთხვევაში:** | |
| | საკრედიტო ლიმიტი მოცულობა: | წლიური საპროცენტო განაკვეთი: |
| | 500 – 1 000 | 26% |
| | 1 000.01 -2 000 | 22% |
| | 2 000.01 – 5 000 | 20% |
| | > 5 000 | 18% |
| | | |

| | |
|---|---|
| **ბარათიდან თანხის განაღდების საკომისიო:** | |
| ლიბერთი ბანკის ბანკომატებში: | • 3.00% მინიმუმ 3.00 ლარი<br>• „ახალი ბარათის" შემთხვევაში - 3.9. %, მინიმუმ 5 (ხუთი) ლარი<br>• „მასწავლებლის ახალი ბარათის" შემთხვევაში - 3.9 %, მინიმუმ 2 (ორი) ლარი |
| ლიბერთი ბანკის სერვის ცენტრებში: | • 3.00% მინიმუმ 3.00 ლარი<br>• „ახალი ბარათის" შემთხვევაში - 3.9 % მინიმუმ 6.00 ლარი[2]<br>• „მასწავლებლის ახალი ბარათის" შემთხვევაში- 3.9 % მინიმუმ 6.00 ლარი |
| სხვა ბანკის ბანკომატებში: | • 3.00% მინიმუმ 3.00 ლარი<br>• „ახალი ბარათის" შემთხვევაში - 3.9% მინიმუმ 6.00 ლარი[2]<br>• „მასწავლებლის ახალი ბარათის" შემთხვევაში- 3.9 % მინიმუმ 6.00 ლარი |
| სხვა ბანკის სერვის ცენტრებში: | • 3.00% მინიმუმ 3.00 ლარი<br>• „ახალი ბარათის" შემთხვევაში - 3.9 % მინიმუმ 6.00 ლარი[2]<br>• „მასწავლებლის ახალი ბარათის" შემთხვევაში- 3.9 % მინიმუმ 6.00 ლარი |
| **ბარათით სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში სარგებლობა:** | |
| საქართველოში: | უფასო, ბარათიდან თანხის გატანის ტოლფასი ოპერაციების გარდა |
| საზღვარგარეთ: | უფასო, ბარათიდან თანხის გატანის ტოლფასი ოპერაციების გარდა |
| ბარათიდან თანხის გატანის ტოლფასი ოპერაცია[3]: | • 3.00% მინიმუმ 3.00 ლარი<br>• „ახალი ბარათის" შემთხვევაში - 3.9 % მინიმუმ 6.00 ლარი<br>• „მასწავლებლის ახალი ბარათის" შემთხვევაში- 3.9 % მინიმუმ 6.00 ლარი |
| **გადარიცხვები:** | |
| თანხის გადარიცხვა ლიბერთი ბანკის შიგნით ეროვნულ ვალუტაში (მათ შორის საკუთარ ანგარიშებს შორის): | • 3.00% მინიმუმ 3.00 ლარი<br>• „ახალი ბარათის" შემთხვევაში - 3.9 % მინიმუმ 6.00 ლარი<br>• „მასწავლებლის ახალი ბარათის" შემთხვევაში- 3.9 % მინიმუმ 6.00 ლარი |
| თანხის გადარიცხვა ლიბერთი ბანკის გარეთ ეროვნულ ვალუტაში: | • 100 ლარამდე -1 ლარი<br>• 100 ლარიდან - 10 000 ლარამდე - 2 ლარი<br>• 10 000 ლარიდან - 100 000 ლარამდე - 5 ლარი<br>• 100 000 ლარი და მეტი - 50 ლარი |
| ინტერნეტ/მობაილ ბანკში თანხის გადარიცხვა პირადი ნომრის ან მობილური ტელეფონის ნომრის საშუალებით ლიბერთი ბანკის შიგნით ეროვნულ ვალუტაში: | **საკრედიტო ბარათის** სახეობების მიხედვით შემდეგია:<br>• „ახალი ბარათი" - გადასარიცხი თანხის 3.9 % მინ. 6 ლარი;<br>• „მასწავლებლის ახალი ბარათის" შემთხვევაში- 3.9 % მინიმუმ 6.00 ლარი<br>• „ახალი საკრედიტო ბარათი" -  გადასარიცხი თანხის 3% მინიმუმ 3 ლარი;<br>• „Magic Card" საკრედიტო ბარათი - გადასარიცხი თანხის 3.00% მინიმუმ 4 ლარი;<br>• „მასწავლებლის საკრედიტო ბარათი" - გადასარიცხი თანხის 2.00% მინიმუმ 2 ლარი;<br>• „Instanta Card" - გადასარიცხი თანხის 3.00% მინიმუმ 4 ლარი; |

[3] **ბარათიდან თანხის გატანის ტოლფასი ოპერაცია** - საბანკო ბარათით საქონლის ან/და მომსახურების შეძენა, რომელიც მომდევნო ეტაპზე შესაძლებელია გადაიქცეს ფულად რესურსად. ასეთი სახის ოპერაციები მოიცავს მათ შორის MCC-7995 კოდის მქონე სავაჭრო ობიექტებში (საერთაშორისო საგადამხდელო სისტემების Visa, MasterCard და ა.შ. სავაჭრო ობიექტის კლასიფიკატორი) განხორციელებულ გარიგებებს, ბარათის გამოყენებით კაზინოში ან ტოტალიზატორში ფსონის დადებას, ფულადი გზავნილის გადარიცხვას, ერთი საბანკო ბარათიდან მეორე ბარათზე გადარიცხვას VISA Direct / MasterCard MoneySend სერვისის გამოყენებით, ელექტრონული საფულის ბალანსის შევსებას, სამოგზაურო ჩეკ(ებ)ის შეძენას და სხვა ოპერაციებს. ბარათიდან თანხის გატანის ტოლფასი ოპერაცია შეიძლება ჩატარდეს საბანკო ბარათით როგორც ჩვეულებრივად (მაღაზია, კაზინო, ბანკი და სხვა დაწესებულება) ასევე დისტანციურად ინტერნეტის, ტელეფონის ან/და სხვა არხის გამოყენებით, რომელიც არ ითვალისწინებს მომხმარებლის ფიზიკურ ყოფნას საქონლის/მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციის ობიექტში.

| | |
|---|---|
| **საკრედიტო ბარათით განხორციელებული ოპერაციის ლიმიტები:** | |
| ტრანზაქციული ლიმიტი ინტერნეტ/მობაილ ბანკში პირადი ნომრის ან მობილური ტელეფონის ნომრის საშუალებით თანხის გადარიცხვისას: | 3000 GEL |
| 24 საათიანი ლიმიტი ინტერნეტ/მობაილ ბანკში პირადი ნომრის ან მობილური ტელეფონის ნომრის საშუალებით თანხის გადარიცხვისას | • ნებადართული გადარიცხვების მაქსიმალური რაოდენობა - 10 გადარიცხვა;<br>• ნებადართული გადარიცხვების მაქსიმალური თანხა - 5000 GEL; |
| **ბარათიდან განაღდების ლიმიტები:** | |
| განაღდების ლიმიტი ლიბერთი ბანკის ფილიალებში: | შეუზღუდავი |
| 24 საათიანი განაღდების ლიმიტი ბანკომატში: | 3,000 ლარი |
| 24 საათიანი განაღდების ლიმიტი ბანკის პოს ტერმინალში: | 5,000 ლარი |
| 24 საათიანი ლიმიტი სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში ანგარიშსწორებისთვის[4]: | 10,000 ლარი |
| კვირის ლიმიტი ბანკომატში | 15,000 ლარი |
| **ნაშთის შემოწმება ბანკომატებში** | |
| საქართველოში განთავსებულ ბანკომატებში: | უფასო |
| საზღვარგარეთ განთავსებულ ბანკომატებში: | 1.00 ლარი |
| **საჯარიმო სანქციები** | |
| ვადაგადაცილების ფიქსირებული პირგასამტეხლო: | არ არის გათვალისწინებული; |
| ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტი: | კლიენტის მიერ ათვისებული საკრედიტო ლიმიტის 0.27% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე |
| საკრედიტო ბარათის დეფოლტის პირგასამტეხლო (ერთჯერადი): | არ არის გათვალისწინებული; |
| საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის პირგასამტეხლო: | კლიენტის მიერ საკრედიტო ლიმიტის გადახარჯული თანხის წლიური 48.00% დაანგარიშებული გადახარჯვის ყოველ კალენდარულ დღეზე |
| **სხვა პირობები** | |
| სტოპ სიაში შეყვანა [ადგილობრივი]: | უფასო |
| სტოპ სიაში შეყვანა [საერთაშორისო]: | 80.00 ლარი ყოველ რეგიონზე კვირაში ერთხელ |
| ბარათის დამზადება სასწრაფო რეჟიმში: | ბარათის ღირებულებას + 5.00 ლარი |
| PIN-ის შეცვლა ბანკომატის საშუალებით: | უფასო |

[4] მოიცავს ყიდვის,გადახდის,წინასწარი გადახდის,თანხის დაბრუნების და სხვა საბარათე გადარიცხვა/ჩარიცხვის ტიპის უნაღდო ოპერაციების ლიმიტს.

| | |
|---|---|
| PIN-ის აღდგენა: | 2.00 ლარი |
| 3D უსაფრთხოების სერვისი | უფასო |
| | |
| **საკრედიტო ბარათის გამოყენების შეზღუდვები** | |
| **საკრედიტო ბარათით, კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე არ დაიშვება ტრანზაქციები შემდეგ **MCC** კოდებზე[5] | (ა) 7995 - აზარტული თამაშები; (ბ) 5967 - პირდაპირი მარკეტინგი, +18 სერვისი; |
| | |
| **საკრედიტო ბარათზე** განთავსებულ **კლიენტის** სახსრებით (რაც არ მოიცავს **საკრედიტო ლიმიტიდან** ათვისებულ თანხებს) განხორციელებულ ოპერაციებზე ვრცელდება **უნივერსალური ანგარიშის მომსახურების პირობებით** შესაბამისი ტიპის (Visa Classic, Visa Gold, Visa Platinum, MC Standard, MC Gold და ა.შ) **საბანკო ბარათისთვის** გათვალისწინებული ტარიფები, ხოლო **კლიენტის** მიერ **ბანკის** სატარიფო პაკეტის არჩევის შემთხვევაში შესაბამისი სატარიფო პაკეტით **საბანკო ბარათისთვის** განსაზღვრული ტარიფები. თუ შესაბამისი სატარიფო პაკეტით არ არის კონკრეტული ტიპის საბანკო ოპერაციისთვის ტარიფი გათვალისწინებული, ასეთ საბანკო ოპერაციისთვის იმოქმედებს **უნივერსალური ანგარიშის მომსახურების პირობებით** შესაბამისი ტიპის **საბანკო ბარათისთვის** გათვალისწინებული ტარიფი. | |

[5] შეზღუდვა ავტომატურად გავრცელდება 2021 წლის 01 ივნისიდან გაცემულ **საკრედიტო ბარათებზე.** იმ **კლიენტებმა**, რომლებიც სარგებლობენ 2021 წლის 01 ივნისამდე გაცემული **საკრედიტო ბარათით,** აღნიშნული შეზღუდვის გავრცელების მიზნით უნდა მიმართონ **ბანკს**, **ბანკის** მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

საკრედიტო ბარათის პირობების დანართი #2 - ტოპ ქარდის ტარიფები

| ძირითადი ბარათი: | |
|---|---|
| საკრედიტო ბარათი: | Master Card Gold უსახელო / სახელობითი (ფიზიკური / ციფრული) |
| ბარათის მოქმედების ვადა: | 4 წელი |
| ძირითადი ბარათის დამზადების ღირებულება | უფასო |
| ანგარიშის ვალუტა: | ლარი |
| ყოველთვიური მომსახურების საკომისიო | უფასო |
| დაკარგული / დაზიანებული ბარათის აღდგენის საკომისიო | 15.00 ლარი |
| საკრედიტო ლიმიტის პირობები: | |
| განვადების ლიმიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი | 36% |
| ბარათიდან თანხის განაღდების საკომისიო: | |
| ლიბერთი ბანკის ბანკომატებში | 3% მინიმუმ 6.00 ლარი |
| ლიბერთი ბანკის სერვის ცენტრებში | 3% მინიმუმ 6.00 ლარი |
| სხვა ბანკის ბანკომატებში | 3% მინიმუმ 6.00 ლარი |
| სხვა ბანკის სერვის ცენტრებში | 3% მინიმუმ 6.00 ლარი |
| საერთაშორისო ბანკომატიდან | 2.5%, მინ. 3 USD/EUR ან 6 ლარი |

| **ბარათით სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში სარგებლობა:** | |
|---|---|
| საქართველოში | უფასო, ბარათიდან თანხის გატანის ტოლფასი ოპერაციების[6] გარდა |
| საზღვარგარეთ | უფასო, ბარათიდან თანხის გატანის ტოლფასი ოპერაციების გარდა |
| ბარათიდან თანხის გატანის ტოლფასი ოპერაცია | 3% მინიმუმ 6.00 ლარი |
| **გადარიცხვები:** | |
| თანხის გადარიცხვა ლიბერთი ბანკის შიგნით ეროვნულ ვალუტაში (მათ შორის საკუთარ ანგარიშებს შორის) | 3% მინიმუმ 6.00 ლარი |
| თანხის გადარიცხვა ლიბერთი ბანკის გარეთ ეროვნულ ვალუტაში | • 100 ლარამდე -1 ლარი<br>• 100 ლარიდან - 10 000 ლარამდე - 2 ლარი<br>• 10 000 ლარიდან - 100 000 ლარამდე - 5 ლარი<br>• 100 000 ლარი და მეტი - 50 ლარი |
| P2P გადარიცხვები | 3% მინიმუმ 6.00 ლარი |
| **ბარათიდან განაღდების ლიმიტები:** | |
| განაღდების ლიმიტი ლიბერთი ბანკის ფილიალებში | შეუზღუდავი |
| 24 საათიანი განაღდების ლიმიტი ბანკომატში | 15.000 ლარი |
| 24 საათიანი განაღდების ლიმიტი ბანკის პოს ტერმინალში | 15.000 ლარი |
| 24 საათიანი ლიმიტი სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში ანგარიშსწორებისთვის | 15.000 ლარი |

[6] **ბარათიდან თანხის გატანის ტოლფასი ოპერაცია** - საბანკო ბარათით საქონლის ან/და მომსახურების შეძენა, რომელიც მომდევნო ეტაპზე შესაძლებელია გადაიქცეს ფულად რესურსად. ასეთი სახის ოპერაციები მოიცავს მათ შორის MCC-7995 კოდის მქონე სავაჭრო ობიექტებში (საერთაშორისო საგადამხდელო სისტემების Visa, MasterCard და ა.შ. სავაჭრო ობიექტის კლასიფიკატორი) განხორციელებულ გარიგებებს, ბარათის გამოყენებით კაზინოში ან ტოტალიზატორში ფსონის დადებას, ფულადი გზავნილის გადარიცხვას, ერთი საბანკო ბარათიდან მეორე ბარათზე გადარიცხვას VISA Direct / MasterCard MoneySend სერვისის გამოყენებით, ელექტრონული საფულის ბალანსის შევსებას, სამოგზაურო ჩეკ(ებ)ის შეძენას და სხვა ოპერაციებს. ბარათიდან თანხის გატანის ტოლფასი ოპერაცია შეიძლება ჩატარდეს საბანკო ბარათით როგორც ჩვეულებრივად (მაღაზია, კაზინო, ბანკი და სხვა დაწესებულება) ასევე დისტანციურად ინტერნეტის, ტელეფონის ან/და სხვა არხის გამოყენებით, რომელიც არ ითვალისწინებს მომხმარებლის ფიზიკურ ყოფნას საქონლის/მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციის ობიექტში.

| ნაშთის შემოწმება ბანკომატებში : | |
|---|---|
| საქართველოში განთავსებულ ბანკომატებში | უფასო |
| საზღვარგარეთ განთავსებულ ბანკომატებში | 1.00 ლარი |
| **საჯარიმო სანქციები:** | |
| ვადაგადაცილების ფიქსირებული პირგასამტეხლო | 10 GEL პირველი ვადაგადაცილებული დღისთვის |
| ვადაგადაცილების საჯარიმო პროცენტი | ვადაგადაცილებული თანხის 0,5% |
| განვადების ლიმიტის გადახარჯვის პირგასამტეხლო | 0% |
| სხვა პირობები: | |
| სტოპ სიაში შეყვანა [ადგილობრივი] | უფასო |
| სტოპ სიაში შეყვანა [საერთაშორისო] | 80.00 ლარი ყოველ რეგიონზე კვირაში ერთხელ |
| ბარათის დამზადება სასწრაფო რეჟიმში | ბარათის ღირებულებას + 20 ლარი |
| განვადების ტრანშის დაგრძელვადიანების საკომისიო | 2% |
| PIN-ის შეცვლა ბანკომატის საშუალებით | უფასო |
| PIN-ის აღდგენა | უფასო |
| 3D უსაფრთხოების სერვისი | უფასო |

ტოპ ქარდის გამოყენების შეზღუდვები

| | |
|---|---|
| **საკრედიტო ბარათით, კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე არ დაიშვება ტრანზაქციები შემდეგ **MCC** კოდებზე[7] | (ა) 7995 - აზარტული თამაშები; (ბ) 5967 - პირდაპირი მარკეტინგი, +18 სერვისი; |
| | |

**ტოპ ქარდის ბარათზე** განთავსებულ **კლიენტის** სახსრებით (რაც არ მოიცავს **საკრედიტო ლიმიტიდან** ათვისებულ თანხებს) განხორციელებულ ოპერაციებზე ვრცელდება წინამდებარე პირობების დანართი #2-ით გათვალისწინებული ტარიფები. იმ შემთხვევაში, თუ კი ტოპ ქარდით შესასრულებელი რომელიმე ტრანზაქციის შესაბამისი ტარიფი წინამდებარე დანართში არ იქნება მოცემული, ასეთ ოპერაციაზე გავრცელდება **ფიზიკური პირის მომსახურების პირობებით,** რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე: https://libertybank.ge/ka/agreements/fizikuri-piris-angarishi, შესაბამისი ტიპის (Visa Classic, Visa Gold, Visa Platinum, MC Standard, MC Gold და ა.შ) **საბანკო ბარათისთვის** გათვალისწინებული ტარიფები, ხოლო **კლიენტის** მიერ **ბანკის** სატარიფო პაკეტის არჩევის შემთხვევაში შესაბამისი სატარიფო პაკეტით **საბანკო ბარათისთვის** განსაზღვრული ტარიფები, ამასთან თუ შესაბამისი სატარიფო პაკეტით არ არის კონკრეტული ტიპის საბანკო ოპერაციისთვის ტარიფი გათვალისწინებული, ასეთ საბანკო ოპერაციისთვის იმოქმედებს **ფიზიკური პირის მომსახურების პირობებით** შესაბამისი ტიპის **საბანკო ბარათისთვის** გათვალისწინებული ტარიფი.

[7] შეზღუდვა ავტომატურად გავრცელდება 2021 წლის 01 ივნისიდან გაცემულ **საკრედიტო ბარათებზე.** იმ **კლიენტებმა**, რომლებიც სარგებლობენ 2021 წლის 01 ივნისამდე გაცემული **საკრედიტო ბარათით,** აღნიშნული შეზღუდვის გავრცელების მიზნით უნდა მიმართონ **ბანკს**, **ბანკის** მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.